ჩვენო ძვირფასო ბავშვებო!

გახსოვთ, რას ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას ვინაიდან მაგისთანებისაა ცათა სასუფეველი“ (მათე 19.14).

უფალთან რომ მიხვიდეთ, უნდა გქონდეთ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული ღვთისა და ადამიანისა, ერთგულება სამშობლოსი, პატივისცემა მშობლებისა, – მაშინ იქნებით თქვენ ბედნიერნი და გახდებით ღვთის შვილები.

ყოველ დღესასწაულზე და შაბათ-კვირას იარეთ ეკლესიაში, გულითადად შესთხოვეთ უფალს და იგი შეისმენს თქვენს ლოცვას.

ყოველდღე დაეხმარეთ გაჭირვებულს, აკეთეთ სიკეთე და ეს სიკეთე დაგიბრუნდებათ თქვენვე ათმაგად.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

თქვენთვის მლოცველი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

საგავშვო
საეკლესიო კალენდარი



1999

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წმინდა დავით აღმაშენებლის ტაძარი

საყვარელო ბავშვებო!

ამ კალენდრის შექმნის იდეა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში დაიბადა. ჩვენი სურვილია, თუ შევძლებთ, გაგიადვილოთ პირველი ნაბიჯები ეკლესიური ცხოვრების გზაზე. ამ კალენდრიდან თქვენ გაიგებთ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულების მნიშვნელობას. წაიკითხავთ წმიდანთა ცხოვრების შესახებ, შეიტყობთ რა არის მარხვა, აღსარება, ზიარება... თუ ზოგიერთი ტექსტის გაგება გაგიჭირდებათ, მოძღვარს ან მშობლებს მიმართეთ დახმარებისათვის. კარგი იქნება, თუ დაფიქრდებით იმ კითხვებზე, რომლებიც რამდენიმე ტექსტს ახლავს.

ალბათ, ეს კალენდარი ვერ ამოწურავს თქვენს ცნობისმოყვარეობას, მაგრამ იმედი გვაქვს გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. ხოლო, თუკი სურვილი გაგიჩნდებათ, უფრო მეტი იცოდეთ ამა თუ იმ წმინდანის შესახებ, ან უკეთ ჩასწვდეთ რომელიმე საიდუმლოს, ჩვენ ჩავთვლით, რომ თუნდაც მცირედით დაგეხმარეთ.

ავტორები

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის
უწმინდესის და უნეტარესის ილია-II-ის ლოცვა-კურთხევით



იანვარი 1999

ბერძენი

ძვ. ცოცილი 19 დეკემბერი

1

ქრისტეშობის წინა შაბათი.
ღირსი გიორგი მწერლისა და ძმისა საბასი.
სამოქალაქო ახალი წელიწადი ახალი სტილით.

ცაშობრი მარხვა

იანვარი 1999

შაბათი

ძვ. ცოცილი 20 დეკემბერი

2

ქრისტეშობის წინა კვირა.
მღვდელმოწ. ეგნატესი.
მართლ. იოანე კრონშტადტელისა.

ცაშობრი მარხვა

ქრისტე და ბავშვები

"და შეიტკბობდა მათ და დაასხიდა
მათ ზედა ხელთა და აკურთხევდა მათ"
მარკოზი 10,16

ყოველთვის უამრავი ხალხი იყრიდა თავს ქრისტეს მოსასმენად - ქალებს თან ბავშვები მოჰყავდათ. ქრისტე განსაკუთრებით ალერსიანი იყო ბავშვების მიმართ. მან კარგად უწყოდა მათი წმიდა გულის, სიკეთის, უბოროტობისა და გულწრფელობის ამბავი. „ნუ დაუშლით ბავშვებს ჩემთან მოსვლას, ამბობდა ქრისტე, გახსოვდეთ, ვისაც ბავშვები უყვარს და კეთილად ეპყრობა მათ, ჩემს მიმართ ჩადის სიკეთეს. მხოლოდ ის, ვისი რწმენაც ისეთივე წმიდაა და ცოცხალი, როგორიც ბავშვებისა, დაიმკვიდრებს ზეციურ სასუფეველს". ერთხელ მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს, თუ რომელი მათგანი იქნებოდა პირველი ზეციურ სასუფეველში. მან ერთ-ერთ ბავშვს დაუძახა, ჩააყენა მოწაფეებს შორის და თქვა: „ვინც ამ ბავშვივით სუფთა და მორჩილი იქნება, ის იქნება პირველი ზეციურ სასუფეველში".

-როგორ ფიქრობთ, ბავშვების რომელი თვისებები მოქმედებები და საქციელია უფლისათვის სათნო და რომელი ამწუხრებს მას?

აირჩიეთ სიტყვები ამ ჩამონათვალიდან და

კვირა

3

ძვ. სტილი 21 დეკემბერი
სულთმოფენობიდან 30-ე ქრისტეს შობ.ის
წინა წმიდა მამათა კვირა.
წმ. მაკარი მმართველისა.
მოწ. იულიანესი.

ცხრობილი მარხვა

ორშაბათი

4

ძვ. სტილი 22 დეკემბერი
დიდმოწ. ანასტასიასი.

ცხრობილი მარხვა

ჩამოწერეთ შესაბამის სვეტში: ჭირვეულობა, თვითნებობა, უხეშობა, შურიანობა, სიძუნწე, მორჩილება, სიკეთე, მხიარულება, მონდომება, უბრალოება, დაუმორჩილებლობა, გაბრაზება, კარნახი, უანგარობა, დახმარება, გაბედულება, გაფრთხილება, თვითდაჯერებულობა, უბოროტობა, მზრუნველობა, ფეთქებადობა, სიამაყე, დაუდევრობა, მშიშრობა, დიდსულოვნება, შურსიძიება, სამაგიეროს გადახდა, გულმოდგინება...

ღმერთისათვის სათნოა	ღმერთს ამწუხრებს

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

5

ძვ. სტილი 23 დეკემბერი
ათთა მოწამეთა კრიტელთა.
ღირ. პაველესი.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ ᲛᲔᲠᲬᲔᲕ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1999

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

6

ძვ. სტილი 24 დეკემბერი
ქრისტეშობის წინა დღე.
ღირ. მოწ. ევგენისა და მისთანა
მოწ.ᲨᲘ პროტისა, იაკინთესი და
კვლავდისა.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲔᲠᲬᲔᲕ.

შობა

აღმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა",
ჯერ უნახავი კაცთაგან
უცნაურ სხივოსნობისა!
გაჰკვირდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა
და იგრძნეს უფლის მონებმა.
...გაჩერდა ბეთლებს მნათობი,
ქვაზე სხივები დაჰფინა,
თქვეს მოგზაურთა,
„აქ არის ახაშობილის, სჩანს ბინა!"
შევიდნენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყმა,
ნაცვლად „მზე შინას" ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა...
...დიდება ყოვლის შემოქმედს
დიდება მისსა მცნებასა,
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა."

აკაკი წერეთელი



იანვარი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 25 დეკემბერი

იესო ქრისტეს შობა.

ხანიერი 18 ივნისამდე

იანვარი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 26 დეკემბერი
კრება ყოველადწმიდისა
ღვთისმშობელისა.
მღვდელმოწ. ექვთიმესი.

იესო ქრისტეს შობა

იესოს დედა მარიამი დანიშნული იყო იოსებზე და მათ ქორწინებამდე აღმოჩნდა, რომ მუცლად ელო სულიწმიდისაგან. იოსებს არ უნდოდა მისი შერცხვენა და განიზრახა ფარულად გაეშვა იგი. მაგრამ, ანგელოზი უფლისა ეჩვენა სიზმრად და უთხრა: ნუ შიშობ, მოიყვანო მარიამი, რადგან ვინც მასში ჩასახულია, სულის წმიდისაგან არის. და შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს (რაც ებრაულ ენაზე ნიშნავს: უფალი გვიხსნის), რადგან ის იხსნის თავის ხალხს ცოდვებისაგან. გამოიღვიძა იოსებმა ძილისაგან და მოიქცა ისე, როგორც უბრძანა ანგელოზმა უფლისა და მოიყვანა თავისი ცოლი. იმ დღეებში გამოქვეყნდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება, აღწერა ჩაეტარებინათ მთელს ქვეყანაში და ყველამ თავის ქალაქს მიაშურა ჩასაწერად. წავიდა იოსებიც იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ბეთლემი, რადგან დავითის სახლისა და გვარისა იყო. არცერთ სასტუმრო სახლში არ აღმოჩნდა ადგილი. იოსებმა და მარიამმა ერთ-ერთ გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ამ გამოქვაბულს მწყემსები იყენებდნენ ხოლმე საქონლის სადგომად. სწორედ, იქ ყოფნისას დადგა მარიამის მშობიარობის ჟამი. და შვა ძე თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა. ქრისტეს შობას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 25 დეკემბერს, ახალი სტილით 7 იანვარს.



იანვარი 1999

შაბათი



ძვ. სტილი 27 დეკემბერი
პირველმოწ. სტეფანეანი.
მარტლ. ითხებ დამწინდველისა.
დავით მეფე ფსალმუნია
მთქმელისა
და იაკობ ძმისა უფლისა.

იანვარი 1999

კვირა

ძვ. სტილი 28 დეკემბერი
სულთმოფენობიდან 31-ე
ქრისტეს შობის შემდგომი კვირა
20000 მოწ. ნიკომიდიას
დამწვართა.

მწყემსები და ანგელოზები

ბეთლემის მხარეში იყვნენ მწყემსები, რომლებიც ღამით თავიანთ ფარას მწყემსავდნენ. მათ უფლის ანგელოზი გამოეცხადათ და უფლის დიდება გამოუბრწყინდათ. მწყემსები შეშინდნენ, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: ნუ გეშინიათ, აჰა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი და მიანიშნა, რომ იპოვნიდნენ ყრმას შეხვეულს, ბაგაში მწოლარეს. უეცრად ცაზე გამოჩნდა ანგელოზთა გუნდი, რომლებიც გალობით ადიდებდნენ ღმერთს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" მწყემსები სწრაფად გამოეშურნენ ბეთლემში და გამოქვაბულში მართლაც იპოვეს იოსები, მარიამი და ბაგაში მწოლარე ყრმა. მათ დიდად გაუკვირდათ ეს ამბავი და ადიდეს ღმერთი.



იანვარი 1999



ორშაბათი

ძვ. სტილი 29 დეკემბერი
14000 ჩვილთა მოწამეთა,
მოწყვეტილთა ირودის მიერ
ბეთლემს ურიასტანისასა.

იანვარი 1999

სამშაბათი

ძვ. სტილი 30 დეკემბერი
მოწ. ანუსიასი.
ღირ. ზოტიკე ხუცისა.

მოგვების თაყვანისცემა

როცა ბეთლემში დაიბადა იესო, აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მოგვნი (წინასწარმეტყველები) იერუსალიმში და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი და მოვედით, რათა თაყვანი ვსცეთ მას. მაშინ შეძრწუნდა ჰეროდე მეფე და გამოჰკითხა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს, სად უნდა შობილიყო იესო ქრისტე. ხოლო მათ უთხრეს: იუდეის ბეთლემში. ჰეროდემ ფარულად იხმო მოგვები და შეიტყო მათგან ვარსკვლავის გამოჩენის დრო და გაგზავნა ისინი ბეთლემს და დაავალა გამოეძიათ ყრმის ამბავი, რათა თავადაც თაყვანი ეცა მისთვის. ისინიც წავიდნენ და ვარსკვლავიც წინ უძღოდათ, სანამ არ დადგა იმ ადგილს, სადაც ყრმა იყო. მათ დიდად გაიხარეს და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყრმა (ბავშვი) მარიამთან ერთად და თაყვანი სცეს მუსლმოყრით. გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური (ფისი ძალიან ძვირფასი ხისა) ღამით მოგვებს სიზმრად ეუწყათ, არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან და სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

13

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 31 დეკემბერი
წარგზავნა ქრისტეშობის
დღესასწაულისა.
ღირ. საბიანასი.
ღირ. მელანიასი.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1999

14

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 1 იანვარი
სამოქალაქო ახალი წელიწადი
ძველი სტილით.
წინადაცვეთა უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი.
წმ. შორის მამისა ჩვენისა ბასილი
დიდისა

წმიდა საბიანა, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი 13 (31.12) იანვარი

საქართველოს დედათა მონასტრებში მოღვაწე ქალები ოდითგანვე საოცარი გულმოდგინებით გამოირჩეოდნენ: გამუდმებული ლოცვა, მარხვა, ხელსაქმე და ობოლთა აღზრდა იყო მათი ძირითადი მოვალეობა. განდეგილ დედებს ხშირად აღსაზრდელად თავიანთ შვილებს აბარებდნენ საქართველოს თავად-აზნაურთა წარმომადგენლები. გიორგი მთაწმინდელის მშობლებს თავისი ქალიშვილი თეკლა წმიდა საბიანასთვის მოუყვანიათ აღსაზრდელად, რადგან მისი მონაზვნად აღზრდა სურდათ. დედა საბიანა იმ დროს სამცხის ტაძრის დედათა მონასტერს წინამძღვრობდა. წმიდა საბიანამ იგი საკუთარი შვილივით აღზარდა. შემდეგ ამ მონასტერში მიუყვანიათ შვიდი წლის გიორგი მთაწმინდელიც. მას სამი წლის განმავლობაში ზრდიდა წმიდა საბიანა.

ღირსო დედაო საბიანა, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის. ამინ!



იანვარი 1999

15

პარასკევი

ძვ. სტილი 2 იანვარი
ღირსი სერაფიმე საროველისა-
სასწაულთმოქმედისა.
წმ. სილიბისტრო რომის
პაპისა.

იანვარი 1999

16

შაბათი

ძვ. სტილი 3 იანვარი
წინასწარმეტყველი
მალაქიასი.
მოწამისა გორდისა.

ბიბლია

სიტყვა „ბიბლია" ხშირად გვესმის და, ალბათ, ბევრ თქვენგანს უნახავს კიდეც ეს წიგნი, რომელიც ყოველ ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ოჯახში. ამ წიგნს კიდევ ეწოდება „საღვთო წერილი", „წმინდა წერილი". რაც შიგ წერია, ღმერთის შთაგონებით არის თქმული. საღვთო წერილი ანუ „ბიბლია" მოგვითხრობს, როგორ შექმნა ღმერთმა უხილავი და ხილული სამყარო, ზეცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი, როგორ გააჩინა მცენარეები, ცხოველები, ადამიანი. წიგნი მოგვითხრობს, როგორ ცხოვრობდნენ პირველი ადამიანები, შემდეგ მათი შთამომავლები, როგორ ასწავლიდა ღმერთი ადამიანებს გონივრულად, ერთმანეთის სიყვარულით და სიკეთით ეცხოვრათ, როგორ ივიწყებდა ზოგჯერ ხალხი უფლის დარიგებას და უმსგავსს საქმეებს მიჰყოფდა ხოლმე ხელს; იმასაც გვაუწყებს „ბიბლია", როგორ მოევლინა ქვყნიერებას ადამიანთა საშველად და გამოსახსნელად ძე ღვთისა - იესო ქრისტე, როგორ შეიპყრეს, ტანჯეს და ჯვარს აცვეს იგი ადამიანებმა, როგორ აღდგა სიკვდილის შემდეგ, რას იქმოდნენ და რას ასწავლიდნენ ხალხს მისი მოწაფენი და მოციქულნი.



იანვარი 1999

17

კვირა

ძე. სტილი 4 იანვარი
32-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ღირსთა მამათა ჩვენთა,
შიომღვიმელ მოღვაწეთა.

იანვარი 1999

18

ორშაბათი

ძე. სტილი 5 იანვარი
წინა დღე ღვთის განცხადებისა.
წმ. მოწ. თეოპემტო ნიკომიდიელ
ეპ.
მოწ. თეონა მოგვყოფილისა.
წყლის კურთხევა. დიდი აიაზმა.
მძიმე მარხვა

უხილავი ქვეყნის შექმნა

პირველად იყო ღმერთი. შემდეგ ღმერთმა ისურვა და გააჩინა კეთილი, უსხეულო და უკვდავი სულები. ეს სულები ეცხადებიან ადამიანს და გადასცემენ მას ღმერთის ნებას. ამიტომ მათ ეწოდებათ ანგელოზები, ე.ი. მახარებლები. ანგლოზები არიან უფროსი და უმცროსნი. ზოგ უფროს ანგელოზს ეწოდება ქერუბიმი, ზოგს-სერაფიმი. ერთ უფროს ანგელოზთაგანს ეწოდება გაბრიელი, მეორეს-მიქაელი. პირველად ყველა ანგელოზი კეთილი არსება იყო. შემდეგ ერთი მათგანი გაამპარტავანდა, რისთვისაც ღმერთმა დასაჯა და ციდან განაგდო. მას მიჰბაძა ბევრმა სხვამაც და ისინი გახდნენ ბოროტი სულები. უფროსი მათგანი იწოდება ეშმაკად, სატანად, ე.ი. მაცდურად. ამრიგად, ანგელოზები იყოფიან კეთილ და ბოროტ სულებად. ბოროტები ცდილობენ ადამიანის შეცდენას, რომ მას რაიმე ბოროტი ცოდვა ჩაადენინონ. მაგრამ, თვითოეულ ადამიანს მიჩენილი ჰყავს თავისი მფარველი კეთილი ანგელოზი, რომელიც იცავს მას ეშმაკისაგან და ეხმარება კიდეც კეთილ საქმეებში. ამიტომ ყოველთვის უნდა ვევედრებოდეთ მფარველ ანგელოზს, რომ დაგვიცვას ეშმაკისაგან და ბოროტი საქმისაგან.

იანვარი 1999

ცხრაშაბათი

19

ძვ. სტილი 6 იანვარი.
ნათლისღება უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი - განცხადება.
დიდი ბიაზმა.

იანვარი 1999

ოთხშაბათი

20

ძვ. სტილი 7 იანვარი
კრება წმ. წინასწარმეტყველისა,
წინამორბედისა და
ნათლისმცემელისა იოანესი.

ცხრირიანი ლოდი

ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ყრმა იესო ცხოვრობდა ნაზარეთში იოსებსა და დედასთან ერთად და ემატებოდა ასაკი. როდესაც ოცდაათი წლისა გახდა, მივიდა იორდანეს პირას იოანესთან, რათა მონათლულიყო მისგან. იოანე მოვლინებული იყო ღმრთისაგან წინდაწინ, რათა მოემზადებინა ხალხი მაცხოვრის შესახვედრად. იგი დადიოდა გალილეის უდაბნოში და ხალხს იესოს მოსვლის შესახებ უქადაგებდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა". ვინც შეინანებდა და ირწმუნებდა მომავალ მაცხოვარს, იოანე წყლით ნათლავდა მათ. ამიტომ ეწოდება მას ნათლისმცემელი და წინამორბედი. და აი, მოვიდა იესო ქრისტე და უთხრა მოენათლა იგი. იოანე კი ეუბნებოდა: მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან? იესომ მიუგო: აღვასრულოთ ყოველი სიმართლე, რაც მოგვეთხოვება. მაშინ მიუშვა იოანემ იგი და როცა მოინათლა იესო, გაიხსნა ზეცა და სულიწმიდა მტრედის სახით დაადგა მას და გაისმა ხმა ზეცით: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნოვიყავ" (შევიყვარე). ამგვარად, იორდანეში, ნათლობისას განცხადდა სრული სამება: მამა ღმერთისაგან ხმა მოისმა, ძე ღმერთი წყალში ინათლებოდა, სული წმიდა კი მტრედის სახით ადგა მას თავზე. ამიტომ ნათლისღებას კიდევ ეწოდება „ღმერთის გამოცხადება".



იანვარი 1999

21

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 8 იანვარი
წმ. მოწ. აბო თბილელისა.
ღირ. გიორგი ქოზიბელისა.

იანვარი 1999

22

პარასკევი

ძვ. სტილი 9 იანვარი
მოწ. პოლიევქტი მხედრისა.
წმ. პეტრე სებასტიელ ეპ.

ცარიერობა ღრე

წმიდა მოწამე აბო თბილელი (786)

21 (8) იანვარი

17 წლის აბო, ბაღდადიდან გამოჰყოლია ქართლის ერისთავ ნერსეს. აბო ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქრისტიანობა მიეღო და მართლაც ნერსესთან ერთად ხაზარეთში ყოფნისას მოინათლა. შემდეგ აბო სამი წელი ქადაგებდა თბილისში ქრისტიანობას, რის გამოც, თანამემამულეებმა დაასმინეს და შეიპყრეს იგი. თუმცა, ამჯერად მალევე გაათავისუფლეს. თბილისში გაბატონებული ახალი ამირა შეპყრობას უპირებდა აბოს; მან იცოდა მოახლოებული საშიშროების შესახებ, მაგრამ თავს გაქცევით არ უშველა. „მე მზად ვარ, მოვკვდე ქრისტესათვის" ამბობდა ის. შეპყრობილ აბოს ამირამ ქრისტიანობის უარყოფა და ძველ სჯულზე დაბრუნება მოსთხოვა. უარის გამო ის ჯერ საპყრობილეში ჩააგდეს, შემდეგ კი მოკლეს. აბო სიკვდილის ბოლო წუთამდე მტკიცედ იდგა თავის მრწამსზე და სიხარულით შეხვდა სიკვდილს. მისი გვამი და ტანსაცმელი დაწვეს და მტკვარში გადააგდეს. იმ ადგილას პატარა ტაძრის მშენებლობაა განზრახული. როდესაც ხე მოჭრეს, ნახეს რომ ხის ყოველ გადანაჭერზე პატარა ჯვარი იყო გამოხატული.



იანვარი 1999

23

შაბათი

ძვ. სტილი 10 იანვარი
წმ. შორის მამისა ჩვენისა
გრიგოლ ნოსელ ეპ.

იანვარი 1999

24

კვირა

ძვ. სტილი 11 იანვარი
33-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ნათლისღების შემდგომი კვირა
ღირ. თეოდოსი დიდისა.
ღირ. თეოდოსი ანტიოქელისა.

მოდიოდა ნინო მთებით

„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა.”

ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი.
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი,-
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: -რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა” -საქართველო არის ესე...
უცხო მიწა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.

ანა კალანდაძე



იანვარი 1999

25

ორშაბათი

ძვ. სტილი 12 იანვარი
მოწ. ტატიანასი და მისთანა
რომში წამებულთა.
წმ. საბასი სერბელ ეპ.

იანვარი 1999

26

სამშაბათი

ძვ. სტილი 13 იანვარი
წარგზავნა ნათლისღების
დღესასწაულისა.
მოწ. ერმილესი.

წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი (IV) 28 (15) იანვარი

წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს უახლოესი თანაშემწენი იყვნენ. ისინი წმიდა ნინოსთან ერთად მოღვაწეობდნენ და მასთან ერთად იტანდნენ დევნასა და შევიწროებას. სალომე უჯარმელი მირიან მეფის (ხს. ახ.სტ. 14 ოქტომბერს) ვაჟის რევის ცოლი ყოფილა. პეროჟავრაც ქართლის ერისთავის მეუღლე იყო. მათ სამეფო კარზე ცხოვრების პატივს ნინოს მსახურება არჩიეს და სწავლობდნენ მისგან ლოცვას, მარხვასა და კეთილი საქმეების კეთებას. ქართლის მოქცევის შემდეგ წმიდა სალომემ პატიოსანი ჯვარი აღმართა უჯარმაში. სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა აღწერეს ქართველთა განმანათლებლის ნინოს ცხოვრება, მათი ხსენება აღინიშნება ახ. სტ. 28 იანვარს, წმიდა ნინოს ხსენების მეორე დღეს.



იანვარი 1999

ოთხშაბათი

27

ძვ. სტილი 14 იანვარი
წმიდისა დედისა ჩვენისა მოც-
სწორისა ნინოსი,
ქართველთა განმანათლებელისა.

ცამეტი ლოდი

იანვარი 1999

28

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 15 იანვარი
წმ. სალომე უჯარმელისა და
პეროჟავრა სიენიელისა.

წმინდა ნინო 27 (14) იანვარი

წმინდა ნინო დაიბადა კაბადოკიაში. წმინდა გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. სახელგანთქმული პატიოსანი მშობლები ჰყავდა. მამა ზაბულონი რომის მხედართმთავარი გახლდათ, ბრანჯთა (ფრანგების) მომაქცეველი. დედა სოსანა იერუსალიმის პატრიარქის, იობენალის და იყო. როცა ნინოს 12 წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში წავიდნენ. ზაბულონი ბერად აღიკვეცა. გამოემშვიდობა ცოლ-შვილს და სამოღვაწეოდ მდინარე იორდანის გაღმა უდაბნოში წავიდა. სოსანა კი პატრიარქმა იობენალმა დიაკონისად დაადგინა. ნინოს ზრდიდა მოხუცი ქალი სარა ნიაფორი, რომელიც უამბობდა მას ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სწორედ მისგან გაიგო ნინომ ქრისტეს კვართი (პერანგი) წარმართების (ურჯულოების) ქვეყანაში, საქართველოში რომ იყო დაფლული. უფლის კვართის ისტორია რომ შეიტყო, ნინო გამუდმებით ეკვედრებოდა ღვთისმშობელს, სამეფო ქალაქის, მცხეთის ნახვა და კვართის თაყვანისცემა ღირსებოდა. ერთხელაც, ლოცვის დროს იგი ღვთისმშობლის სენაკის (პატარა სახლი) წინ აღმოჩნდა. ნინოს ზემოთ რტოებგაშლილი ვაზი განფენილიყო. გამოვიდა დედოფალი და უთხრა: „ჩემს წილხვდომილ



იანვარი 1999

29

პარასკევი

ძვ. სტილი 16 იანვარი
თაყვანისცემა პატიოსანთა
ჯაჭვთა წმ. მოც. პეტრესი.
მოწ. დანაქტისა.

ცარიელი დღე

იანვარი 1999

30

შაბათი

ძვ. სტილი 17 იანვარი
ღირ. ანტონი დიდისა.

ქვეყანაში, საქართველოში (მაშინ როცა მოციქულებმა წილი ყარეს, ვის რომელ ქვეყანაში ექადაგა სახარება, ღვთისმშობელს საქართველო ერგო წილად. ვინაიდან იგი უკვე ხანში იყო შესული, ვერ შეძლო წამოსვლა და ანდრია პირველმოციქული გამოაგზავნა საქადაგებლად) გაგიშვებ საქადაგებლად. წადი და მხდნედ იქადაგე ჭეშმარიტებაო. ამ ხილვისაგან შეძრწუნებულ ნინოს აღმოხდა: „როგორ შევძლებ დედოფალო, მე სუსტი ქალი ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს ან რითი შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას?" მაშინ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა იქვე მოწყვეტილი ვაზისგან გაკეთებული ჯვარი გადასცა ნინოს და უთხრა: „ამით განაგდებ და დასძლევ ეშმაკს. ეს ჯვარი წაგიძღვება უცხო ქვეყანაში. ნუ შეგეშინდება. მე არასოდეს დაგტოვებ მარტო". წმინდა ნინო როცა გონს მოეგო, ხელში ჯვარი ეჭირა. გაოგნებული ადიდებდა ღმერთს და მადლობას უხდიდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადების შესახებ წმინდა ნინომ ბიძამისს, იობენალს უამბო და სთხოვა საქართველოში საქადაგებლად გაეშვა. პატიარქმა აკურთხა ერთადერთი დისწული და გზა დაულოცა. უამრავი განსაცდელი გადაიტანა გზაში, მარტომყოფმა 16 წლის ქალწულმა.

გაგრძელება იხ. 4-5 თებერვლის გვ-ზე.



იანვარი 1999

31

კვირა

ძვ. სტილი 18 იანვარი
კვირა მეზსვერისა და
ფარისეველისა.
ღირ. ეფრემ მცირისა.
ღირ. ალექსი შუშანიასი.

თებერვალი 1999

1

ორშაბათი

ძვ. სტილი 19 იანვარი
ღირ. ანტონ მარტყოფელისა.
მაკარი დიდისა.

ღირსი მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია) 31 (18) იანვარი

მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია) XIX-XX საუკუნეებში მოღვაწეობდა. მამა ადრე გარდაეცვლა. გადაწყვიტა ვაჭრობა ესწავლა. ამის გამო წავიდა კონსტანტინოპოლში (ახლანდელი სტამბული). მოეწონა კიდეც ხელობა მაგრამ... თვითონ ღირსმა ალექსიმ ასე აღწერა თავის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება: „ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივად ბიძის ოთახში შევედი, რაღაც ძალამ ელვასავით იელვა ჩემს თავზე და მთელი ჩემი არსება არაჩვეულებრივმა მოვლენამ შეიპყრო. მყის (უცბად) მოვლბი და გარდავიხარე ლოგინზე. შემდგომ აღვიმართე და ვგრძნობდი ჩემთვის მოულოდნელ და გამოუთქმელ ძალას, რომელიც ალისებრ ანთებული მოძრაობდა სიტკბოებით ჩემს შინაგანში. უცებ გავიგონე სიტყვები პირის უხილავად ჩემს წინ მდგომარისა, რომელიც მეუბნება: „აწ შენ ქრისტეს მოწაფე უნდა გახდე, ბერად უნდა შესდგეო". ამ ჩვენების შემდეგ ალექსიმ გადაწყვიტა, მინდობოდა ღმერთს. მიატოვა დედა, დები, ძმები, ნაცნობ-მეგობრები და მონაზვნად აღკვეცა გადაწყვიტა. დიდი მარხვის წითელი პარასკევის ღამეს ჩვენება იხილა: ამბიონზე მდგარმა



თებერვალი 1999

2

ცხემსბსთი

ძვ. სტილი 20 იანვარი
ღირ. ექვთიმე დიდისა.
მოწ. ინნა, პინნა, და რიმმასი.

თებერვალი 1999

3

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 21 იანვარი
ღირ. მაქსიმე აღმს.
მოწ. ნეოფიტესი.
ღირ. მაქსიმე ბრძენისა.

მცდელობა.

უფალმა აზიარა. ერთი კვირის შემდეგ თეკლათის მონასტერში ბერად შედგა. ბერად აღკვეცილი ალექსი მკაცრად იცავდა მარხვას, დადიოდა სოფლებში და უვლიდა ჭლექით, ქოლერით დაავადებულებს. სენაკში მას კაცის სიმაღლე ჯვარი ჰქონდა, რომელსაც ლოცვის დროს ზურგზე იკიდებდა, ეს მას გოლგოთის მთაზე მიმავალ ქრისტეს ახსენებდა. გარდაცვალების წინ მონაზონ ფასტოს დაუბარა: რომ მოვკვდები, რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, მონასტერი არ დატოვოთ, რადგან სულით მუდამ თქვენთან ვიქნებიო. გარდაცვალების შემდეგ 40 დღე ეცხადებოდა მას. 1923 წელს, 18 იანვარს ღირსი ბერი, ალექსი (შუშანია) გარდაიცვალა. დაკრძალეს თეკლათის დედათა მონასტერში. 1960 წლის 8 იანვარს იღუმენია ფასტომ და მონაზონმა აკეფსიმამ ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ეფრემის ლოცვა-კურთხევით, მამა ალექსის უხრწნელი გვამი თავის აგებულ მეჯის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადმოასვენეს.



თებერვალი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 22 იანვარი
მოც. ტიმოთესი.
მოწ. ანასტასი სპარსისა.

თებერვალი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 23 იანვარი
მღვდლმოწ. კლიმისა.
მოწ. აღათანგელოსისა.

მცგეთი.

მცხეთაში სწორედ იმ დღეს შევიდა, როცა არმაზის კერპის საპატივცემულოდ დიდი ზეიმი იყო გამართული. წმინდა ნინო შეძრწუნდა, როცა იხილა უამრავი ხალხი როგორ სცემდა თაყვანს კერპებს, როგორ იღუპებოდა ამდენი სული. განმარტოვდა და ტირილით შეევედრა უფალს, დაეხსნა ეს საწყალი ადამიანები ბოროტისაგან. ლოცვის დამთავრებისას საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც შემუსრა კერპები და მიწასთან გაასწორა ირგვლივ ყველაფერი. წმინდა ნინო ლოცვითა და ღვთისმშობლის ნაბოძები ჯვრით უამრავ სასწაულს აღასრულებდა. სიკვდილის პირას მისულ ავადმყოფებს კურნავდა, უშვილოებს შვილს აძლევდა. ქრისტეს შემწეობითა და თავისი ღვაწლით მთელი საქართველო მოაქცია. 326 წელს საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, აღიმართა სვეტიცხოველის ტაძარი.

წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა. მისი ანდერძისამებრ იქვე დაკრძალეს. მეფე მირიანმა მის საფლავზე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო. წმინდა ნინოს ჯვარი ინახება სიონის საკათედრო ტაძარში.



თებერვალი 1999

შაბათი

ძვ. სტილი 24 იანვარი
ღირ. დედისა ქსენიასი.
ღირ. მაკედონელისა.

თებერვალი 1999

კვირა

ძვ. სტილი 25 იანვარი
კვირა უძღები შვილისა.
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა.

დავით აღმაშენებელი 8 (26.01) თებერვალი

XI საუკუნეში, როცა საქართველო ფიზიკური და სულიერი გადაშენების გზაზე აღმოჩნდა, გიორგი II-მ თავისი ერთადერთი 16 წლის ვაჟი დავითი გაამეფა. ეს მოხდა 1089 წელს.

დავით IV-მ ქვეყნის აღდგენა დიდი თურქობის დროს გაქცეული ქართველების სამშობლოში დაბრუნებით დაიწყო, აღკვეთა ფეოდალური თავგასულობა, ჩაატარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1103 წელს). ამ კრებამ აღუდგინა ქართულ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას პატივი და ავტორიტეტი. მეფემ შექმნა მუდმივი ქართული ლაშქარი, რომელიც 45 000 კაცისაგან შედგებოდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი დავით მეფის ცხოვრებაში დიდგორის ომია. 1121 წლის აგვისტოს თვეში თურქ-სელჩუკთა ლაშქარი მანგლისსა და დიდგორს მოადგა. დავით მეფე მტერს 56 000 მეომრით შეხვდა. ბრძოლის წინ დავით მეფემ ასე მიმართა ჯარს; „ქრისტეს მხედარნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად ვიბრძოლებთ, მარტო ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს კი არა, თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. ყველამ ხელაპყრობით აღვუთქვათ ღმერთს, რომ მისი სიყვარულისათვის



თებერვალი 1999

8

ორშაბათი

ძვ. სტილი 26 იანვარი
წმ. დავით აღმაშენებელისა.
ღირ. ქსენეფორესი.

თებერვალი 1999

9

სამშაბათი

ძვ. სტილი 27 იანვარი
წმ. იოანე ოქროპირისა.

ამ ბრძოლის ველზე მოკვდებით და არ გავიქცევით. გაქცევაც რომ მოვინდომოთ, ხეობის შესასვლელი ხის ხშირი ხერგებით შევკრათ და მტრებს მტკიცე გულით შევუტიოთ"

დიდგორის ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ბაღდადის მმართველს, ილღაზს, ქართველები პირველსავე დღეს ისე მიუახლოვდნენ, რომ ოქროს ძვირფასი მანიაკი ჩამოგლიჯეს გულიდან, რომელიც შემდგომ გამარჯვების აღსანიშნავად ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირეს.

მემატიანე წერს, დიდგორის ბრძოლაში წმიდა მოწამე გიორგი ცხადად მიუძღვოდა წინ ქართველთა ლაშქარს, მათთან ერთად იბრძოდაო.

დიდგორის ომის შემდეგ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. უფალი შემწედ ჰყავდა ღვთის მადიდებელ მეფეს.

ჯერ კიდევ 1106 წელს დავით მეფემ გელათის მონასტრის მშენებლობა დაიწყო: დავითმა მას დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა, მოიწვია განსწავლულნი კაცნი და უმაღლესი სასწავლებელი გელათის აკადემია დააარსა. აქ მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი,



თებერვალი 1999

10

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 28 იანვარი
ღირ. ეფრემ ასურისა.
პალადი მეუდაბნოისა და ისააკ
ასურისა.

ნამარხი ლოდ

თებერვალი 1999

11

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 29 იანვარი
წმ. მოწ. აშოტ
კურაპალატისა.
მღვდელმოწ. ევნატე
ღმერთშემოსილისა.

თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭის ძე, არსენ იყალთოელი. გელათს აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმს ეძახდნენ.

მეფემ სნეულთათვის თავშესაფარი ააშენა და თვითონაც ხშირად დადიოდა ავადმყოფების მოსანახულებლად, ამხნევებდა მათ. დავითს ყოველთვის თან დაჰქონდა ქისა მოწყალების გასაცემად. როცა დააცარიელებდა, უხაროდა, თუ დღის ბოლომდე ყველაფერს ვერ გასცემდა, მწუხარედ იტყოდა: „დღესა ვერ მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა."

განსწავლული და მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა მეცნიერებათა წვდომას ანდომებდა. დავითს წიგნები ომშიაც თან დაჰქონდა, ჯორებით და აქლემებით დაატარებდა. ყველაზე უფრო წმიდა წერილის კითხვა უყვარდა.

დავით მეფე თვითონაც ჰიმნოგრაფი იყო. მისი „გალობანი სინანულისანი" სულიერებით უტოლდება ეკლესიის ჰიმნოგრაფების (სასულიერო პოეზია) ნაწარმოებებს. ამ ნაწარმოებში მეფემ მწარე გოდებით მოიხსენია ყველა ცოდვა, ნებსით თუ უნებლიედ ჩადენილი და შეწყალება გამოსთხოვა უფალს.



თებერვალი 1999

პარასკევი

12

ძვ. სტილი 30 იანვარი
წმ. მამათა ბასილი დიდისა.
გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა.
წმ. მღვდელმოწ. იპოლიტე რომის პაპისა.

კვირიკობა

თებერვალი 1999

13

შაბათი

ძვ. სტილი 31 იანვარი
ხორციელის შაბათი.
მიცვალებულთა ხსენება.
წმ. კვიროს და იოანესი და მათთანა წამებულთა.

1125 წელს მეფემ ანდერძი დაწერა და თავისი ხელით დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე. თვითონ კი 53 წლის ასაკში აღესრულა. წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტრის შესასვლელში.

***

ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი
ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
-ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე."
თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ჰქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
-გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა.

ანა კალანდაძე



თებერვალი 1999

14

კვირა

ძვ. სტილი 1 თებერვალი
ხორციელის კვირა.
მოწ. ტრიფონისა.
ხორცის აღება.

თებერვალი 1999

15

ორშაბათი

ძვ. სტილი 2 თებერვალი
მირქმა იესო ქრისტესი.

მირქმა

ებრაელების კანონების თანახმად, დაბადებიდან მეორმოცე დღეს მშობლებს თავიანთი შვილი ტაძარში უნდა მიეყვანათ განსაწმენდად და შესაწირავიც მიერთმიათ უფლისათვის: მდიდარს – მდიდრული, ღარიბს კი – ორი გვრიტი ან ორი ხუნდი მტრედისა. მარიამმა და იოსებმაც შობიდან მეორმოცე დღეს იერუსალიმში წაიყვანეს იესო. იმ დროს იქ ცხოვრობდა ვინმე სვიმეონი, კაცი მართალი და ღვთისმოსავი. მას ნაუწყები ჰქონდა სული წმიდის მიერ, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე არ იხილავდა მაცხოვარს, რომელსაც იმ დროს ყველა მოელოდა. სული წმიდის შეგონებით სვიმეონი მივიდა იერუსალიმის ტაძარში იმ დროს, როდესაც მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, ხელში აიყვანა (მიირქვა) იგი და თქვა: ახლა აღსრულდა ჩემზე შენი ბრძანება უფალო და დროა გარდავიცვალო, რადგან ჩემი თვალით ვიხილე ქვეყნიერების მხსნელი. იოსები და მარიამი გაოცებული უსმენდნენ უცნობ მოხუცს. სვიმეონმა ისინიც დალოცა და ნაზარეთს დაბრუნდნენ. ამავე დროს იერუსალიმის ტაძარში იმყოფებოდა წინასწარმეტყველი ანნა, ოთხოცდაოთხი წლის ქვრივი, რომელიც ადიდებდა ღმერთს და იესოზე ელაპარაკებოდა ყველას, ვინც ხსნას ელოდა იერუსალიმში.



თებერვალი 1999

ცამეშვიდითი

16

ძვ. სტილი 3 თებერვალი
მართლისა სვიმეონ ღვთისმიმრქმელისა
და ანნა წინასწარმეტყველისა.
წინასწარმეტყვ. აზარიასი.
მოწ. კლავდიანესი, დიოდორესი,
ადრიანესი და ევბულისა.
მოწ. ვლასისა.

თებერვალი 1999

17

ოთხშვიდითი

ძვ. სტილი 4 თებერვალი
ღირ. ევავრესი.
ღირ. ისიდორე პილუსიტელისა.

მგვიანი

ღირსი ევაგრე

ევაგრე შიო მღვიმელის მოწაფე გახლდათ, მანამდე კი ციხედიდის მთავარი იყო. მას ქრისტესმოყვარე მშობლები ჰყავდა. ერთხელაც მოინდომა სანადიროდ წასვლა; შეკრიბა ლაშქარი და სარკინეთის მთაზე ავიდა. იმ მიდამოებში მაშინ წმინდა მამა შიო მღვიმელი მოღვაწეობდა. როცა მარტო დარჩა ევაგრე, ის ქათქათა მტრედი დაინახა, რომელსაც შიო მღვიმელისათვის ღვთისმშობლის მიერ გამოგზავნილი საზრდო მიჰქონდა. ევაგრე მიჰყვა მის კვალს და მიადგა გამოქვაბულს, სადაც შიო მღვიმელი იყო დაყუდებული. წმინდანის დანახვისთანავე ევაგრემ გადაწყვიტა მასთან დარჩენა. ბერმა იუარა, გეტყობა ფუფუნებაში ხარ გაზრდილი და ამ უდაბნოში ვერ გაძლებო, ეუბნეობდა. ის კი დაჟინებით იმეორებდა: "დღესვე რომ მომკლან შენ არ დაგტოვებო".

შიო მღვიმელმა მაშინ თავისი კვერთხი მისცა და უთხრა: „წადი, ჩემი კვერთხი მტკვარში ჩაყავი, მდინარე ორად გაიყოფა და გზას მოგცემს, მიდი სახლში მოაწესრიგე ყველაფერი. უკან ისევ ამ კვერთხის საშუალებით დაბრუნდი. თუ მდინარე გაიყოფა და გზას მოგცემს, მაშინ მოდი ჩემთან, თუ არა, მაშინ იცოდე, რომ ღმერთს არ სურს შენი ბერად აღკვეცა და სახლში გაბრუნდიო." ევაგრე ისე მოიქცა, როგორც წმინდა მამამ უბრძანა. მართლაც, სასწაულმოქმედმა კვერთხმა მდინარე ორად გაყო.

წმინდა ევაგრე განსაკუთრებით მორჩილების სათნოებით გამოირჩეოდა.



თებერვალი 1999

18

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 5 თებერვალი
ღირ. მამისა შიო მღვიმელისა.
მოწ. აღათიასი.

თებერვალი 1999

19

პარასკევი

ძვ. სტილი 6 თებერვალი
ღირ. არსენ იყალთოელისა და
ვუკოლე სმირნელ ეპ.
წმ. ფოტი პატრ.

მზეთვალი

წმიდა მოწამე აშოტ კურაპალატი (829)

11 (29.01) თებერვალი

VIII საუკუნის ბოლოს, 786 წელს ქართლის ერისმთავარი გახდა აშოტი. ამ დროს საქართველო ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი და აშოტმა მისი გაერთიანებისთვის დაიწყო ბრძოლა. მან შეძლო, სამი წლით შემოეერთებინა თბილისი და ბარდავი. მაგრამ შემდეგ არაბები კვლავ გაძლიერდნენ და ისევ ჩაიგდეს ხელთ დედაქალაქი. აშოტი იძულებული გახდა, ქართლს გარიდებოდა და საბერძნეთში წასულიყო. ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან სამეფო ოჯახი დასასვენებლად შეჩერდა, მძინარეებს სარკინოზთა ლაშქარი დაესხა თავს. მცირერიცხოვან სპას დამარცხება ელოდა, მაგრამ „შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატს და კნინსა ლაშქარსა მისსა.'' ქართველებმა გაიმარჯვეს. ერისმთავარმა ამ გამარჯვებაში ღვთის ნიშანი განჭვრიტა, საბერძნეთში წასვლა გადაიფიქრა და შავშეთ-კლარჯეთში დარჩენა გადაწყვიტა. აქ აშოტი დანგრეული ქვეყნის აღდგენას შეუდგა. მან აღადგინა არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და წმიდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია ააგო. კლარჯეთი - საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად ქცეული, სულიერადაც მტკიცდებოდა. ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელის (ხს. 5 ოქტომბერი) და მისი თანამოსაგრეების ძალისხმევით უდაბნო დაბა-სოფლებად იქცეოდა, შენდებოდა ეკლესია



თებერვალი 1999

შაბათი

20

ძვ. სტილი 7 თებერვალი
სსენება ყოველთა ღირსთა მამათა.
ღირ. პართენისა და ლუკა
ელადელისა.
1003 ნიკომიდიელ მოწამეთა.
მირქმის წარგზავნა.

თებერვალი 1999

კვირა

21

ძვ. სტილი 8 თებერვალი
ყველიერის კვირა.
მიტევებისა.
მოწ თეოდორე სტრატილატისა.
წინასწარმეტყველი ზაქარიასი.
წმ. საბასი.*დიდი აღება.*

- მონასტრები, ყალიბდეობდა ლიტერატურული სკოლა. საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აშოტი ღვთის მოშიში და მოყვარული იყო. იგი ყველანაირად ეხმარებოდა ღირსი გრიგოლის კეთილ საქმეს. ღვთისა და ქვეყნის მოყვარული მეფე მთელი ქართლის დაბრუნებისთვის ემზადებოდა, მაგრამ „მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი". აშოტი საბრძოლველად მოემზადა, მალემსრბოლელი გაგზავნა ლაშქრის შესაკრებად, მაგრამ, სანამ ჯარი შეიკრიბებოდა, „დაუსხნეს სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი." ხელმწიფემ ნიგალის ხევს მიჰმართა და ლაშქრის ძიება დაიწყო. საუბედუროდ, წვეულთა შორის მოღალატენი აღმოჩნდნენ. მეფე გვიან მიხვდა ღალატს. მან თავი ტაძარს შეაფარა, მაგრამ მოღალატეებმა იქაც შეაღწიეს და მახვილით განგმირეს იგი. ასე მოწამეობრივად აღესრულა პირველი ბაგრატოვანი ხელმწიფე. „კეთილად მორწმუნეი, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაი მისი და შვილთა მისთაი". წმიდა მოწამის აშოტ დიდის ნეშტი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ ეკლესიაში, რომელიც წმიდა მოციქულთა, პეტრესა და პავლეს სახელზე იყო აგებული.



თებერვალი 1999

ორშაბათი

22

ძვ. სტილი 9 თებერვალი
პირველი შვიდეული დიდი
მარხვისა.
მოწ. ნიკიფორესი.

ლანდაფარი ლიტი მარხვისა.

თებერვალი 1999

სამშაბათი

23

ძვ. სტილი 10 თებერვალი
ღირ. მამისა იოანე
ჭიმჭიმელისა.
მოწ. ხარალამპისა.

ლიტი მარხვა

ხილული ქვეყნის შექმნა

ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, ღმერთმა შექმნა არაფრისაგან. ხილული ქვეყანა ღმერთმა ექვს დღეში გააჩინა. პირველად ღმერთმა თქვა: იყოს ნათელი და იქმნა ნათელი და ნათელი გაჰყო ბნელისაგან და უწოდა ნათელს დღე და ბნელს-ღამე. გაჩნდა პირველი დღე. შემდეგ ღმერთმა ბრძანა: იქმენინ სამყარო (ე.ი. ხილული ცა) და გაჩნდა სამყარო, და იყო მეორე დღე. მესამე დღეს ღმერთმა შეკრიბა წყლები და გაჰყო ისინი ხმელეთისაგან და უწოდა ხმელეთს მიწა და წყლის შესაკრებელს-ზღვა. მიწას უბრძანა აღმოცენება ყოველივე მცენარისა. მეოთხე დღეს ღმერთმა ბრძანა და გაჩნდა მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მეხუთე დღეს ღმერთმა შექმნა თევზები, ქვეწარმავალნი და ფრინველები. მეექვსე დღეს კი ყველა ოთხფეხი ცხოველი და მათ შემდეგ ადამიანი.



თებერვალი 1999

ოთხშაბათი

24

ძვ. სტილი 11 თებერვალი
მღვდელმოწ. ვლასისა სებასტიელ ეპ.
მართლ. დედოფ. თეოდორასი.

დიდი მარხვა

თებერვალი 1999

ხუთშაბათი

25

ძვ. სტილი 12 თებერვალი
დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა.
წმ. პროხორე ქართველისა.
ლუკა იერუსალიმელისა.
ნიკოლოზ დვალისა.
წმ. მელეტი ანტიოქელ მთავარეპ.

დიდი მარხვა

წმიდა ნიკოლოზ დვალი (1314)
25 (12) თებერვალი

წმიდა მოწამე ნიკოლოზი დედას შობითგანვე უფლისათვის შეუწირავს. იგი 12 წლის ასაკში კლარჯეთის უდაბნოში წავიდა, იქ აღიკვეცა ბერად და დაიწყო მოღვაწეობა. იერუსალიმში წმიდა ადგილთა თაყვანსაცემად წასულს, გადაუწყვეტია, მონასტერში დამკვიდრებულიყო. აქ მას მოწამეობრივად აღსრულების სურვილი გაუჩნდა. მაცხოვრის საჯარო აღიარებისთვის უსჯულოებმა შეიპყრეს ნიკოლოზი და სტანჯავდნენ, მაგრამ ქრისტიანებმა იგი გამოიხსნეს. მონასტრის წინამძღვარმა ნიკოლოზი კვიპროსზე ქართველთა მონასტერში გაგზავნა. წმიდა ბერი მოწამეობრივ აღსასრულს ეევედრებოდა უფალს. ერთხელ, წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხატის წინ ლოცვისას, ხმა შემოესმა: „ნიკოლოზ, აღდეგ და იერუსალიმს წარვედ და მუნ არის ბერი ქართველი და მან გასწაოს გზაი ცხოვრებისაი და წამებისა გზასა განგამტკიცოს, რამეთუ მისდა ბრძანებ არს შენთვის, რაითა გმართებდეს". წმიდა ნიკოლოზი დაბრუნდა იერუსალიმში, ნახა ბერი და აუწყა მომხდარი. ბერმა ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ ყოვლადწმიდა



თებერვალი 1999

პარასკევი

26

ძვ. სტილი 13 თებერვალი
ღირ. მარტინიანესი.
ღირ. ევლოგი ალექსანდრიელ
მთავარეპ.

დიდი მარხვა

თებერვალი 1999

შაბათი

27

ძვ. სტილი 14 თებერვალი
ღირ. ავქსენტისა.
ღირ. მირონ სირიელ
მეუდაბნოესი.

დიდი მარხვა

ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის მიერ მიიღო გამოცხადება: წმიდა ნიკოლოზი დამასკოში უნდა გაეგზავნა. დამასკოში წმიდანმა წარმართთა შორის ქადაგება დაიწყო, რის გამოც შეიპყრეს და სასტიკად გვემეს. მიტროპოლიტმა და ქრისტიანებმა ძლივს მოახერხეს მისი გამოხსნა. ახლად გამოხსნილი კვლავ მივიდა წარმართთა შესაკრებელში და გმობდა მათ უსჯულოებას. ამისთვის ნიკოლოზი კვლავ შეიპყრეს და გვემეს. წმიდა მოწამე ნათლისმცემლის სასწაულებრივი გამოცხადებით განიკურნა წყლულთაგან, ორი თვის შემდეგ კი კვლავ განთავისუფლდა. იერუსალიმში გასამგზავრებლად მომზადებული ნიკოლოზი ქალაქის ამირამ იცნო და ამირთ-ამირას დენგიზს გაუგზავნა, რომელმაც მისი მოკვდინება ბრძანა, თუ არ გამაჰმადიანდებოდა. მოწამემ გაბედულად აღიარა ქრისტე და სიხარულით მოუდრიკა მახვილს ქედი და თქვა: "დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს მყავ შენთავე სიკუდილსა." მისი წამების ადგილს სამი დღე ნათლის სვეტი ადგა.

წმიდა ნიკოლოზ დვალი ეწამა 1314 წლის 19 ოქტომბერს.



თებერვალი 1999

28

კვირა

ძვ. სტილი 15 თებერვალი
პირველი კვირა დიდი მარხვისა.
მართმადიდებლობის ზეიმი.
მოც. ონისიმესი.

ლიტი მკრეხელ

მარტი 1999

1

ორშაბათი

ძვ. სტილი 16 თებერვალი
მოწ. პამფილე ხუცესისა.
ლირ. მარუთასი.

ლიტი მკრეხელ

მრწამსი

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების ყველა ძირითადი საკითხი მოკლედ მოცემულია მრწამსში. მასში 12 მუხლია (წევრი), რომელიც ყველა ქრისტიანმა უნდა იცოდეს. ეს ტექსტი წმინდა მამებმა დაადგინეს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, ჯერ კიდევ IV საუკუნეში და მას შემდეგ წმინდად ინახება მართლმადიდებელ ეკლესიაში. მას ყველა ერთად ვამბობთ ლიტურგიაზე. მოდით კარგად გავიგოთ და ვისწავლოთ იგი: 1. **მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა;** მრწამს-მწამს, დარწმუნებული ვარ. ყოვლისა მპყრობელი-ის, ვინც თავისი ძალით ყველაფერს ინარჩუნებს და მართავს. შემოქმედი-შემქმნელი. 2. **და ერთი უფალი, იესო ქრისტე ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა.** ერთი-ერთადერთი, რომელი-რომელიც, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა - ყველა დროზე წინ, მარადიული.

3. **ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.**



მარტი 1999



სამშაბათი

ძვ. სტილი 17 თებერვალი
დიდმოწ. თეოდორე ტირონისა.
მართლისა მარიამისა.

მარტი 1999

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 18 თებერვალი
წმ. ნიკოლოზ კათალიკოსისა.
წმ. ლეონ რომის პაპისა.

ლიდი მარხვა



„შობილი და არაქმნილი ერთარსი მამისა- რომელსაც მამა ღმერთის არსი (ბუნება გააჩნია), რომლისაგან ყოველი შეიქმნა - ე.ი. ღმერთმა შექმნა ყოველივე.

4. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა. ხორცნი შეისხა - მიიღო ადამიანის სხეული. განკაცნა-გახდა ადამიანი, ჩვენი მსგავსი, მაგრამ ღვთაებრივი ბუნება არ დაუკარგავს. 5. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. დაეფლა- დაიმარხა, ივნო-ეწამა 6. და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა. 7. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა. ამაღლდა - ზეცად ავიდა. 8. და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ; კვალად- ისევ, მეორედ. მკვდართა- გარდაცვლილები, ვისი სხეულიც მეორედ მოსვლის დროს აღდგება, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ-განსჯის შემდეგ დამყარდება მისი სამუდამო მეუფება. 9. და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების,



მარტი 1999



ხუთშაბათი

ბვ. სტილი 19 თებერვალი
მოც. არქიფო და ფილიმონისა
(სამეოცდაათთაგანთა).

ლიდი მარხვა

მარტი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 20 თებერვალი
წმ. ლეონ·კატანელ ეპ.
წმ. აღათონ რომის პაპისა.

ლიდი მარხვა



რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ. ცხოველსმყოფელი-სიცოცხლის მიმნიჭებელი. თაყვანისიცემების და იდიდების-სული წმიდა ისე უნდა იდიდებოდეს, როგორც მამა და ძე, რადგან იგი თანაწორია მამისა და ძისა. იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ-სული წმიდა მეტყველებდა წინასწარმეტყველთა პირით. 10. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ერთი-ერთადერთი. კათოლიკე-შეთანხმებული, ერთსულოვანი, რომელიც მოიცავს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელ ადამიანებს ყველა ერიდან და დროიდან. სამოციქულო-დაფუძნებული ქრისტეს მოციქულების მიერ და მისი სწავლების ერთგული. 11. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა. აღვიარებ-აშკარად ვაღიარებ, სიტყვით და საქმით. ერთსა-მხოლოდ ერთს. 12. მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა შერმისსა მის საუკუნესა, ამინ!



მარტი 1999



შაბათი

ძვ. სტილი 21 თებერვალი
წმ. ტიმოთე სიმეონელისა.
წმ. ევსტათი ანტიოქიელისა.
მიცვალებულთა ხსენება.

მარტი 1999

კვირა

ძვ. სტილი 22 თებერვალი
მე-2 კვირა დიდი მარხვისა.
ღირ. გრიგოლ პალამასი.
ცხრა ძმათა კოლაელთა.
ღირ. ათანასე აღმს.

დიდი მარხვა



ცხრა ყრმა კოლაელნი 7 (22.02) მარტი

მტკვრის სათავესთან არის პატარა სოფელი კოლა, სადაც ადრე, დაახლოებით მეექვსე საუკუნეში, ქრისტიანებთან ერთად ბევრი წარმართიც ცხოვრობდა. მათი შვილები სულ ერთად თამაშობდნენ და ერთად დადიოდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში. ცხრა კოლაელ წარმართ ბავშვს, ასე 7-9 წლისას, მოეწონათ ქრისტიანობა, ეკლესია და მშობლებისაგან ფარულად მონათვლა გადაწყვიტეს. ნათლობა შედგა ზამთრის სუსხიან ღამეს, მდინარე მტკვარში. როცა ბავშვები მდინარეში ჩავიდნენ, გაყინული წყალი გათბა. ღვთის ბრძანებით, ანგელოზებმა ისინი ნათლით შემოსეს. ანგელოზთაგან განმტკიცებულმა ბავშვებმა სახლში დაბრუნება აღარ მოისურვეს და ქრისტიანებთან დარჩნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მშობლებმა გაიგეს შვილების საქციელი, მიუვარდნენ ქრისტიანებს და ცემით დააბრუნეს შვილები სახლში. ბავშვებს ვერც ჩხუბით, ვერც მოფერებით ვერ აჭამეს ნაზორევი (კერპებისათვის შესაწირი) საჭმელი. შვიდი დღე-ღამის მანძილზე მშიერ-მწყურვალნი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩვენ ქრისტიანები ვართ.”



მარტი 1999





ორშაბათი

ძვ. სტილი 23 თებერვალი
მღვდელმოწ. პოლიკარპე სმირნელ ეპ.
ღირ. ალექსანდრესი.

დიდი მარხვა

მარტი 1999

სამშაბათი

ძვ. სტილი 24 თებერვალი
პირველად და მეორედ პოვნა
პატიოსნისა თავისა იოანე
ნათლისმცემელისა.

დიდი მარხვა



შვილებზე განრისხებული მშობლები მთავართან მივიდნენ რჩევისათვის. მთავარმა უთხრა, შვილები თქვენია და როგორც გსურთ, ისე დასაჯეთო. ბევრი ხალხი შეგროვდა ბავშვების დასჯის დღეს. წარმართების მთავარიც იქ იყო. ამოთხარეს ორმო, ჩაყარეს შიგ ბავშვები და ქვებით ჩაქოლეს. წარმართებმა სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც, რომელმაც მონათლა პატარები. ეს ამბავი VI საუკუნეში სამხრეთ საქართველოში მოხდა. ბავშვების სახელებია: გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი და ფარსმანი.

ჩემი ვედრება

(ნაწყვეტი)

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა,
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა!
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა!

ვაჟა-ფშაველა



მარტი 1999





ოთხშაბათი

ძვ. სტილი 25 თებერვალი
წმ. ტარასისა. კონსტანტინეპოლ.
მთავარეპ.

დიდი მარხვა

მარტი 1999



ხუთშაბათი

ძვ. სტილი 26
თებერვალი
წმ. პორფირე მთავარეპ.
მოწ. სებასტიანესი.

დიდი მარხვა



ახალი აღთქმა

„ბიბლიის" პირველ ნაწილს, რომელიც ქრისტეს მოსვლამდე მომხდარ ამბებს გვაცნობს, „ძველი აღთქმა" ჰქვია, მეორე ნაწილს, იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების თავგადასავლის მომთხრობელს - „ახალი აღთქმა". თავის მხრივ, „ახალი აღთქმა" რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ამ ნაწილთაგან უმთავრესია ოთხი სახარება. აღთქმა - არის პირობა, მოლაპარაკება, კანონი. სიტყვა „ბიბლია" ბერძნულია და „წიგნებს" ნიშნავს. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ "ძველი აღთქმაც" და „ახალი აღთქმაც" სხვადასხვა წიგნებისაგან შედგება. ბიბლიის ცალკეულ წიგნებს მრავალი საუკუნის განმავლობაში ქმნიდა სხვდასხვა ავტორი. მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრება და მისი სწავლება აღწერილია წიგნში, რომელსაც ეწოდება სახარება. სახარება - სიხარული, სასიხარულო ამბავი იმის შესახებ, რომ მაცხოვარი მოვიდა დედამიწაზე, რათა გაუხსნას ადამიანებს გზა ზეციური სამყაროსაკენ, მარადიული სიცოცხლისაკენ. იგი გვასწავლის ამქვეყნად ცხოვრებას ღვთის მცნებების მიხედვით. იესო ქრისტემ დათესა თავისი სიტყვა ჩვენში, როგორც მთესავი თესავს თესლს მიწაში.

–წაიკითხეთ მშობლებთან ერთად მათეს სახარების მეცამეტე თავი, იგავი მთესავზე და გადმოეცით მისი აზრი თქვენი სიტყვებით.



მარტი 1999



12

პირველი

ძვ. სტილი 27 თებერვალი
ღირ. პროკოფი აღმს.
ღირ. თალალე ასირელისა.

ლიდი მარხვა

მარტი 1999

შუბათი

13

ძვ. სტილი 28 თებერვალი
ღირ. ბასილი აღმს.
ღირ. კასიანე რომაელისა.
ღირ. იოანე დამასკელისა.
მიცვალებულთა ხსენება.



ლიდი მარხვა

ადამიანის შექმნა

ღმერთმა ყველა საგანი შექმნა სიტყვით, კაცი კი მოქმედებით. თქვა ღმერთმა: „გავაკინოთ კაცი ხატად ჩვენდა და მსგავს ჩვენდა და მთავრობდნენ ისინი ყოველსა ქვეყანასა. შექმნა კაცი მიწის მტვრისაგან, შთაბერა თავისი უკვდავი სული და შეიქმნა ცოცხალი კაცი. ღმერთმა უწოდა მას ადამი. გააშენა ღმერთმა აღმოსავლეთით სამოთხის ბაღი ედემში და დაასახლა შიგ ადამი. ბაღში მრავალი ხეხილი ხარობდა, მათში გამორჩეული იყო ორი ხე: „ხე ცხოვრებისა" და „ხე კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა" ვინც მის ნაყოფს შეჭამდა, შეიტყობდა რა იყო ბოროტი და რა-კეთილი. ღმერთმა ყოველი ხის ნაყოფის ჭამის ნება მისცა ადამს, გარდა კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისა: „უკუეთუ სჭამოთ, სიკვდილით მოკვდეთ." ამის შემდეგ მოჰგვარა ყოველი ცხოველი და ფრინველი ადამს სახელის დასარქმევად. ადამმა შენიშნა, რომ ყოველ მათგანს ჰყავდა თავისი თანაშემწე, მას კი არა. მაშინ ღმერთმა დააძინა ღრმა ძილით, გამოუღო ერთი ნეკნი, ამოუვსო ეს ადგილი ხორცით და შექმნა ნეკნისაგან ქალი და მიჰგვარა ადამს. ადამმა უწოდა ცოლს ევა. ექვს დღეში დაასრულა ღმერთმა სამყაროს შექმნა და მეშვიდე დღეს, შაბათს, დაისვენა, წმინდად გამოაცხადა ეს დღე და დალოცა. ამიტომაც, ჩვენც გვიბრძანა მოვიხსენიოთ იგი. ებრაელები უქმობენ შაბათს. ქრისტიანები კი კვირა დღეს რადგან ამ დღეს აღდგა ჩვენი უფალი იესო ქრისტე.



მარტი 1999



14

ორშ

მარტი 1999

15

ორშაბათი

ძვ. სტილი 2 მარტი
მღვდელმოწ.
თეოდოტესი.



ჯვრის ნიშანი (ჯვარი)

ჯვარი მოგვაგონებს ჯვარცმას და ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ადამიანები სხვადასხვა ნიშნებს სვამენ იმ საგნებზე, რომლებიც სურთ აღნიშნონ, როგორც თავიანთი საკუთრება. როცა გვსურს ვაჩვენოთ, რომ საგანი მიძღვნილია ღვთისადმი, მასზე გამოვსახავთ ჯვარს. ჯვარს ვხედავთ ეკლესიის გუმბათზე, სახარებაზე, მღვდლის საეკლესიო შესამოსელზე. ყოველი ქრისტიანი ატარებს ნათლობისას მიღებულ ჯვარს, იმიტომ, რომ ჩვენ მიძღვნილი ვართ ღმერთისადმი. როცა ღმერთს მივმართავთ, ჯვარს გამოვისახავთ, პირჯვარს ვიწერთ. მარჯვენა ხელის სამ თითს ვაერთებთ ნიშნად იმისა, რომ ღმერთი ერთია სამ სახეში: მამა, ძე და სული წმიდა. გამოვისახავთ რა ჯვარს, ჩვენ ამით ვაჩვენებთ, რომ გვსურს ვეკუთვნოდეთ უფალს და ვემსახუროთ მას.





მარტი 1999



16

ცხრაშაბათი

ძვ. სტილი 3 მარტი
წმ. იოანე კათალიკოსისა.
მოწ. ევტროპისა.

დიდი მარხვა

მარტი 1999

17

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 4 მარტი
ღირ. გერასიმესი.
განზოგება დიდი მარხვისა.

დიდი მარხვა

პირველი ცოდვა და მაცხოვრის აღთქმა

ადამ და ევა სამოთხეში ნეტარებაში ცხოვრობდნენ, არ შიოდათ, არ სწყუროდათ, ჭამდნენ ყოველი ხეხილის ნაყოფს, გარდა აკრძალული ხისა, რომ არ დაერღვიათ ღვთის მცნება და არ მომკვდარიყვნენ. ხშირად უფალი ეცხადებოდათ მათ. ეს ნეტარება კაცისა შეშურდა ეშმაკს და მოინდომა მისი დარღვევა. შეძვრა გველის ტყავში, ავიდა ხეზე, რომლის ნაყოფიც აკრძალული ჰქონდათ ადამს და ევას და როდესაც ევა ამ ხის ქვეშ იდგა, უთხრა: თუ სჭამთ ამ ხის ნაყოფს, არ მოკვდებით, არამედ აგეხილებათ თვალი და გახდებით როგორც ღმერთი, მცოდნე კეთილისა და ბოროტისა. ევამ დაუჯერა გველს, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. მერე ადამსაც მოუტანა და მანაც შეჭამა. უეცრად აეხილათ ორივეს თვალი, თავისი სიშიშვლე იგრძვნეს და შერცხვათ ერთმანეთისა. ამით ადამ და ევამ დაარღვიეს ღვთის მცნება და დაკარგეს სამოთხის ნეტარება. ერთხელ ღმერთი გამოეცხადა მათ სამოთხის ბაღში და მოუხმო ადამს: ადამ სადა ხარ? ადამმა უპასუხა: - შენი ხმა მომესმა, შემეშინდა და დავიმალე, რადგან შიშველი ვარ. - ვინ გითხრა, რომ შიშველი ხარ, თუ იმ ხის ნაყოფი არ ჭამე? ადამმა არ შეინანა, გადააბრალა ცოლს და მიუგო



მარტი 1999



18

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 5 მარტი
მოწ. კონონ ისაერიელისა.
მოწ. ონისესი.

დიდი მარხვა

მარტი 1999

პარასკევი

19

ძვ. სტილი 6 მარტი
პოესა ელენე დედოფლის მიერ ძელისა
ქეშმარიტისა და სამსჭვალთა იერუსალიმში.
წმ. 42 ამორეველ მოწამეთა.

დიდი მარხვა

უფალს: შენგან ბოძებულმა ცოლმა მომცა ის ნაყოფი და ვჭამე. დედაკაცმა კი გველს გადააბრალა. მაშინ უთხრა ღმერთმა გველს: მუცელზე დადიოდე და მიწას ჭამდე შენ სიცოცხლეში. დედაკაცის შთამომავალმა შემუსროს შენი თავი (ე.ი. დედაკაცის შთამომავალი გამოიხსნის კაცობრიობას ეშმაკისაგან). მერე დედაკაცს უთხრა: „მწუხარებით შობ შვილებს და ქმარი გეუფლებოდეს შენ". ბოლოს კი ადამს მიმართა: „წყეულ იყოს მიწა შენთვის და შენი ოფლით ჭამდე პურს შენსა. მიწა ხარ და მიწად მიიქეც" რომ აღარ ეჭამათ ცხოვრების ხის ნაყოფი და მუდამ არ ეცოცხლათ ტანჯვით, ღმერთმა გაუშვა ისინი სამოთხიდან და სამოთხის კართან დააყენა მახვილით ქერუბიმი. ადამი და ევა ბაღის ახლოს დასახლდნენ და მათი ერთადერთი ნუგეში იყო ღმერთისაგან აღთქმული დედაკაცის შთამომავალი, რომელიც იხსნიდა მათ.



მარტი 1999



შაბათი

20

ძვ. სტილი 7 მარტი
ღირ. მღვდელმოწ. ქერსონესის ეპისკოპოსთა:
ბასილი, ეფრემ, კაპიტონ, ევგენი და ეთერიოსისა.
მიცვალებულთა ხსენება.

დიდი მარხვა

მარტი 1999

21

კვირა

ძვ. სტილი 8 მარტი
მე-4 კვირა დიდი მარხვისა.
ღირ. იოანე კლემაქსისა.

დიდი მარხვა



ანგელოზი

ანგელოზი არის სული უხორცო (უსხეულო), რომელსაც მინიჭებული აქვს გონება და შემძლეობა. ანგელოზი ნიშნავს მაუწყებელს (მომასწავებელს). ასე იმიტომ იწოდება, რომ ღმერთი გზავნის ანგელოზს თავისი ნების საუწყებლად. ანგელოზები - ხილული სამყაროს შექმნამდე გააჩინა ღმერთმა. „ანგელოზები" ზეციურ არსებათა მხოლოდ ერთი ჯგუფის, ერთი დასის სახელწოდებაა. არიან კიდევ მთავარანგელოზები, სერაფიმები, ქერუბინები. ანგელოზები უნივთო, უსხეულო, სულიერი და უკვდავი არსებები არიან, რომელთაც ადამიანზე დიდად აღმატებული სიბრძნე და ძალა აქვთ და ადამიანებზე განუზომლად ახლოს არიან ყოველივეს შემოქმედთან. ანგელოზები ღმერთის მსახურნი და მაცნენი არიან, მისი ნების აღმსრულებელნი, ისინი ჩვენ, ადამიანებს, დამხმარედ და შემწედ გვევლინებიან წუთისოფლის ძნელ გზაზე, ღმერთის ნებას ამცნობენ მოკვდავთ, ეხმარებიან ჭეშმარიტების მიკვლევაში, ბოროტ ძალებს ებრძვიან და ადამიანის განწმედისა და სულიერი ამაღლებისთვის ზრუნავენ. ამიტომ „ზეციურ ძალებს", „ზეციურ მხედრობასაც" უწოდებენ მათ. ანგელოზთა უმთავრესი თვისებაა სიბრძნე, ძალა, სიწმინდე, სიკეთე და სიყვარულის უსაზღვრო უნარი.



მარტი 1999



22

ორშაბათი

ძვ. სტილი 9 მარტი
40 სებასტიელ მოწამეთა.

ლიდი მკრბევ

მარტი 1999

23

სამშაბათი

ძვ. სტილი 10 მარტი
მოწ. კოდრატესი და
მისთანათა.

ლიდი მკრბევ



საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917) 25 (12) მარტი

საქართველოს ეკლესიას სამოციქულო ეწოდება. რას ნიშნავს ეს? სულთმოფენობის შემდეგ, როცა მოციქულებმა წილი ჰყარეს და სხვადასხვა ქვეყანაში წავიდნენ საქადაგებლად, საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო, მაგრამ მაცხოვრის გამოცხადებით, თავის ნაცვლად ივერიაში წამოსასვლელად ანდრია პირველწოდებული (ხს. ახ. სტ. 13 დეკემბერს) აკურთხა და თან თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. წმიდა ანდრიამ და წმიდა სვიმონ კანანელმა (ხს. ახ. სტ. 23 მაისს) ქრისტეს სჯული იქადაგეს აჭარაში, სამხრეთ საქართველოში და შავი ზღვის სანაპიროზე. წმიდა სვიმონ კანანელი აფხაზეთში დარჩა და იქვე აღესრულა მოწამეობრივად. სხვდასხვა დროს ქართლში ყოფილან მოციქულები: წმიდა მატათა (ხს. ახ. სტ. 22 აგვისტოს), წმიდა ბართლომე (ხს. ახ. სტ. 24 ივნისს). მატათას წმიდა ნაწილები აჭარაში, გონიოში, განისვენებს.

IV საუკუნეში, როცა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა,



მარტი 1999



ოთხშაბათი

ძვ. სტილი 11 მარტი
წმ. სოფრონ იერუსალ. პატრ.

დიდი მარხვა

მარტი 1999



ხუთშაბათი

ძვ. სტილი 12 მარტი
საქართველოს სამოციქულო
ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის დღე.
წმ. მეფისა დიმიტრი
თავდადებულისა.
წმ. გრიგოლ დიოლოღოსისა.
ღირ. სვიმეონ ახლისა.



დიდი მარხვა

მირიან მეფის თხოვნით წმიდა კონსტანტინე დიდმა (ხს. ახ. სტ. 3 ივნისს) აქ იოანე ეპისკოპოსი გამოგზავნა ორი მღვდლითა და სამი დიაკვნით, რომლებმაც ნათელ-სცეს ქართველებს. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ეკლესიას. იოანეს ანტიოქიის პატრიარქად არჩევამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კრებამ საქართველოს ეკლესიაც ანტიოქიის საპატრიარქოს მიათვალა. წმიდა კეთილმსახური მეფის ვახტანგ გორგასლის (ხს. ახ. სტ. 13 დეკემბერს) თაოსნობით 472 წელს დადგინდა ქართლის კათალიკოსი. ამ დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი იერარქია, რომლის უფლებამოსილება იყო, თავისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასხმა (დანიშვნა)-გადაყენება, თვითონვე განეგო. ეკლესია დამოუკიდებელი გახდა. მოგვიანებით ქართლის ეკლესიამ კათალიკოსთა ხელდასხმის უფლებაც მიიღო, სამაგიეროდ, ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და წირვა-ლოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენიებინათ ანტიოქიის პატრიარქი. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი მამის ეფრემ მაწყვერლის (ხს. ახ. სტ. 30 აპრილს) ღვაწლით მიიღო მირონის კურთხევის უფლება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას სხვადასხვა



მარტი 1999



26

პირველი

ძვ. სტილი 13 მარტი
წმ. ნიკიფორე
კონსტატინოპოლელ პატრ.
მოწ. საბიანესი

ლიტი მკრიბევ

მარტი 1999

შაბათი

27

ძვ. სტილი 14 მარტი
ღვთისმშობლის დაუჯდომლის
შაბათი.
ღირ. ბენედიქტესი.
წმ. ევსქიმონისა.

ლიტი მკრიბევ



დროს იცავდნენ ქართველი მამები. 1801 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლები უხეშად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საქმიანობაში. მალე რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს. ავტოკეფალიის დაკარგვას მოჰყვა საეკლესიო ქონების ძარცვა, საეკლესიო კათედრების მოშლა, ეპარქიების შემცირება. ქართული წირვა-ლოცვა და მრავალხმიანი გალობა რუსულით შეიცვალა. ორიოდე წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ის, რასაც საუკუნეების მანძილზე აშენებდა და აგროვებდა. ამ პროცესს აჩქარებდა ეგზარხოსების აშკარად გამოხატული ანტიქართული საქმიანობა. როცა საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ელოდნენ, ეგზარხოსმა ევგენიმ, „სანიტარული წესრიგის" საბაბით, თეთრად შეაღებინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმიდის უნიკალური ფრესკები. პავლე ლებედევმა გაძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მიიტაცა ოქროსა და ვერცხლის ხატები, საეკლესიო ნივთები. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა



მარტი 1999



კვირა

28

ძვ. სტილი 15 მარტი
მე-5 კვირა დიდი მარხვისა.
ღირ. მარიამ მეგვიპტელისა.
მოწ. იდაპისა.

დიდი მარხვა

მარტი 1999

ორშაბათი

29

ძვ. სტილი 16 მარტი
საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქის ამბროსი აღმს.
მოწ. საბიანესი.



დიდი მარხვა

ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დაიწყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე. ხს. ახ. სტ. 2 აგვისტოს) მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურად სთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. 1917 წლის 25 (12) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ მიიღო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, გრძელდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. იმავე წლის სექტემბერში 106 წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩა კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი ხვდა ავტოკეფალიის დაუცხრომელ მებრძოლს, კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა აღიარების წერილობითი დასტური. ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს დაუღალავი მოღვაწეობით, მსოფლიო საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.



მარტი 1999



30

ცხრაშაბათი

ძვ. სტილი 17 მარტი
ღირ. გაბრიელ მცირისა.
ღირ. ალექსი ღვთისკაცისა.

ლიტი მარხვა

მარტი 1999

31

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 18 მარტი
წმ. კირილე იერუსალიმელისა.

ლიტი მარხვა



ლაზარეს აღდგინება

იყო ვინმე ლაზარე, ძმა მარიამისა, რომელმაც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თავისი თმებით მეუმშრალა ფეხები. ლაზარე ავად იყო და მისმა დებმა მარიამმა და მართამ კაცი გაუგზავნეს იესოს და ეს ამბავი შეუთვალეს. ეს რომ გაიგო, იესომ თქვა: ეს სნეულება სასიკვდილო კი არ არის, არამედ იმისთვისაა, რომ იდიდოს უფლის ძე. ორი დღის შემდეგ იესო გაემზადა იუდეაში წასასვლელად. მან იცოდა, რომ ლაზარე უკვე მომკვდარიყო, მაგრამ უხაროდა, რომ იქ არ ყოფილა, რათა მოწაფეებს უფრო მეტად ერწმუნათ მისი. როდესაც იესო მოვიდა, ლაზარე უკვე ოთხი დღის წინ გარდაცვლილიყო და მრავალი იუდეველი ანუგეშებდა მარიამს და მართას. მართამ რომ შეიტყო, იესო მოდისო, გამოეგება. მარიამი კი სახლში იჯდა. იესომ დაამშვიდა მართა და უთხრა: "მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვისაც სწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს და ყველა ვინც ცოცხლობს ჩემში და ვისაც სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე. "გწამს ეს? - დიახ. უფალო მწამს, რომ შენა ხარ ქრისტე, მომავალი ქვეყნად – მიუგო მართამ. მას შემდეგ წამოვიდა და მოუხმო თავის დას მარიამს. მარიამი ფეხებში ჩაუვარდა

აპრილი 1999

1

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 19 მარტი
მოწ. ქრისანთოსი და დარიასი.

ლიტი მარხვა

აპრილი 1999

2

პარასკევი

ძვ. სტილი 20 მარტი
ღირ. მამათა იოანესი, სერგისა,
პატრიკისა და სხვათა.

ლიტი მარხვა

იესოს და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი არ მოკვდებოდა ჩემი ძმა. როცა იესომ დაინახა, როგორ ტიროდა იგი, შეიძრა სულით და თქვა: სად დაკრძალეთ იგი? უთხრეს მას: უფალო, მოდი და იხილე. მივიდა იესო საფლავთან, რომელსაც ლოდი ედო და თქვა: მოაშორეთ ლოდი. მარიამმა უთხრა, რომ უკვე ოთხი დღის წინათ დაესაფლავებინათ იგი. ბოლოს, მაინც მოაცილეს ლოდი. იესომ ზეცად აღაპყრნო თვალები და თქვა: მამა, გმადლობ, რომ ისმინე ჩემი. მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლივ მყოფი ხალხისათვის ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე. ეს რომ თქვა, ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე გამოდი გარეთ! და გამოვიდა მკვდარი, სახვევით ხელ-ფეხ შეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით იგი და გაუშვით, წავიდეს.

აპრილი 1999

შაბათი

3

ძვ. სტილი 21 მარტი
ლაზარეს შაბათი.
ქებაი და დიდებაი ქართულისა
ენისაი.
ხსნილი ხიზილალით.
ღირ. იაკობისა.

დიდი მარხვა

აპრილი 1999

კვირა

4

ძვ. სტილი 22 მარტი
მე-6 კვირა დიდი მარხვისა.
იესო ქრისტეს დიდებით შესვლა
იერუსალიმში.
ბზობა.

ხინილი თევზით.

ბზობა

ამ დღეს ქრისტიანული ეკლესია იხსენიებს უფლის უკანასკნელ მსვლელობას იერუსალიმში. ახლოვდებოდა პასექის დღესასწაული. როდესაც იერუსალიმისაკენ მიმავალი იესო ბეთბაგეს და ბეთანიას მიუახლოვდა, რომელსაც ჰქვია ზეთისხილის მთა, გაგზავნა ორი მოწაფე და უთხრა: წადით მახლობელ სოფელში, იპოვით იქ დაბმულ ჩოჩორს, რომელზედაც ჯერ კაცი არ მჯდარა და ახსენით და მომგვარეთ. თუ ვინმე გკითხავთ, რატომ ხსნითო, ასე მიუგეთ: უფალს სჭირდება. ასეც მოიქცნენ წარგზავნილები, მოჰგვარეს ჩოჩორი იესოს, ზურგზე დაუფინეს სამოსი და ზედ შესვეს იგი. როდესაც მიადგნენ ზეთისხილის მთას, მოწაფეები ადიდებდნენ უფალს და ამბობდნენ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა" იესოს დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა და გზაზე სამოსს და პალმის ტოტებს უფენდა. ასეთი დიდებით შევიდა იესო იერუსალიმის ტაძარში, სადაც უამრავი სასწაული ქმნა, განკუნა ბრმანი და კოჭლნი. მღვდელთმთავრებმა იხილეს მოყიჟინე ბავშვები, რომლებიც ადიდებნენ იესოს: „ოსანა დავითის ძეს", განრისხდნენ და უთხრეს: გესმის რას ამბობენ? იესომ მიუგო: არ წაგიკითხავთ: ჩვილთა და მეძუძურთა პირით დაიმკვიდრე დიდება?! მიატოვა ისინი და გაემართა ბეთანიას.

აპრილი 1999

ორშაბათი

5

ძვ. სტილი 23 მარტი
დიდი ორშაბათი.
მღვდელმოწ. ნიკონისა და
მისთანა წამებულთა.

ენიბის შეიდეული.

აპრილი 1999

სამშაბათი

6

ძვ. სტილი 24 მარტი
დიდი სამშაბათი.
წინადღესასწაული ხარებისა.
ღირ. ზაქარიასი.

ენიბის შეიდეული.

ვნების შვიდეული

ვნების შვიდეული ეწოდება აღდგომის წინა კვირას, იმის აღსანიშნავად, რომ ამ შვიდეულში მოხდა წმიდა ვნება ჯვარზე იესო ქრისტესი. ვნების შვიდეულის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეებია: დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი და დიდი შაბათი. დიდი მარხვის ბოლო კვირა მაცხოვრის მიწაზე ცხოვრების უკანასკნელი დღეებია. ხშირად ადამიანი დიდი განსაცდელის დროს გონებაში თავის გავლილ ცხოვრებას ხედავს. ახლაც, ვნების შვიდეულის პირველ დღეებში, მთელი სახარება იკითხება.

დიდ ხუთშაბათს ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა: ამ დღეს იესო ქრისტემ საიდუმლო სერობაზე მოიწვია თავისი თორმეტი მოწაფე და ზიარების საიდუმლო დააწესა. ქრისტიანები უნდა ეცადონ, რომ დიდ ხუთშაბათს ეზიარონ. დიდ პარასკევს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეკლესია იგონებს უფლის სიკვდილს ჯვარზე. ამ დღეს მორწმუნეები ჯვარცმული ქრისტეს ჭირისუფლებად ითვლებიან. ისინი ცდილობენ, მძიმე მარხვა შეინახონ (მაქსიმალურად უარი თქვან საზრდელზე), თავი უნდა შეიკავოთ სხვისი საქციელის განკითხვისაგან და ეცადოთ, ჩაულრმავდეთ საკუთარ თავს. დღის ორ საათზე ეკლესიაში სრულდება ე.წ. „გარდამოხსნის რიტუალი" - იესო ქრისტეს სხეულის ჯვარიდან გადმოხსნის რიტუალი. ეკლესიის შუაში გამოაქვთ „გარდამოხსნა", ხატი, რომელზეც გამოსახულია ჯვარიდან ჩამოსვენებული იესო ქრისტე. პარასკევს საღამოს სრულდება მსახურება და გარდამოხსნას ტაძრის

გაგრძელება იხ. 9-10 აპრილის გვ-ზე.

აპრილი 1999

ოთხშაბათი

7

ძვ. სტილი 25 მარტი
ხარება ყოვლაწმიდისა
ღვთისმშობელისა.

ენიბის შვიდეული.

აპრილი 1999

ხუთშაბათი

8

ძვ. სტილი 26 მარტი
დიდი ხუთშაბათი.
ხსენება საიდუმლო სერობისა.
წარგზავნა ხარებისა.
კრება მთავარანგელოზ გაბრიელისა.

ენიბის შვიდეული.

ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

ერთხელ ნაზარეთში, იოსების სახლში, როდესაც ქალწული მარიამი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, გამოეცხადა მას მთავარანგელოზი გაბრიელი და ახარა: „გიხაროდენ, მიმადლებულო (კურთხეულო) მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!" უფლის ანგელოზის ნახვამ შეაშინა და ჩააფიქრა ქალწული – ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა დაამშვიდა იგი: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანც ჰპოვე მადლი ღმერთის წინაშე და აჰა, მუცლად იღებ და შობ ძეს და უწოდებ მას სახელად იესოს. დიდი იქნება იგი და უზენაესის ძედ იწოდება და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა. გაოცებულმა მარიამმა ჰკითხა ანგელოზს: როგორ იქნება ეს, მამაკაცი რომ არ ვიცი? მიუგო ანგელოზმა და უთხრა: ღმერთისათვის შეუძლებელი არაფერია, სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა დაგიფარავს. ამიტომაც ღმერთის ძედ იწოდება შენგან შობილი. გახარებულმა ქალწულმა მორჩილად მიუგო: აჰა, მხევალი უფლისა! მეყოს მე შენი სიტყვისაებრ!" და გენეშორა ანგელოზი მას.

აპრილი 1999

პარასკევი

9

ძვ. სტილი 27 მარტი
დიდი პარასკევი.
ხსენება იესო ქრისტეს ვნებათა.
ღირ. მატრონასი.
2 საათზე გარდამოხსნის გადმოსვენება.
ცისკრად 12 ვნების სახარება.

მძიმე მარხვა

აპრილი 1999

10

შაბათი

ძვ. სტილი 28 მარტი
დიდი შაბათი.
ღირ. იოანე მანგლელისა.
ღირ. ილარიონ ახლისა.

ვნების შვიდეული

ირგვლივ ატარებენ. საღამოს იკითხება „თორმეტი ვნების სახარება" ანუ ყველა ის ადგილი სახარებაში, სადაც აღწერილია უფლის წმიდა ვნება ჯვარზე. დგება დიდი შაბათი, უკანასკნელი დღეების დარდი მშვიდი სიჩუმით იცვლება. ჩვენ მის აღდგომას ველოდებით. შაბათის წირვის შემდეგ მორწმუნენი იწყებენ მომზადებას აღდგომისათვის და ზიარებისათვის. მორწმუნენი უნდა ეცადონ წმიდად გაატარონ დიდი მარხვა, განიცადონ უფლის ჯვარცმა და მასთან ერთად აღდგნენ მკვდრეთით. ღვთისმსახურების დროს ჩვენ არა მხოლოდ ვიხსენებთ მაცხოვრის ცხოვრებას, არამედ განვიცდით მასთან ერთად. დიდი მარხვის, ვნების შვიდეულის ღვთისმსახურებაში ჩვენ გვეხსნება ცოდვის სინანული, ცოდვასთან ბრძოლის, სიკვდილისა და მისი დაძლევის არსი. ზუსტად შუაღამეს, აღდგომის წინა დღეს, იწყება ლიტურღია: ტაძარი ირთვება, ნათდება, მღვდლები ყველაზე ლამაზ შესამოსელს იცვამენ, ყველა ანთებული სანთლებით დგას და პირველ სააღდგომო გალობას ელოდება, როგორც ანგელოზის ხარებას. სადღესასწაულო პროცესია ხატებით ტაძრიდან გამოდის და მას გარს უვლის. ამ დროს ტაძრის კარი იკეტება, რაც უფლის დაკეტილ საფლავს მოგვაგონებს. პროცესია ჩერდება დახურული კარის წინ და მღვდელი მხიარულ სააღდგომო გალობას იწყებს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი..." ამ სასიხარულო გალობის პასუხად იღება კარი და მორწმუნენი შედიან ტაძარში, ავსებენ მას მხიარული სიმღერითა და ანთებული სანთლების სინათლით. მსახურებაზე არაფერს კითხულობენ, მხოლოდ გალობენ, მღვდელი საკმეველს აკმევს და ესალმება ხალხს: "ქრისტე აღსდგა!" რაზეც პასუხობენ: „ჭეშმარიტად"

აპრილი 1999

11

კვირა

ძვ. სტილი 29 მარტი
ბრწყინვალე
აღდგომა იესო
ქრისტესი.

აპრილი 1999

12

ორშაბათი

ძვ. სტილი 30 მარტი
საფლავთა კურთხევა.
ღირ. იოანე კლემაქსისა.

ბრწყინვალე შვიდეული

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა

უმთავრესი, უდიდესი და უბრწყინვალესი დღესასწაული ქრისტიანული ეკლესიისა არის აღდგომა. ეს არის დღესასწაული დღესასწაულთა. აი რას გვიამბობს სახარება: ჯვარცმული იესოს სხეული ტილოებში შეახვიეს მისმა მოწაფეებმა იოსებმა და ნიკოდიმემ და ერთ თავისუფალ სამარხში დაასვენეს. სამარხის კარზე დიდი ლოდი მიაყუდეს. მეორე დღეს მღვდელმთავრებს გაახსნედათ ქრისტეს სიტყვები –სამ დღეში აღვდგებიო და იმის შიშით, რომ მოწაფეებს არ მოეპარათ მისი სხეული და ხალხისათვის არ ეთქვათ, მკვდრეთით აღდგაო, დარაჯები დაუყენეს სამარხს. გათენდა მესამე დღე ჯვარცმიდან და მარიამ მაგდალინელი, მარიამ იაკობისა და სალომე წავიდნენ საფლავის სანახავად, რათა ნელსაცხებელი ეცხოთ მისთვის. უეცრად საშინლად იძრა მიწა, უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ციდან, გადააგორა საფლავის კარიდან ლოდი და ზედ ჩამოჯდა. მისი სახე იყო, როგორც ელვა, სამოსი კი თოვლივით სპეტაკი. დარაჯებმა შიშისაგან გონება დაკარგეს. მოვიდნენ დედაკაცებიც და როდესაც ნახეს, საფლავის ლოდი გადაგორებული და აღარც იესოს სხეული დახვდათ სამარხში,

გაგრძელება იხ. 15-16 აპრილის გვ.

აპრილი 1999

ცხრაშაბათი

13

ძე. სტილი 31 მარტი
დღესასწაული ივერიის
ღვთისმშობლის ხატისა.
6000 მოწ. დავით გარეჯის
უდაბნოში ამოწყვეტილთა.
მღვდელმოწ. იპატისა.

ბრინწყიანი ვლოე შვიდეული

აპრილი 1999

14

ოთხშაბათი

ძე. სტილი 1 აპრილი
ღირ. მარიამ მეგვიპტელისა.
ღირ. იოანე შავთელისა.

ბრინწყიანი ვლოე შვიდეული
მცვეთა

დავით გარეჯის მონასტრის 6000 მოწამის ხსენება (ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი)

1616 წელს აღდგომის ღამეს, ცისკარზე წმინდა დავით გარეჯელის მიერ დაარსებული მონასტრის ბერებმა წესისამებრ ანთებული კელაპტრებით, ჯვრებითა და ხატებით ლიტანიობა დაიწყეს. კელაპტრებისა-ბრწყინვალებამ მთელი მიდამო გაანათა. ეს შენიშნეს მტკვრის ნაპირზე დაბანაკებულმა სპარსებმა და მონასტერს ალყა შემოარტყეს. მათ სჯულის დატოვება მოსთხოვეს ბერებს. ბერებმა თხოვნით მიმართეს: „ჩვენ ყველანი აქა ვართ და არავითარი იარაღი არა გვაქვს. ამიტომ დრო მოგვეცით, ვეზიაროთ ყველანი ქრისტეს სისხლსა და ხორცს და მერე დაგვხოცეთო.” თხოვნა შეუსრულეს. წირვის შემდეგ კი 6000 ბერი ტრაპეზზე კრავებივით დაკლეს. ამ ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ ორიოდე ანაქორეტი (მარტოდ მყოფი ბერი) გადაურჩა. მათ შეაგროვეს ქრისტესათვის აღსრულებული თანამოძმეთა ცხედრები და ერთად დაასვენეს.

კახეთის მეფე ალექსანდრემ, აღდგომის ტაძრის მახლობლად ააშენა ამ მამათა სამარტვილე, სადაც განისვენებენ მათი წმინდა ნაწილები.

აპრილი 1999

ხუთშაბათი

15

ძვ. სტილი 2 აპრილი
ღირ. ტიტესი.
წმ. გიორგი მაწყვერელისა.

ბრბუკიანელი შვიდეული

აპრილი 1999

პარასკევი

16

ძვ. სტილი 3 აპრილი
ღირ. ნიკიტა აღმს.
წყარო ცხოვრებისად წოდებული
ღვთისმშობლის ხატის
დღესასწაული.
მოწ. თეოდოსია ქალწულისა.
ღირ. ილარიკესი.
მოწ. ელპიდიფორესი, დიოსისა,
ბითონიოსისა და გალიკესი.

მკვეთლი

საგონებელში ჩავარდნენ. მიმართა ანგელოზმა ქალებს და უთხრა. „ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ ჯვარცმულ იესოს ეძებთ, აღსდგა. აქ აღარ არის. მოდით და იხილეთ, ადგილი სადაც იყო უფალი, წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ აღდგა მკვდრეთით, შეგხვდებით გალილეაში და იქ ნახავთ, როგორც გითხრათ." გაახსენდათ მათ იესოს სიტყვები და სიხარულით აუწყეს მოწაფეებს. მაგრამ მოწაფეები არ ერწმუნენ მათ და პეტრე და მეორე მოწაფე სამარხისაკენ გაემართნენ. ჯერ მეორე მოწაფემ მიირბინა სამარხთან, დაინახა დაყრილი ტილოები, მაგრამ არ შევიდა შიგ. მის კვლდაკვალ მივიდა პეტრეც და შევიდა სამარხში, ნახა ტილოები, სუდარა კი, რომელიც თავზე ეფინა, ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე. მაშინ შევიდა მეორე მოწაფე, იხილა და იწამა.

რატომ ვღებავთ კვერცხებს წითლად

იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები აკურთხა, წასულიყვნენ მთელ მსოფლიოში და ექადაგათ ის, რაც მათ ასწავლა. ქრისტეს რჯულის საქადაგებლად მარიამ მაგდალინელიც გაემართა. მარიამ მაგდალინელი, ისევე, როგორც სხვა მოწაფეები, ერთი ქვეყნიდან მეორეში დადიოდა და ყველას უამბობდა იესო ქრისტეს შესახებ. ერთ დღეს რომში

აპრილი 1999

შაბათი

17

ძვ. სტილი 4 აპრილი
ღირ. იოსებ მგალობელისა
და გიორგი მცირისა.
ღირ. ზოსიმესი.
მოწ. ფერბუთა ქალწულისა.

ბრიწყიბვლოე შვიდოელი

აპრილი 1999

18

ძვ. სტილი 5 აპრილი
მე-2 კვირა აღდგომიდან.
აღდგომის განახლება.
კვირაცხოვლობა.
თომას კვირა.
მოწ. აღათოპოდი დიაკ. თეოდულესი.
ღირ. პუპლიოს ეგვიპტელისა.
ღირ. სვიმეონისა, თეონისა და
ფორბინესი.
ღირ. თეოდორე თესალონიკელისა.

ჩავიდა და იმპერატორის სასახლეში შევიდა. იმ დროს, იმპერატორთან მოსულ ხალხს ყოველთვის რაიმე საჩუქარი მოჰქონდა, მდიდრებს ძვირფასეულობა და ღარიბებს - რაც შეეძლოთ, თუნდაც ერთი კვერცხი. და, აი, მარიამი, რომელიც ერთ დროს წარჩინებული და მდიდარი იყო მოვიდა ახლა, როცა მას აღარაფერი ჰქონდა, იესო ქრისტეს რწმენის გარდა. იგი იმპერატორის წინ შეჩერდა, გაუწოდა უბრალო კვერცხი და უთხრა - ქრისტე აღსდგა. გაუკვირდა იმპერატორს და უთხრა: როგორ შეუძლია მკვდარს, აღსდგეს? ძნელია ამის დაჯერება. ისევე ძნელი, როგორც იმის დაჯერება, რომ ეს კვერცხი გაწითლდეს. დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა: გავარდისფრდა, გამუქდა და, ბოლოს, სისხლისფერი წითელი გახდა. მას შემდეგ მართლმადიდებელ ეკლესიაში წესად იქცა აღდგომის დღეს ერთმანეთისათვის წითელი კვერცხის ჩუქება მეგობრობის, სიყვარულის, მიტევების გრძნობითა და სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა". თვით წითელი ფერი კი გვახსენებს მაცხოვრის სისხლს, დაღვრილს ჩვენთვის. ხოლო კვერცხის ნათელი ფერი ნიშანია საერთო სიხარულის და ქრისტეს მიერ სიკვდილის დაძლევისა, მკვდრეთით მისი აღდგომის, ჩვენი განწმენდის და სხვა სამყაროში აღდგომისა.

აპრილი 1999

ორშაბათი

19

ძვ. სტილი 6 აპრილი
წმ. ევტიქი
კონსტანტინეპოლელ მთავარეპ.
წმ. მეთოდესი.
ღირ. პლატონიდე ასურისა.

აპრილი 1999

სამშაბათი

20

ძვ. სტილი 7 აპრილი
ღირ. გიორგი აღმს.
მიცვალებულთა ხსენება.
მოწ. კალიოპესი.
მოწ. რუფინე დიაკონისა,
აკვილინეს და მათთანა 200
მხედართა.
ღირ. სერაპიონ მონაზონისა.

წმიდა იოანე მანგლელი (1751)
10 (28.03) აპრილი

წმიდა იოანე (სააკაძე) ბავშვობიდანვე გარეჯის უდაბნოში გაიზარდა და ისწავლა მონაზვნული ცხოვრება. იოანე მალე აკურთხეს მღვდლად და შემდგომ მანგლისის ეპისკოპოსად. 1724 წელს წმიდა იოანე დარუბანდში წავიდა, ხის ეკლესია ააგო და დაღესტანში ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. აქ მან ააშენა ღვთისმშობლის შობისა და დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძრები. შემდეგ წმიდა ბერი ასტრახანში გადავიდა და იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი ააგო. ასტრახანში იოანემ შეიტყო, რომ ყიზლარში ბევრი ქართველი იყო და მათ ეკლესია არ ჰქონდათ. ისიც გაიგო, რომ ოსეთში ქრისტიანობას უჭირდა და ყიზლარს მიაშურა. აქ ქართველების დახმარებით ეკლესია ააგო და გახსნა სკოლა მქადაგებელთა მოსამზადებლად. ოთხმოც წელს გადაცილებული იოანე ყიზლარში აღესრულა და თავისსავე აგებულ მონასტერში დაიკრძალა. შემდგომ, თეიმურაზ მეფის ბრძანებით, წმიდა იოანეს მირონმდინარე ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს. ახლა წმიდა იოანე სიონის საკათედრო ტაძარში ასვენია კანკელის მარჯვნივ.

აპრილი 1999

ოთხშაბათი

21

ძვ. სტილი 8 აპრილი
წმ. მოც. ირონდიონ, აგაბო,
ასინკრიტე და სხვათა.
მოწ. პავსილიპესი.
წმ. კელესტინე რომის პაპისა.

ხუთშაბათი

აპრილი 1999

22

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 9 აპრილი
მოწ. ევფსიქისა.
მოწ. დისან ეპ.

უძღები შვილის დაბრუნება

ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. უმცროსმა მოსთხოვა მამას თავისი წილი მემკვიდრეობა. წავიდა სახლიდან, ეს ქონება ქეიფსა და დროსტარებაში დახარჯა და ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ თავისი მამის მსახურების ყოფას შენატროდა, ღორების საჭმელი ენატრებოდა. ბოლოს გადაწყვიტა მამის სახლში მისულიყო და პატიება ეთხოვა. მამამ შორიდანვე შენიშნა დაკარგული შვილი და შეეგება. შვილი მუხლებში ჩაუვარდა და უთხრა: „მამა, შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე და ღირსი აღარა ვარ შენს ძედ ვიწოდებოდე". მამას პატიება სთხოვა და მზად იყო მასთან მოჯამაგირედ ემუშავა. მამამ გულში ჩაიკრა დაკარგული შვილი და დიდი პატივით მიიღო. უფროსმა ძემ ეს რომ გაიგო, ეწყინა და მამას უსაყვედურა: მთელი ცხოვრება ერთგულად გემსახურები და ჩემთვის ერთი თიკანი არ მოგიცია, ჩემ ძმას კი, რომელმაც მთელი ქონება გაფლანგა, ხბო დაუკალიო. მამამ უპასუხა: შვილო, შენ ჩემთან ხარ და ყოველივე ჩემი შენია, შენი ძმა კი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და დაგვიბრუნდა, ამიტომაც უნდა ვიმხიარულოთო.

- რა გააკეთა უძღებმა შვილმა?

ის მიხვდა, მოინანია, დაბრუნდა და მამის წინაშე აღიარა დანაშაული

- ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც:

გავაცნობიეროთ ჩვენი ცოდვები,

მოვინანიოთ ისინი და ვწუხდეთ მათზე,

ვისურვოთ, რომ გამოვსწორდეთ

აღსარებაში ვაღიაროთ ყველაფერი, რაც ცუდი გაგვიკეთებია და ამის შემდეგ ცუდად აღარ მოვიქცეთ.

აპრილი 1999

პარასკევი

23

ძვ. სტილი 10 აპრილი
წმ. დედათა ქვაბთახევის
მონასტერში წამებულთა.
მოწ. ტერენტისა, პომპიოსი
და მისთანათა.

სამშაბათი

აპრილი 1999

24

შაბათი

ძვ. სტილი 11 აპრილი
მღვდელმოწ. ანტიპასი.

წმიდა დედანი და მამანი, ქვაბთახევის მონასტერში წამებულნი (1386)
23 (10) აპრილი

ბაგრატ V-ის მეფობის დროს თემურ-ლენგი საქართველოს დიდძალი ლაშქრით შვიდჯერ შემოესია. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მან ტყვედ ჩაიგდო ბაგრატ V და აიძულა, მაჰმადიანობა მიეღო, უკან დაბრუნებულს კი ქვეყნის გასამაჰმადიანებლად 12000-იანი ლაშქარი გამოატანა. ქართველთა მეფე ფარულად შეუთანხმდა შვილებს და მონღოლთა ლაშქარი მთლიანად გაანადურეს. განრისხებული თემურ-ლენგი კვლავ საქართველოს ასაოხრებლად წამოვიდა. თათრებმა მოაოხრეს ქართლის ქალაქები და სოფლები, ქვაბთახევის მშვენიერ მონასტრამდეც ჩააღწიეს, სადაც მრავალი ბერ-მონაზონი და ერისკაცი იმყოფებოდა. ბარბაროსებმა მონასტერი გაძარცვეს და იქ მყოფებს ასე მიმართეს: ან ქრისტე უარყავით, ან გაკოჭილებს შეგყრით ეკლესიაში და დაგწვავთო.

ტყვედქმნილებმა ქრისტეს უარყოფას სიკვდილი არჩიეს. ეკლესიაში ჩაკეტილნი ფსალმუნებს გალობდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ და ადიდებდნენ უფალს. ასე შეიწირნენ ღვთის მიმართ 'წმიდა მოწამენი.

ქრისტესათვის წამებულთა კვალი ეკლესიის იატაკს დღესაც ნათლად ატყვია.

აპრილი 1999

კვირა

25

ძვ. სტილი 12 აპრილი
მე-3 კვირა აღდგომიდან.
მენელსაცხებლე დედათა.
მართალთა: იოსებ
არიმათიელისა და ნიკოდიმოსისა.
წმ. კეთილმორწმუნე მეფისა
თამარისა.

აპრილი 1999

26

ორშაბათი

ძვ. სტილი 13 აპრილი
მღვდელმოწ. არტემონისა.
მოწ. კრისკენტისა. მოწ.
თომაი და ეგვიპტელისა.

მართალი ნოე

ადამისა და ევას შთამომავლებმა ღმერთი დაივიწყეს და ერთმანეთს გადაემტერნენ. ყოველი კაცი გაბოროტდა და გაირყვნა გარდა მართალი ნოესი. ღმერთმა უთხრა ნოეს: "უთხარი ხალხს, რომ შეინანონ ცოდვები და გამოსწორდნენ, თუ არ გამოსწორდებიან, წარღვნით დავსჯიო." მაგრამ ხალხი არ გამოსწორდა. მაშინ ღმერთმა ნოეს უბრძანა, აეშენებინა კიდობანი (გემი), ოჯახით შიგ დაბინავებულიყო და თან წაეყვანა შვიდ-შვიდი წყვილი წმიდა ცხოველი (ასე ეწოდებოდა იმ ცხოველებს, რომელთა შეწირვაც შეიძლებოდა ღმერთისთვის) და ფრინველი; აგრეთვე ორი წყვილი უწმინდური. ნოემ და მისმა შვილებმა, სემმა, ქამმა და იაფეტმა ააშენეს კიდობანი და ღვთის სიტყვის თანახმად, შევიდნენ შიგ თავიანთ ოჯახებთან და ცხოველებთან ერთად. როგორც კი შევიდნენ კიდობანში, ძლიერი წვიმა წამოვიდა და ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა. ყველა დაიღუპა, გარდა კიდობანში მყოფებისა. კიდობანი ტალღებზე მიცურავდა, მაგრამ ვერავინ ხედავდა ნაპირს. მაშინ ნოემ მტრედი გაუშვა კიდობნიდან. მტრედი

27

ცხრაშაბათი

ძვ. სტილი 14 აპრილი
წმ. მოწ. მარტინე რომთა პაპისა.
მოწ. ანტონი და სხვა.

აპრილი 1999

28

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 15 აპრილი
წმ. მოწ. სუქიასი და მისთანა
16 ქართველისა.

ცხრმარხი დღე

გაფრინდა, მიწა რომ ვერ იპოვნა, უკანვე დაბრუნდა. ერთი კვირის შემდეგ ნოემ კვლავ გააგზავნა მტრედი. მტრედი დაბრუნდა და ნისკარტით მწვანე ტოტი მოიტანა. ეს იმას ნიშნავდა, რომ წყალი დაშრა და ბალახი ამოვიდა. შვიდი დღის შემდეგ ნოემ კვლავ გაუშვა მტრედი და იგი აღარ დაბრუნებულა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დედამიწაზე უკვე შეიძლებოდა ცხოვრება. ნოე გამოვიდა კიდობნიდან, გამოიყვანა ცხოველები და გაუშვა. კოდობნიდან გამოსვლისთანავე ნოემ შესწირა ღმერთს სამადლობელი მსხვერპლი. ღმერთმა მიიღო ეს მსხვერპლი, აკურთხა ნოე და მისი შვილები, აღუთქვა, რომ ამის შემდეგ აღარ იქნებოდა მსოფლიო წარღვნა და მისცა მათ ამის ნიშნად ცისარტყელა. ნოე მოასწავებდა ქრისტეს - ქვეყნის მაცხოვარს, კიდობანი კი სიმბოლოა ქრისტეს ეკლესიისა, რომელშიაც ცხონდებიან ქრისტეს მორწმუნენი.

29

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 16 აპრილი
მოწ. აღაპია, ირინე და
ქიონიასი.

აპრილი 1999

30

პარასკევი

ძვ. სტილი 17 აპრილი
ღირ. სვიმეონისა და აკაკი
მელიტინელ ეპ.

ცამეტრიტი ლოდ

წმიდა სამება

ღმერთი არის ერთი, ერთარსება და ამასთან სამება, სამპიროვანი. სამების პირველი პირი არის მამა ღმერთი, მეორე პირი - ძე ღმერთი, მესამე პირი - სულიწმიდა. სწორედ ძე ღმერთი მოევლინა ქვეყნიერებას იესო ქრისტეს სახით. სამებას სამი სახე აქვს ღმერთი კი ერთია. როგორ შეიძლება ამის წარმოდგენა? მხოლოდ ნაწილობრივ. ხშირად ხდება, დედა გრძნობს, თუ შვილს რამე უბედურება დაემართა, შვილი ბევრი კილომეტრით დაშორებულიც რომ იყოს: ორი სხვადასხვა ადამიანია - დედა და შვილი, მაგრამ მაინც განუყოფელი ერთიანობაა მათ შორის. როგორ? იმის გამო, რომ დედას ძალიან უყვარს შვილი. ხოლო ღვთის სიყვარული ადამიანისაზე უფრო ძლიერია. სრულყოფილია სიყვარული წმიდა სამების წევრებს შორის. ისინი ერთნი და განუყოფელნი არიან. ეს უდიდესი საიდუმლო ძალიან ძნელი გასაგებია. ვისაც მოთმინება ეყოფა და ქრისტიანულ მოძღვრებას თანდათანობით შეისწავლის, ბოლოს ამ საიდუმლოსაც ჩასწვდება, რამდენადაც ადამიანისთვის შესაძლოა. ვისაც მოთმინება არ ეყოფა, ის მაინც უნდა დაიმახსოვროს, რომ ქრისტიანული ღმერთი არის ერთი და არის სამება, არსებით ერთი და, ამასთან, სამპიროვანი - მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა. ერთმა წმინდანმა ასე ახსნა წმიდა სამების საიდუმლო: შევხედოთ მზეს, მასში სამი რამ არის: მზის დისკო-წრე, ნათელი და სითბო; მაგრამ ეს სამი მზე კი არ არის, არამედ ერთია.

მაისი 1999

1

შაბათი

ძვ. სტილი 18 აპრილი
ღირ. მამისა ბასილისა.
მოწ. იოანე ახლისა.

მაისი 1999

2

კვირა

ძვ. სტილი 19 აპრილი
მე-4 კვირა აღდგომიდან.
განრღვეულისა. ღირ. იოანეს

წინასწარმეტყველნი

წინასწარმეტყველებს განეკუთვნებიან ძველი აღთქმის ბრძენი და მორწმუნე ადამიანები. ისინი მამა ღმერთის შთაგონებით წარიგზავნებოდნენ დედამიწის სხვადასხვა მხარეს, რათა ეწინასწარმეტყველათ ქვეყანაზე მაცხოვრის მოსვლა, მისი შობა, მიწიერი ცხოვრება, ტანჯვა, ჯვარცმა და მისი ბრწყინვალე აღდგომა. წინასწარმეტყველებს შორის ყველაზე ცნობილი არიან მოსე, ილია, მეფე და წინასწარმეტყველი დავითი. ისინი იყვნენ იესო ქრისტეს მოსვლის მომასწავებლები. წინასწარმეტყველებზე სული წმინდა გადმოდიოდა და ასე იძენდნენ ისინი წინასწარმეტყველების უნარს.

მოწამეები

ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პირველ პერიოდში ბევრი მორწმუნე ადამიანი იდევნებოდა. მაშინ უმრავლესობას მრავალი ღმერთის არსებობა წამდა და კერპებს ეთაყვანებოდა. ქრისტიანობას განსაკუთრებით ებრძოდნენ რომის იმპერიის მმართველები. ისინი აწამებდნენ ქრისტიანებს, რათა აეძულებინათ, უარი ეთქვათ ქრისტეს რჯულზე. ისეთი წმინდანები, რომლებიც წამებისგან გარდაიცვალნენ და არ უღალატეს ქრისტეს რჯულს მოწამეებაად იწოდებიან.



მაისი 1999

ორშაბათი

ძვ. სტილი 20 აპრილი
ღირ. თეოდორესი.

მაისი 1999

სამშაბათი

ძვ. სტილი 21 აპრილი
მღვდელმოწ. იანვარისა და
მოყვასთა მისთა.
მოწ. თეოდორესი.
წმ. მაქსიმე კონსტ. პატრ.

ღირსნი

ღირსთა სახელით ცნობილნი არიან ის ბერები და მონოზვნები, რომლებიც განსაკუთრებული ღვაწლით გამოირჩეოდნენ. ისინი თავისი ცხოვრებით მიემსგავსნენ იესო ქრისტეს და ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. მათ მიერ არჩეული ცხოვრების პირობების მიხედვით, ღირსნი შემდეგნაირად იწოდებიან: მეუდაბნოენი და განდეგილნი (ქვეყნიურ ცხოვრებას განშორებულნი), მღვიმეში მყოფნი (კეთილი სურვილით განმარტოებულნი მღვიმეში), მესვეტენი (ღია ცის ქვეშ დიდ სვეტებზე მოღვაწენი), და მდუმარენი (მათ თავისი ნებით აღუთქვეს ღმერთს დუმილი). ღირსად მოიხსენიება ანტონ მარტყოფელი, წმიდა ნინოს მშობლები: ღირსი მამა ზაბულონი და ღირსი დედა სოსანა და სხვ.

მაისი 1999

5

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 22 აპრილი
ღირ. თეოდორე სიკეოტელისა.
განზოგება მეერგასისა.

ცამეტობა ღამე

მაისი 1999

6

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 23 აპრილი
წმ. დიდისა მოწამისა გიორგისა
მოწ. ალექსანდრა დედოფლისა.

ანტონ მესვეტე (VI) 7 (24.04) მაისი

ღირსი ანტონი ცამეტ ასურელ მამასთან (ხს. ახ. სტ. 20 მაისს) ერთად ჩამოვიდა საქართველოში. კაბადოკია ძალიან ადრე გაქრისტიანდა და სახელი გაითქვა თავისი შვილების სამისიონერო მოღვაწეობით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მისიონერები ჩვენთან კაბადოკიიდან მოდიოდნენ. წმიდა ნინო, საქართველოს განმანთლებელი, კაბადოკიიდან იყო. მთავარ-მოწამე გიორგი, განსაკუთრებით პატივცემული ქართველთაგან, აგრეთვე კაბადოკიელი იყო. საქართველოს ეკლესიაც ადრე ანტიოქიის საპატრიარქოს ეკუთვნოდა, რომელიც კაბადოკიის საზღვართან იმყოფებოდა და იქიდან მოდიოდნენ ჩვენში პირველი მღვდელმთავარნი და ეკლესიის მოძღვარნი. გრიგოლ ღვთისმეტყველი-განმანათლებელი არაგვის ხეობისა - კაბადოკიიდან იყო მოსული. იქიდანვე მოვიდა 13 ასურელი მამაც. მეექვსე საუკუნე და მეშვიდე საუკუნის დასაწყისი განსაკუთრებით გაჭირვებული დრო იყო საქართველოს ახლადდანერგილი ეკლესიისათვის. მაშინდელ საქართველოში გულმოდგინედ ვრცელდებოდა ზოროასტრის მოძღვრება, რომლის მფარველი და დამცველი იყო მაშინდელი სპარსეთი. სწორედ ასეთ დროს იყო საჭირო ზნეობრივი და სარწმუნოებრივი შემწეობა და დახმარება. წმიდა

7

ორშაბათი

ძვ. სტილი 24 აპრილი
მოწ. საბა სტრატილატისა
და მისთანა 70 მხედართა.

ცხმორბი დღე

მაისი 1999

8

შაბათი

ძვ. სტილი 25 აპრილი
წმ. მოც. და მახარებელისა
მარკოზისა.

იოანე ზედაზნელის კურთხევით ანტონი კახეთს დაემკვიდრა საქადაგებლად. ანტონმა ეკლესია ააშენა, თვითონ კი მივარდნილ ადგილას დაეყუდა. იგი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, დღე და ღამე ლოცულობდა სასწაულმოქმედი ხატის წინ და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ავედრებდა უფალს. უკაცრიელ ადგილზე დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მოდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ ღირს ანტონს. ერთ საღამოს ირმები ადრე მოვიდნენ დაფეთებულნი. უკან დაჭრილი ნუკრი მოსდევდათ. გაოცებული ანტონი ირმებს კვალში ჩუდგა და ნახა, რომ მთის ძირას, ველზე ვიღაც წარჩინებული ნადირობდა. მონადირე გაოგნებული მიაჩერდა მხცოვან ბერს, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმების ჯოგში. მონადირეს, რომელიც მახლობელი დაბის მამასახლისი აღმოჩნდა, შეეშინდა უცნობის და ბრძანა, წმიდანი მჭედელთან წაეყვანათ ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ როგორც კი აღმართა წმიდა მამის ხელის მოსაჭრელად, ხელები გაუშეშდა. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, წმიდა ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა. ეს სასწაული მაშინვე მამასახლისს აუწყეს. ის მიხვდა, რომ მის წინაშე ღვთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და შეევედრა: „რა გნებავს, სთქუ და

მაისი 1999

9

კვირა

ძვ. სტილი 26 აპრილი
მე-5 კვირა აღდგომიდან.
სამარიტელისა.
მღვდელმოწ. ბასილისა.

მაისი 1999

10

ორშაბათი

ძვ. სტილი 27 აპრილი
მღვდელმოწ. სვიმეონისა.
ხორც. ნათესავისა უფლისა
მართლ. ტაბითასი.

ყოველი მოგცე". ანტონმა ქვამარილის ნატეხი მოითხოვა. ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და სენაკის ახლოს დადო ირმებისთვის. წმიდა ანტონის ამბავი მახლობელ სოფლებს მოედო. მასთან აუარებელმა ხალხმა იწყო სიარული. ბევრს ისე მოეწონა მისი ცხოვრება, რომ იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. მამა ანტონმა მათთვის მონასტერი ააშენა. თვითონ კი განმარტოვდა, მაგრამ განმარტოებაში დიდხანს არ დასტოვეს. მასთან დადიოდნენ რჩევისა და ლოცვა-კურთხევის ასაღებად. ანტონი მრავალჯერ ცდილობდა განმარტოებას, მაგრამ მას ყველგან აგნებდნენ. ბოლოს იგი მთის მწვერვალზე, სვეტზე დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა 15 წლის განმავლობაში. ღირს მამას უფლისაგან წინასწარ ეუწყა გარდაცვალების დღე, უკანასკნელად დაარიგა მოწაფეები და აკურთხა ისინი, თვითონ კი ხატის წინ დაჩოქილი აღესრულა. ღირსი ანტონის გვამი სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში ღვთისმშობლის ხატის წინ დაკრძალეს.

მაისი 1999

11

ცისმწვანითი

ძვ. სტილი 28 აპრილი
მოც. იასონ და სოსიპატრესი.

მაისი 1999

12

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 29 აპრილი
წმ. ცხრათა მოწ. კვიზიკელთა.
წარგზ. ერგასის განზოგ.

ცისმარხი ლოდ

ადამიანის თავისუფლება

ბევრი ქვეყნად აკეთებს რაიმეს და არ ფიქრობს იმაზე, რას აკეთებს. თუ მგელი ხედავს კურდღელს, ის ცდილობს დაიჭიროს და შეჭამოს იგი და არ უფიქრდება იმას, კარგია ეს თუ ცუდი. ადამიანს კი ღმერთმა უბოძა გონება. მას შეუძლია აირჩიოს. მაგალითად, შენ გაქვს კანფეტები, შენს მეგობარს კი—არა. შენ შეგიძლია გააკეთო სიკეთე, გაუნაწილო მას, შეგიძლია - არ გაუნაწილო. შენ თავისუფალი ხარ. არსებობს უფრო რთული, ტრაგიკული სიტუაციებიც კი. მაგალითად, ომში შენ შეგიძლია გადაარჩინო საკუთარი სიცოცლე, სხვა ადამიანის გაცემის ფასად. მაგრამ, შენ თავისუფალი ხარ. შენ შეგიძლია წახვიდე სიკვდილზეც კი, ოღონდ იხსნა სხვისი სიცოხლე. უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ საკუთარი ნებით აირჩია წამება და სიკვდილი ჩვენი გადარჩენისათვის, რათა გაეხსნა ჩვენთვის გზა მარადიული ცხოვრებისაკენ, ღვთის სიყვარულისაკენ. ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისუფალ არსებად. ადამს, პირველ ადამიანს, შეეძლო ეცხოვრა ღმერთთან ერთად მარადიული სიხარულით, მაგრამ მან აირჩია ეცხოვრა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, ეცხოვრა თავისთავად, ღმერთის გარეშე. ამ დროიდან ის გახდა უბედური, იმიტომ რომ ურჩობით თვითონვე დაშორდა ღმერთს.

ეცადეთ გაიხსენოთ თქვენი ცოტა ხნის წინანდელი მოქმედებები და დაწერეთ რომელს თვლით კეთილად, რომელს - არა.

მაისი 1999

ხუთშაბათი

13

ძვ. სტილი 30 აპრილი
წმ. მოც. იაკობ-ზებედესი - ძმისა
იოანე ღვთისმეტყველისა.
წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვისა,
სტავროპოლელ ეპ.
წმ. დონატ. ეპ.

მაისი 1999

14

პარასკევი

ძვ. სტილი 1 მაისი
წმ. კეთილმორწ. მეფისა
თამარისა.
წინასწარმეტყვ. იერემიასი.

ცამეტი ლოი

წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი (1213)
14 (1) მაისი

თამარ მეფის ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია ორჯერ აღნიშნავს: 14 (1) მაისს და მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს. მისი ცხოვრება მართლაც ჰგავდა მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს. დღისით თამარი ტახტზე იჯდა და სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, შემდგომ კი დაუსრულებელ ღამეებს უძილოდ ატარებდა ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი, საქართველოსთვის ლოცვაში. ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა და თავის ნამუშევარს გლახაკებს უნაწილებდა. გლახაკთა და ღატაკთა უზომოდ განმკითხველი მეფე თავისი დიდი წინაპრის, კეთლმსახური მეფის, დავით აღმაშენებლის (ხს. ახ. სტ. 8 თებერვალს) მსგავსად, თავისი ნამუშევრით გაცემდა მოწყალებას. ერთხელ, თურმე, თამარ მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს იმაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე, როცა მოვიდნენ და უთხრეს, მონასტრის კოშკის კარებთან მდგომი მათხოვარი ითხოვს წყალობასო. მეფემ ბრძანა, დაეცადა

მაისი 1999

შაბათი

15

ძვ. სტილი 2 მაისი
წმ. ათანასე დიდისა.
მოწ. ესპერი და ზოიასი და
ძეთა მათთა კვირიკე და თეოდულესი.
წმ. კეთილმსახ. მთავარისა მოციქულთა-
სწორ. ბორის (მიხეილ)
ბულგარელისა.

მაისი 1999

კვირა

16

ძვ. სტილი 3 მაისი
მე-6 კვირა აღდგომიდან.
ბრმისა. წმ. მამაი კათალიკოსისა.
ღირ. მიქაელ და არსენ
ქართველთა-ულუმპელთა.

მათხოვარს. როცა პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესოს, მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა სამეფო შემოსაკრავი და ღვთისმშობლის ხატს შესწირა. თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერშიც დიდმარხვას ატარებდა ღმერთშემოსილი მეფე. ამ დროს აშენდა ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია. თამარის შესახებ უამრავი ლეგენდა არსებობს. ყველაზე მეტად საიდუმლოებით მოცულია მისი საფლავის ისტორია. მემატიანე გადმოგვცემს, რომ წმიდა მეფეთა მეფე გელათში, ბაგრატიონთა საძვალეშია დასაფლავებული, სხვა გადმოცემის მიხედვით კი თამარი იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში განისვენებს.



მაისი 1999

17

ორშაბათი

ძვ. სტილი 4 მაისი
ღირ. მოწ. პელაგიასი.

მაისი 1999

18

სამშაბათი

ძვ. სტილი 5 მაისი
წმ. დიდმოწ. ირინესი.

იოანე ზედაზნელი 20 (7) მაისი

წმინდა იოანე ზედაზნელმა სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო, ბერად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. ერთხელ მას ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა თავის მოწაფეთა შორის 12 ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, წმინდა ნინოს მოქცეულ ქვეყანაში ქრისტეს სჯული განემტკიცებინა.

წმინდა იოანე თავისი მოწაფეებითურთ ზედაზენის მთაზე დასახლდა. მამები დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდნენ და მხოლოდ მცენარეულით იკვებებოდნენ. ერთ ღამეს იოანეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. მოწაფეების გასტუმრების შემდეგ წმინდა იოანე კვლავ ჩვეულ საქმიანობას შეუდგა, მას თან ჰყავდა ილია დიაკონი, რომელიც ზედაზნის უწყლო ადგილზე შორიდან ეზიდებოდა წყალს. მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე წმინდა იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება შესთხოვა. სახიერმა უფალმა ისმინა წმინდა ბერის ვედრება და მთის წვერზე მაკურნებელი წყარო ამოაჩუხჩუხა. წმინდა იოანეს ლოცვით მრავალი სასწაული აღსრულდა. ერთხელ წყაროს დათვი შემოეჩვია. იოანემ დათვს ადამიანის ენით უთხრა: წყაროს წყალი დალიე, ოღონდ ამ მიდამოში ადამიანი არ დატოროო. დათვმა კეთილგონიერი კაცივით მოუსმინა წმინდანს, წყალი დალია და იქაურობას გაეცალა. ამბობენ, სასწაული დღესაც სრულდებაო, იმ მიდამოში დათვი ადამიანს არ ერჩისო.

19

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 6 მაისი
აღდგომის წარგზავნა.
წმ. და მართლ. იობისა.

ცამეტობა დღე

მაისი 1999

20

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 7 მაისი
ამაღლება უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი.
ხს. ეკვრის გამოცხადებისა
ქალაქსა ზედა იერუსალიმს.
ღირ. იოანე ზედაზნელისა
და მისთა ათორმეტთა
მოწაფეთა.

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

თავისი ვნების შემდეგ იესო ქრისტე ხშირად ეჩვენებოდა მოწაფეებს და ღვთის სასუფევლის შესახებ ესაუბრებოდა მათ. უკანასკნელად აღდგომიდან მეორმოცე დღეს გამოეცხადა მოციქულებს და უბრძანა არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან, რადგან, თუ იოანე წყლით ნათლავდა, მოციქულები სულიწმიდით უნდა მონათლულიყვნენ. მიიღებდნენ რა განსაკუთრებულ ძალას, როცა სულიწმიდა გადმოვიდოდა მათზე, მოციქულები უნდა გამხდარიყვნენ ქრისტეს მოწამენი მთელს იორდანესა და სამარიაში, ქვეყნის კიდემდე.

მაშინ გაიყვანა იესომ მოწაფენი ბეთანიამდე. აღაპყრნო ხელნი და აკურთხა ისინი. კურთხევისას დასცილდა მათ და ამაღლდა ზეცად. ღრუბელმა აიტაცა იგი მათ თვალთაგან და ვიდრე ცას შეჰყურებდნენ, გამოჩნდა ორი კაცი, თეთრი სამოსით, რომელთაც თქვეს: ეს იესოა, რომელიც ამაღლდა თქვენგან ზეცად და ისევე მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ იგი. მოწაფეები სიხარულით დაბრუნდნენ ზეთისხილის მთიდან იერუსალიმში და იყვნენ მუდამ ტაძარში და ადიდებდნენ ღმერთს. ამაღლებას ქრისტეს ეკლესია დღესასწაულობს აღდგომიდან მეორმოცე დღეს.

მაისი 1999

21

პირველი

ძვ. სტილი 8 მაისი
წმ. დიდებულის
მოც. იოანე
ღვთისმეტყველისა.
ღირ. არსენი დიდისა.

მაისი 1999

22

შაბათი

ძვ. სტილი 9 მაისი
წმ. ნიკოლოზის ნაწილთა
აღმოყვანება.
მიცვალება ღირ. შიო
მღვიმელისა.
წინასწარმეტყვ. ისაიასი.

ცისმარიანი ლოდი

შიო მღვიმელი (VI) 22 (9) მაისი

შიო მღვიმელი იყო ასურეთიდან, ქალაქ ანტიოქიიდან, საიდანაც მრავალი დიდი წმიდანი მოდის. მისი მშობლები ღვთისმოშიში მორწმუნენი იყვნენ და შიოც ასეთივე აღზარდეს. საღვთო სიტყვის უმეტესი ნაწილი შიომ ზეპირად დაისწავლა, ხოლო წმიდა სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლეები და ფსალმუნთა წიგნი მოუშორებლად თან ჰქონდა და ენა და პირი მისი მუდამ გამოსთქვამდა მათ. როცა ღირსი შიო ოცი წლის გახდა, ნეტარი იოანე გაიცნო და მასთან საუბრის შემდეგ ბერობის მიღება მოინდომა, მაგრამ მშობლებს ვერ უბედავდა გადაწყვეტილების გამხელას. ნეტარმა იოანე ზედაზნელმა კი დაამშვიდა: „გწამდეს ჩემი, რომ შენზე უწინ ისინი მიიღებენ მონაზვნობას. წადი და უფალი იყოს შენთან, რათა განგამტკიცოს." არ გასულა დიდი ხანი, რომ შიოს მშობლებმა სთხოვეს, ბერ-მონაზვნად აღკვეცაში დახმარებოდა, თვითონ კი ცოლი მოეყვანა და მათ მამულში ეცხოვრა. შიომ აუსრულა მშობლებს მონასტერში წასვლის სურვილი, შემდეგ ყველაფერი, რაც მშობლებმა დაუტოვეს, გაყიდა და თანხა მონასტრებსა და გაჭირვებულებს შესწირა. თვითონ კი მხოლოდ წმიდა სახარება და ფსალმუნთა წიგნი დაიტოვა და

მაისი 1999

23

კვირა

ძვ. სტილი 10 მაისი
მე-7 კვირა აღდგომიდან.
მოც. სვიმონ მოშურნისა

მაისი 1999

24

ორშაბათი

ძვ. სტილი 11 მაისი
ხს. შვიდი მსოფლიო კრების
წმ.
მამათა. მღვდელმოწ. მუკისა.

იოანესთან მივიდა. იოანემ შიო ბერად აღკვეცა და 20 წლის შემდეგ მასთან და სხვა თერთმეტ მოწაფესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, რათა ქრისტიანობა ექადაგა. შიო იოანესა და კათოლიკოსის კურთხევით მცხეთის დასავლეთით, ადამიანისთვის უვალი, უღრანი და კლდოვანი ადგილებისკენ წავიდა. ამ გამოქვაბულში დამკვიდრდა ნეტარი შიო მარტო (ამიტომაც შეარქვეს მას მღვიმელი), მხოლოდ ღმერთს მინდობილი (ამ ადგილას ახლა შიომღვიმის მონასტერია). ნეტარი შიო ხანგრძლივი ლოცვებით მადლობას სწირავდა უფალს. ღმერთმა, ნახა რა გულმოდგინება და მოთმინება მისი, არ დაივიწყა ერთგული მონა და შიოს გამოზრდა დაიწყო დღე და ღამე მტრედის მოვლინებით, რომელსაც მოჰქონდა შიოსთან საჭმელი. წყალიც კი გამოუდინა მშრალი კლდიდან თავის გამოქვაბულის მარჯვნივ.

უდაბნოს მხეცები ცხენებსა და სახედრებს ეტანებოდნენ და რასაც კი წააწყდებოდნენ, დიდად ვნებდნენ და ანადგურებდნენ, თვით მონასტრის ძმების სახედრებიც კი შეჭამეს. შეწუხებულმა მონასტრის ძმებმა ნეტარ შიოს მოახსენეს თავიანთი გასაჭირი. მოისმინა რა წმიდა შიომ, შეწუხდა, რადგან დიდი სიკეთე ჰქონდა ადამიანებისა და პირუტყვების მიმართ, ილოცა, რათა რაც კი მხეცები იყვნენ იმ

მაისი 1999

ცხრაშაბათი

25

ძვ. სტილი 12 მაისი
წმ. მამათა ეპიფანე კვიპრელ
და გერმანე
კონსტანტინეპოლელისა.
წმ. საბიანე კვიპრელ მთავარეპ.

მაისი 1999

26

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 13 მაისი
ღირ. დოდო გარეჯელისა.
ღირ. ექვთიმე ათონელისა.

ცხრაკრიტი ღრო

უდაბნოში, ღმერთს ყველა შეეკრიბა მასთან. და, აჰა, საკვირველება დიდი: მაშინვე, როგორც კი წმიდა მამამ დაასრულა ლოცვა, ყველა სახის მხეცი, რაც კი იცის ადამიანმა, შეიკრიბა წმიდანის გამოქვაბულთან. ეს რომ ნეტარმა შიომ დაინახა, გამოვიდა გამოქვაბულიდან და როგორც ადამიანებს, ლმობიერად დაუწყო ლაპარაკი. ისინი კი ქედმოდრეკილნი იდგნენ და უსმენდნენ ნეტარი მამის სიტყვებს და მოელოდნენ მის ბრძანებას. ყველას მოეყვანა თავიანთი შვილები, რომლებიც ზოგს კბილებით ეჭირა, ზოგს - ზურგით, რაც მეტად საკვირველი სანახავი იყო. ნეტარმა შიომ უთხრა მათ: „ნახეთ, მხეცებო, ჩემი უღირსება და მომისმინეთ, რასაც გეტყვით. იცის ქრისტემ, რომ დიდად შემტკივა თქვენთვის გული, მაგრამ რადგან ველურია თქვენი ბუნება, ამიტომ თქვენსა და ჩვენს გამჩენს უბრძანებია, რათა მეტყველი ადამიანის მიერ აივსოს ეს უდაბნო. ამიტომ, წადით, საყვარელნო, მოძებნეთ თქვენთვის სხვა ადგილები, სადაც იქნებით მოსვენებით. თქვენი წასვლისასაც ნურავის ავნებთ რაიმეს, არამედ ერთი თქვენგანი დარჩება ჩემთან, რომ ძმების სახედრებს უყარაულოს, რათა ამით მიუზღოს ძმებს იმისათვის, რომ შეაწუხეთ ისინი. და, აჰა, საკვირველება: ბერის სიტყვებისთანავე მხეცები განერიდნენ იქაურობას, მდინარის იქით

მაისი 1999

27

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 14 მაისი
ღირ. დავით გარეჯელისა.
მამადავითობა თბილისში.
მოწ. ისიდორესი და მაქსიმესი.
ღირ სერაპიონ სინდონელისა.

მაისი 1999

28

პარასკევი

ძვ. სტილი 15 მაისი
ღირ. პახუმი დიდისა.
ღირ. აქილე ლარისის ეპ.

ცამეტრიანი ლოდ

გადავიდნენ და დაემკვიდრნენ იქ, სადაც ღვთისაგან ებრძანათ. მხოლოდ ერთი მგელი დარჩა, როგორც მორჩილი მონა, იდგა ბერის წინაშე შიშით. წმიდა შიომ უთხრა მას: ჩვენი უფალი იესო ქრისტეს სახელით გეტყვი, მხეცო, ამიერიდან, როგორც კეთილი მწყემსი, აძოვებ ჩვენს სახედრებს, რათა შენი ასეთი მსახურებით სიკეთით გადაუხადო ძმებს მწუხარებისათვის, რომელიც მიაყენეთ მათ. შენი საკვები იქნება ის, რასაც ჩვენ შევჭამთ; ცისკარზე წაიყვან სახედრებს საძოვარზე და მწუხრზე დააბრუნებ უკან, რადგან ამათ მწყემსად და მცველად შენ დამიდგენიხარ". მგელი დაემორჩილა ბერის ბრძანებას, როგორც მორჩილი მონა, შეითვისა ადამიანური ბუნება და ხვდებოდა სიტყვას. განთიადისას ადიოდა ბორცვზე და ყივილით უხმობდა სახედრებს წასასვლელად, მწუხრზე კი, როცა საძოვრებიდან დაბრუნდებოდნენ, ისევ ბორცვზე დადგებოდა და იმავე ხმით აცნობებდა ძმებს სახედრების მონასტერში დაბრუნებას - ყველა, ვინც უყურებდა ამ სასწაულს ან ესმოდა მასზე, გაკვირვებული ადიდებდა უფალს, რომელმაც ისეთი მადლი მისცა თავის ერთგულ მონას, რომ ველური ცხოველებიც კი ასრულებდნენ თავისი ბუნებისთვის უცხო მსახურებას და ემორჩილებოდნენ მის სიტყვას.

მაისი 1999

შაბათი

29

ძვ. სტილი 16 მაისი
სულის შაბათი.
სულთაობა.
მიცვალებულთა ხსენება.
ღირ. თეოდორე განწმენდილისა.

მაისი 1999

კვირა

30

ძვ. სტილი 17 მაისი
სულიწმიდის გარდამოსვლა.
სულთმოფენობა.
მე-8 კვირა აღდგომიდან.
წმ. მამათა და დედათა აჭარაში
თურქთაგან წამებულთა.
მოც. ანდრონიკესი.

სულიწმიდის გარდამოსვლა - სულთმოფენობა

უფლის დარიგებისამებრ მოციქულები არ ტოვებდნენ იერუსალიმს და გაძლიერებული ლოცვით და მარხვით ემზადებოდნენ სულიწმიდის მისაღებად. ამაღლებიდან მეათე დღეს ისინი შეკრებილნი იყვნენ ერთ ადგილას და უცებ ზეციდან გაისმა გრგვინვა, თითქოს გრიგალი ამოვარდაო და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ. სული წმიდა დაადგა მათ ცეცხლოვანი ენების სახით და აღივსნენ სულით წმიდით და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ. ამ დროს იერუსალიმში შეკრებილნი იყნენ ღვთისმოსავნი კაცნი სხვადასხვა ხალხისაგან და ისმენდნენ, როგორ მეტყველებდნენ მათ საკუთარ ენაზე მოციქულები, უკვირდათ და ეკითხებოდნენ ერთმანეთს: განა ესენი ყველანი გალილეველნი არ არიან? როგორღა ვისმენთ მათგან ჩვენს საკუთარ ენას? იმ დღეს ათასობით კაცმა იწამა ქრისტეს სჯული. ბოლო მოწაფეები წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან უფლის შეწევნით, რომელიც განამტკიცებდა სიტყვას მათი თანმხლები სასწაულებით. ქრისტეს ეკლესია სულმოფენობას დღესასწაულობს აღდგომიდან 50-ე დღეს.

მაისი 1999

ორშაბათი

31

ძვ. სტილი 18 მაისი
სულიწმიდის დღე.
სამებობა.
წმ. დავით და ტარიჭანისა.
მღვდელმოწ. თეოდოტი ანკვირელისა.
მსგეფსი.

ივნისი 1999

1

სამშაბათი

ძვ. სტილი 19 მაისი
წმ. მოც. სწორისა ნინოსი.
წმ. იოანე გუთელ ეპ.

წმიდა ორი ძმა - დავით და ტარიჭან (693)
31 (18) მაისი

ძმები დავითი და ტარიჭანი ქართველ მეფეთა ნათესავნი იყვნენ და ქრისტიანულ ოჯახში იზრდებოდნენ. მამა ადრევე გარდაეცვალათ და მათი მამული წარმართმა ბიძამ, თევდოსიმ მიიტაცა. თევდოსი ცდილობდა, წარმართობისაკენ მიემხრო და და დისწულები. მაგრამ როგორც დამ, ასევე წმიდა ყრმებმა მტკიცე უარი უთხრეს მამა-პაპათა სჯულის უარყოფაზე. განრისხებულმა თევდოსიმ ქრისტიანების შიშით ვერ გაბედა ყრმათა მოკვლა და გაუშვა, მაგრამ მალულად მათი მოკვდინება გადაწყვიტა. დედა თაგინემ იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება და შვილებთან ერთად ტაოში გადავიდა. თევდოსიმ მსტოვრები დაადევნა და როცა ყრმები ცხვარს აძოვებდნენ, მეომრებთან ერთად ჩაუსაფრდა მათ. მთის წვერზე მოთამაშე ძმებმა ხმაური გაიგონეს და მეომრები რომ დაინახეს, შეშინდნენ. ნეტარმა დავითმა ბიძა იცნო და სიხარულით გაექანა მისკენ. უკეთურმა თევდოსიმ კი მახვილი დაახვედრა და მოკლა. წმიდა მოწამის ხელიდან გავარდნილი კომბალი მიწაზე დაეცა და უზარმაზარ ხედ იქცა. ორასი წლის შემდეგ მლოცველებმა ის ხე წმიდა ნაწილებად დაინაწილეს. ტარიჭანმა ძმის უმოწყალო



ივნისი 1999

2

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 20 მაისი
ღირ. ზაბულონისა და სოსანასი.
წმ. თალალე, ალექსანდრე და ასტერისა.

ივნისი 1999

3

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 21 მაისი
წმ. მოც. სწორთა კონსტანტინე და ელენესი.

სიკვდილი იხილა და სოფლისკენ გაიქცა, მაგრამ მეომრები დაეწივნენ და მოკლეს. როცა ტარიჭანის მკვლელები უკან დაბრუნდნენ, მთაზე დაბრმავებული თევდოსი იხილეს. მეომრები გაკვირვებისაგან ხმას ვერ იღებდნენ და ვერც ის ადგილი დატოვეს, სადაც ეს სასწაული და სასჯელი აღსრულდა. თევდოსი ღვთის ამ სასჯელმა მოაქცია და სინანულით აქვითინდა. იგი მგლოვიარე თაგინეს პატიებას სთხოვდა და ევედრებოდა, ელოცა მასზე, რადგან სწამდა მას ჭეშმარიტი ღმერთი. თაგინე მიხვდა, რომ ღმერთმა მსხვერპლად შეიწირა მისი შვილნი, გლოვა სიხარულით შეეცვალა, აპატია ძმას და ევედრებოდა ღმერთს მის შეწყალებას და განკურნებას. შემდეგ აიღო წმიდა დავითის სისხლით შესვრილი მიწა, თვალებზე სცხო ძმას და მაშინვე აღეხილა მას თვალები. ხალხი გაოგნებული შეჰყურებდა წმიდა მოწამე დავითის ცხედართან ქმნილ მეორე სასწაულს. ღამით ძმათა ცხედრებს ნათელი დაადგა. თევდოსიმ შენდობა სთხოვა კათოლიკოსს, ირწმუნა იესო ქრისტე და წმიდა დავითის სახელზე ეკლესია ააშენა. მთავარმა კი წმიდა ტარიჭანის ნაწილები წაასვენა და მისი სახელობის ტაძარი ააგო.



ივნისი 1999

4

პარასკევი

ძვ. სტილი 22 მაისი
მოწ. ვასილისკოსი.
წარგზავნა სულთმოფენობისა.

ივნისი 1999

5

შაბათი

ძვ. სტილი 23 მაისი
ღირ. აღმს. მიქაელ სვინადელ ეპ.
ღირ. დამიანესი, ყოფილ დემეტრე
მეფისა.

ღირსი დამიანე, დემეტრეყოფილი, შენ ხარ ვენახის მთქმელი (1157) 5 (23.05) ივნისი

წმიდა დამიანე (დემეტრე) დავით აღმაშენებლის ძე იყო. მამამ იგი სიცოცხლეშივე დასვა სამეფო ტახტზე. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობის დროს მოიხვეჭა დემეტრემ სახელი და დიდება. 1117 წელს მეფემ იგი შირვანში გაგზავნა სალაშქროდ, საიდანაც ახალგაზრდა სარდალი გამარჯვებული დაბრუნდა.

დემეტრე I მხნედ შეუდგა მამის მემკვიდრეობისა და საქართველოს საზღვრების დაცვას. ააღორძინა ჰერეთი, სომხეთი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი და ტაოს ნაპირი, რომელიც მანამდე თითქმის უკაცრიელი იყო.

დავითს მიმსგავსებული, ღვთისნიერი მეფე შეთქმულებისა. და ღალატის მსხვერპლი გახდა. ჯერ დიდგვაროვანი ფეოდალები აუმხედრდნენ, შემდეგ კი საკუთარი ძე დავითი. გულგატეხილი მეფე ბერად აღიკვეცა და დამიანეს სახელით დავით გარეჯის უდაბნოში დაეყუდა. სამეფო ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ 6 თვის მერე გარდაიცვალა. სამეფო ინტერესების დასაცავად დემეტრე კვლავ



ივნისი 1999

კვირა

ძვ. სტილი 24 მაისი
პირველი კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.

ჰიკრრე-ჰვეროობის მეხრეების ლიტ.

ივნისი 1999

ორშაბათი

ძვ. სტილი 25 მაისი
მესამედ პოვნა პატიოსნისა თავისა წმ.
იოანე ნათლისმცემლისა.
მღვდელმოწ. თერაპონ კვიპრელ ეპ.

ლანწოკი ჰიკრრე-ჰვეროობის მეხრეებს

დაბრუნდა ტახტზე და თანამმართველად თავისი ძე გიორგი გამოაცხადა.

დავით გარეჯის უდაბნოში აღკვეცილმა მეფემ შთამომავლობას ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზია) შესანიშნავი ნიმუშები დაუტოვა. განსაკუთრებით ცნობილია ღვთისმშობლის საგალობელი „შენ ხარ ვენახი". დემეტრეს ფრესკა გარეჯის მონასტრის კედელზე ყოფილა გამოხატული, მაგრამ დრო-ჟამს დაუზიანებია იგი. კეთილმსახური მეფის ფრესკა მაცხვარიშის (ლატალის) ეკლესიის მხატვრობამ შემოგვინახა. დემეტრე მეფემ დაასრულა და აკურთხა დავით აღმაშენებლის დაწყებული გელათის ტაძარი.

ბელტის ციხეში გარდაცვლილი წმიდა დამიანე მის მიერ ნაკურთხ გელათის მონასტერში დაასაფლავეს.



ივნისი 1999

კვირეული

ძვ. სტილი 26 მაისი
მოც. კარპეზისა და ალფესისა.

პარასკევ-პარასკევის მარხვა

ივნისი 1999

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 27 მაისი
მღვდელმოწ. თერაპონისი.
მოწ. თეოდორა ქალწ.

პარასკევ-პარასკევის მარხვა

ღირსი მამა ზაბულონი და ღირსი დედა სოსანა - წმიდა ნინოს მშობლები (IV)

2 (21.6) ივნისი

წმიდა ნინო (ხს. ახ. სტ. 27 იანვარს და 1 ივნისს) და წმიდა გიორგი (ხს. ახ. სტ. 23 ნოემბერს და 6 მაისს) ნათესავები ყოფილან. წმიდა გიორგის წამების დროს კაბადოკიიდან რომში ჩავიდა ვინმე ზაბულონი, რომელმაც მეფის არმიაში დაიწყო სამსახური და მალე გაითქვა სახელი. ფრანგებთან ბრძოლის დროს „მოსცა უფალმან ძალი ზაბილონს", შეიპყრო ფრანგთა მეფე და რომაელთა მეფეს მიჰგვარა. მეფემ ტყვეების მოკვლა ბრძანა. სიკვდილის წინ ტყვეებმა ქრისტიანული ნათლისღება ითხოვეს. ზაბულონმა მეფესა და პატრიარქს აუწყა ყოველი და მონათლა სიკვდილ-მისჯილები. შემდგომ წმიდა ზაბულონმა თავისი ნათლულების შეწყალება ითხოვა და მეფემაც მისცა მას მისი სულიერი შვილების სიცოცხლე. წმიდა ზაბულონის ღვაწლით მთელი მაშინდელი საფრანგეთი ეზიარა ქრისტეს წმიდა ნათელს. წმიდა ზაბულონი იერუსალიმში წავიდა წმიდა ადგილების მოსალოცად. იქ მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა და იერუსალიმის პატრიარქ



ივნისი 1999

ხუთშაბათი

10

ძვ. სტილი 28 მაისი
წმ. ნიკიტასი.
მღვდელმოწ. ევტიქი მელიტინელ ეპ.

პაკური-ბალოობის მარხვა

ივნისი 1999

11

პარასკევი

ძვ. სტილი 29 მაისი
ლირ. მოწამე თეოდოსიასი.

პაკური-ბალოობის მარხვა

იობენალთან დაიწყო მსახურება. პატრიარქმა ზაბულონს თავისი და სოსანა მიათხოვა.. წმიდა ზაბულონი და სოსანა კაბადოკიაში წავიდნენ. იქ მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინო. როდესაც ნინო 12 წლის შეიქნა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში წავიდნენ. ზაბულონი უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. წმიდა სოსანა კი გლახაკებს და უძლურებს ემსახურებოდა. 1996 წლის 23 (10) დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა წმიდა ნინოს მშობლები - წმიდანთა დასში შერაცხა და ეწოდათ მათ - ღირსი მამა ზაბულონი და ღირსი დედა სოსანა.



ივნისი 1999

12

შაბათი

ძვ. სტილი 30 მაისი
ღირ. ისააკ აღმს.

პეტრე-პავლობის მარხვა

ივნისი 1999

13

კვირა

ძვ. სტილი 31 მაისი
მე-2 კვირა სულიწმიდის
გარდამოხელიდან.
ყოველთა ღირსთა და
ღმერთშემოსილთა
მამათა ათონისა წმინდა მთაზე
გაბრწყინებულთა,
მოც. ერმისა.
მოწ. თეოდორე მღვდლიხა.
პეტრე-პავლობის მარხვა

ექვთიმე ათონელი 26 (13) მაისი

ექვთიმე ათონელი სამხრეთ საქართველოში დაიბადა, მდიდარ და წარჩინებულ ოჯახში. ვინაიდან ექვთიმეს მამა ბერად აღიკვეცა, მას ბაბუა, დედის მამა, ზრდიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ექვთიმე იმ ბავშვთა სიაში აღმოჩნდა, რომელნიც დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა უკან დაბრუნებული ტერიტორიების სანაცვლოდ. ეს რომ იოანემ, ექვთიმეს მამამ, გაიგო, ჩავიდა სამეფო ქალაქში და შვილი გამოითხოვა. ბაბუა წინააღმდეგი იყო, იოანესათვის გაეტანებინათ ექვთიმე. მაშინ იმპერატორმა ორივენი დააყენა და ბრძანა, ვისთანაც მივიდოდა ბავშვი, მის აღმზრდელად ის დაედგინათ. სასწაული მოხდა, ვინაიდან პატარა ექვთიმემ სიხარულით მიირბინა მამასთან, რომელსაც თითქმის არ იცნობდა.

იოანე ათონელმა ბავშვი წაიყვანა და, როგორც ღვთისაგან ბოძებული, მონაზვნად აღკვეცა. პატარას ქართული ენა სულ დავიწყებოდა და ცალი ფეხით კოჭლობდა.

ერთხელ პატარა ექვთიმე ავად გახდა. მამამ შვილის გადარჩენის იმედი დაკარგა, მღვდელთან კაცი გაგზავნა, რომ მომაკვდავი ბავშვი ეზიარებინა, თვითონ კი ეკლესიაში წავიდა, ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და მდელარე



ივნისი 1999

14

ორშაბათი

ძვ. სტილი 1 ივნისი
მოწ. იუსტინე ფილოსოფოსისა და სხვისა.
მოწ. იუსტინესიანე და მისთანათა.
ღირ. შიო ახლისა, გაბრიელ და პავლე გარეჯელთა.

პიკრი-ანგოლოზის მარხვა

ივნისი 1999

15

სამშაბათი

ძვ. სტილი 2 ივნისი
წმ. ნიკიფორესი,
კონსტანტინეპოლელ პატრ.

პიკრი-ანგოლოზის მარხვა

ცრებლებით ეეედრებოდა საყვარელი შვილის განკურნებას.

სენაკში დაბრუნებულ იოანეს სრულიად ჯანმრთელი ექვთიმე ლოგინზე წამომჯდარი დახვდა. პატარამ უამბო მამას, რომ მასთან დიდებული დედოფალი მობრძანდა, ხელი შეახო და ქართულად უთხრა: „ფიქრი ნუ გაქვს სიკვდილისა, ფეხზე ადექი და ქართულად თავისუფლად ილაპარაკეო."

ამ დღის შემდეგ ექვთიმე გამართულად საუბრობდა დედა ენაზე და აღარ კოჭლობდა. მან უამრავი წიგნი თარგმნა ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად. სწორედ, ექვთიმემ ჩაუყარა საფუძველი X-XI საუკუნეებში ბერძნული ლიტერატურის ქართულად თარგმნას, ათონის სალიტერატურო სკოლის საქმიანობას.

მამის გარდაცვალების შემდეგ, წმიდა ექვთიმე ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი გახდა. მან მრავალი სასწაული აღასრულა. ერთხელ საბერძნეთში საშინელი გვალვა იყო, მიწა დასკდა და ვენახები გადახმა. მამა ექვთიმემ წირვა დააყენა. წირვაზე სახარების კითხვისას ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, წმიდა ზიარების დაწყებისას კი - წვიმა წამოვიდა.

ერთხელ, ფერიცვალების დღესასწაულზე ათონის მთაზე სალოცავად ასულმა ხალხმა საკუთარი თვალით იხილა ცეცხლის ალში გახვეული



ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

16

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ძვ. სტილი 3 ივნისი
მოწ. ლუკილიანესი და
მისთანათა.

ᲞᲘᲥᲠᲘᲐ-ᲞᲐᲕᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲡᲠᲬᲐᲕᲚ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

17

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ძვ. სტილი 4 ივნისი
წმ. მიტროფანე
კონსტანტინეპოლელ პატრ.

ᲞᲘᲥᲠᲘᲐ-ᲞᲐᲕᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲡᲠᲬᲐᲕᲚ

მამა ექვთიმე.

სულით მშვიდმა და განათლებულმა წმიდა ექვთიმემ 14 წელიწადს უწინამძღვრა ათონის ქართველთა მონასტერს, შემდეგ კი, რადგანაც სამწერლო საქმიანობისათვის დიდი დრო სჭირდებოდა, წინამძღვრობა მამა გიორგის (ხს. ახ. სტ. 10 აგვისტოს) გადააბარა, ხოლო თვითონ სენაკში ჩაიკეტა, რათა მთლიანად თარგმნისთვის მიეყო ხელი.

ერთხელ ექვთიმე იმპერატორმა კონსტანტინე მერვემ დაიბარა. ღირსმა მამამ ძმები შეკრიბა, ტრაპეზი გაუმზადა და სთხოვა, ელოცათ მისთვის; შემდეგ თეოფანე ხუცესთან წავიდა, რომელთანაც სიყრმიდან იყო შეზრდილი. დამშვიდობებისას თეოფანე ხუცესი მოეხვია და ცრემლით უთხრა: „ვაიმე უბადრუკსა, რამეთუ არღარა ოდეს გიხილო შენ ხორციელად. ჰოი, წმიდაო მამაო!" ღირსმა ექვთიმემ დაუდასტურა წინასწართქმული.

იმპერატორთან სტუმრობის შემდეგ ექვთიმე მხატვართან მიბარებული ხატის სანახავად მიდიოდა. გზაზე შავით შემოსილი გლახაკი გადაუდგა და მოწყალება სთხოვა. ღირსმა მამამ ჯიბეში ჩაიყო ხელი. ჩამოძონძილი გლახაკის დანახვაზე ჯორი შეშინდა, აიწყვიტა და წმიდანი ძირს ჩამოაგდო.

წმიდა ექვთიმეს მთელი საბერძნეთი დასტიროდა. მისი პატიოსანი ნაწილები დაკრძალეს ათონის მთაზე იოანე ნათლისმცემლის ტაძარში.



ივნისი 1999

18

პარასკევი

ძვ. სტილი 5 ივნისი
მღვდელმოწ. დოროთე ტვირელ ეპ.

პაპური-პაულოობის მარხვა

ივნისი 1999

19

შაბათი

ძვ. სტილი 6 ივნისი
ღირ. ბესარიონისა.
ღირ. ილარიონ ახლისა.

პაპური-პაულოობის მარხვა

თევდორე მღვდელი (კველთელი) (1609) 13 (31.05) ივნისი (ი. გოგებაშვილის მიხედვით)

სამასი წლის ამბავს მოგითხრობთ: 1609 წელი მიდიოდა. იმ ჟამად სპარსეთსა და ოსმალეთს ომი ჰქონდა ერთმანეთთან ბაღდადის გამო. ოსმალეთის და ყირიმის ჯარებმა დაამარცხეს სპარსელები. ამ გამარჯვების შემდეგ ყირიმის ძლევამოსილმა ჯარმა სწრაფად გამოილაშქრა საქართველოსზე. ამ დროს ქვეყანაში მეფობდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბი. იმ ჟამად ის იყო საზაფხულოდ გასული სოფელს ცხისეთში.. თათრის ჯარმა იცოდა საზაფხულო ბინა მეფისა და საოცარი სისწრაფით მიეშურებოდა მისკენ. მტერნი მოწადინებულნი იყვნენ, უცებ დასხმოდნენ მეფეს თავსა და შეეპყრად იგი ტყვედ. მანგლისის ახლოს ერთს პატარა სოფელში, რომელსაც სახელად კველთა ერქვა, თათრებმა შეიპყრეს ერთი ქართველი მღვდელი, სახელად თევდორე. თევდორე მღვდელს შეუტიეს თათრებმა და უბრძანეს: შენ უნდა წინ წაგვიძღვე, სულ მოკლე გზით გვატარო და რაც შეიძლება, ჩქარა მიგვიყვანო მეფის ბინასთანაო. თუ ამას შეგვისრულებ, დიდს საჩუქარს მიიღებ; ხოლო თუ უარზედ დადგები, გტანჯავთ, გაწვალებთ, საშინელს სიკვდილს მიგცემთ და შენს სხეულს ყვავსა და ყორანს შევაჭმევთო. თევდორეს ან თავი უნდა შეეწირნა ქვეყნისათვის, ან სამშობლო ენაცვალებინა თავისი თავისთვის. უცებ იგი წელში გასწორდა, სახე გაუნათლდა, მამაცური გამომეტყველებით აევსო. აშკარად ეტყობოდა, რომ გმირულს გარდაწყვეტილებას დაადგა. თათრებს უთხრა თევდორემ: „კარგი, მომყევით და სულ



ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

20

ᲮᲣᲘᲠᲐ

ძვ. სტილი 7 ივნისი
მე-3 კვირა სულიწმინდის
გარდამოსვლიდან.
მოწ. თეოდოტე ანკვირიელისა.
მარკელინ რომის პაპისა.

ᲮᲣᲘᲠᲐ - ᲮᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲕᲐ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

21

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ძვ. სტილი 8 ივნისი
დიდმოწ. თეოდორე
სტრატილატისა.

ᲮᲣᲘᲠᲐ - ᲮᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲕᲐ

მოკლე გზით გატარებთ მეფემდისაო". თათრებს დიდი სიხარული შეუდგათ და ფიქრობდნენ, რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს მეფე ხელში გვეყოლება ტყვედაო. მიდის წინ მღვდელი, მისდევენ მას უკან თათრები. ესენი ხედავენ, რომ სულ დასავლეთისაკენ მიჰყავს მღვდელსა, ცხისეთი-კი მანგლისიდან ჩრდილოეთით სძევს. ეჭვი ეპარებათ, მაგრამ თან ფიქრობენ: აი საცაა გზა ჩრდილოეთისაკენ გაუხვევსო. ხოლო თევდორე მღვდელი სულ იქით და იქით მიდის და, რაც შეუძლიან, სწრაფად. იარეს ასე კარგა ხანს. ბოლოს თათრები მიხვდნენ, რომ თევდორე მღვდელმა ისინი მოატყუა, გზას ააცდინა და ცხისეთს დააშორა. მაშინ ისინი საშინელი სიბრაზით აივსნენ, გაშმაგებულნი მისცვივდნენ საწყალს თევდორესა და დაუწყეს წამება. აწვალეს, სტანჯეს, ბოლოს მოჰკლეს, დაჩეხეს და გადააგდეს ერთს დიდს ხრამში. თევდორე მღვდელი ამ საშინელის ტანჯვის დროს მხურვალე გულით ევედრებოდა უფალსა, რათა მას მოწყალე თვალით გადმოეხედნა საქართველოსათვის, მისი სახლობისათვის და ეხსნა იგი მტერთა ხელისაგან. ლოცვა და იმედი არ გაუცრუვდა, თავდადებამ მისმა ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო. თევდორე მღვდელმა ისე დააშორა თათრები ცხირეთსა, რომ მათ იმ დღეს ველარ გაიგნეს გზა და ვერ მოასწრეს მთაზედ გადასვლა. ამით ისარგებლეს ზოგიერთ გამბედავმა ქართველებმა და აცნობეს მეფეს ყველაფერი. მეფე გამარჯვებული შეიქმნა, ქვეყანა გამოხსნილი, მტერი შემუსვრილი და მთელს საქართველოში სიხარული დატრიალდა. ასეთი უდიდესი სიკეთე შესძღვნა საშობლოს თევდორე მღვდელმა თავისი დიდებული ღვაწლით, თავდადებით.



ივნისი 1999

22

კვირეული

ძვ. სტილი 9 ივნისი
ღირ. იოანე შავთელისა.
წმ. კირილე ალექსანდრიელისა.
მოწ. თეკლასი, მართასი და
მარიამისა.

ჰიკერე-ჰვეროობის მკრეხელ

ივნისი 1999

23

ოთხეულ

ძვ. სტილი 10 ივნისი
მღვდელმოწ. ტიმოთესი.
ღირ. თეოფანესი.
წმ. ბასიანე ლავდიის ეპ.
მოწ. ალექსანდრესი და ანტონინა
ქალწულისა.

ჰიკერე-ჰვეროობის მკრეხელ

მარხვა

მარხვა არის ისეთი დღეები, როცა აკრძალულია არა მხოლოდ სახსნილო (ხორცის, ყველის, რძის, კვერცხის) საკვების მიღება, არამედ საერთოდ მომეტებული ჭამა და სმა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მარხვა გულისხმობს თავშეკავებას ცოდვისაგან, მოთმინებას. მარხვები დაწესებულია წმიდა მამებისაგან მაცხოვარის, ღვთისმშობლის და მოციქულების მისაბაძად ან იგი უკავშირდება რომელიმე მოვლენას ეკლესიის ისტორიაში. მარხვები არის ერთდღიანი და მრავალდღიანი. ერთდღიანი მარხვებია: ოთხშაბათი-იუდასაგან უფლის გაცემის მოსახსენებლად, პარასკევი – უფლის ჯვარცმის მოსახსენებლად. ახ. სტ. 18 იანვარი – მოსახსნებლად ღმერთის რისხვისა, რომელშიც იმყოფებოდა კაცობრიობა ქრისტეშობამდე. ახ. სტ. 11 სექტემბერი – იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთისა; ახ. სტ. 27 სექტემბერი – ჯვართამაღლება, მოსახსნებლად იესო ქრისტეს ჯვარცმისა. მრავლდღიანია ქრისტესშობის მარხვა – ნიშნად კაცობრიობის სამწუხარო მდგომარეობისა იესო ქრისტეს მოსვლამდე; დიდი მარხვა – მისაბაძად იესო ქრისტეს მარხვისა უდაბნოში; ვნების კვირა – მოსახსენებლად იესო ქრისტეს ვნებისა; პეტრე-პავლობის მარხვა – მისაბაძად მოციქულთა პეტრესი და პავლესი; მარიამობის მარხვა – პატივსაცემად და მოსახსნებლად ქალწულ მარიამის ნეტარი მიცვალებისა. ზოგიერთ დღესასწაულს ახლავს მსგეფსი, ეი. ისეთი კვირა, რომელშიც ოთხშაბათ-პარასკევი ხსნილია. მარხვაში ქრისტიანი უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა ლოცულობდეს, ცდილობდეს მეტი ღვთის სათნო საქმის კეთებას.



ივნისი 1999

24

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 11 ივნისი
წმ. მოც. ბართლომე და ბარნაბასი.
ღვთისმშობლის ხატისა „ღირს არს“.

ჰეკერე-ჰავლოობის მარხვა

ივნისი 1999

25

პარასკევი

ძვ. სტილი 12 ივნისი
ღირ. იოანე - თორნიკე მთაწმინდელისა.
ღირ. ონოფრე დიდისა.
ღირ. პეტრე ათონელისა.
ღირ. იოანესი, ანდრიასი და სხვათა.

ჰეკერე-ჰავლოობის მარხვა

წმიდა იოანე თორნიკ-ყოფილი

25 (12) ივნისი

თორნიკე ერისთავი ქართლის სპასალარი იყო. ბრძოლაში გამორჩეული, სახელოვანი რაინდი ძალიან უყვარდა დავით კურაპალატს. როცა მოხუცდა, თორნიკემ მონაზვნობა გადაწყვიტა და მთაწმინდაზე, ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა მამა იოანესთან ერთად.

იმ პერიოდში საბერძნეთის მცირეწლოვან მეფეებს დიდი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი აუმხედრდა. დედოფალმა თეოფანიამ გადაწყვიტა, დავით კურაპალატისათვის ეთხოვა დახმარება. შუაკაცად თორნიკეს გაგზავნა მოინდომა. ღირსი მამა ძლივს დაითანხმეს მოძღვრებმა. თორნიკემ ვედრების ეპისტოლენი მიართვა დავით კურაპალატს. ქართველთა მეფემ შეიწყნარა დედოფლის თხოვნა, დამხმარე ჯარის სარდლად თვითონ თორნიკე დანიშნა. წმიდა მამა დიდ უარზე იდგა, მაგრამ, რაკი აღარ მოეშვნენ, დასთანხმდა და ქართველთ მხედრიონს ჩაუდგა სათავეში.

ღვთის შეწევნითა და თორნიკე ერისთავის სარდლობით, მტერი დამარცხდა. გამარჯვების გამო, ბიზანტიის დედოფლისაგან ნაბოძები დიდძალი სიმდიდრე იოანე თორნიკ-ყოფილმა მთლიანად იოანე ათონელს (ექვთიმე ათონელის მამა) გადასცა.

სულ მალე ქართველებმა მთაწმინდაზე კიდევ ორი ეკლესია ააგეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე.

იოანე თორნიკ-ყოფილის ჯაჭვის პერანგი, რომელიც ამ ბრძოლაში ეცვა, დღესაც ათონზეა შენახული.



ივნისი 1999

შაბათი

ძვ. სტილი 13 ივნისი
წმ. ანთიმოზ ივერიელისა.
მოწ. აკვილინასი.

ჰიცრე-ჰავლობის მარხვა

ივნისი 1999

კვირა

ძვ. სტილი 14 ივნისი
მე-4 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წინასწარმეტყვ. ელისესი.
წმ. მეთოდი პატრ.

ჰიცრე-ჰავლობის მარხვა

პირველი და მეორე მთავარი მცნება

მივიდა უფალთან ერთი ადამიანი სწავლულთაგან, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება წმიდა წერილის შესწავლაში გაეტარებინა და ჰკითხა: მოძღვარო, რომელია ყველაზე დიდი მცნება?" უთხრა იესომ: „შეიყვარე უფალი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით"-ეს არის პირველი მცნება. მეორე მსგავსია მისი: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი". მაშინ ამ კაცმა გამოსაცდელად ჰკითხა: ვინ არის ჩემი მოყვასი? უფალმა მოუთხრო იგავი მოწყალე სამარიტელზე,

ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონს მიდიოდა, გზაზე ყაჩაღები თავს დაესხნენ, დაიჭირეს და გაძარცვეს. შემთხვევით ერთმა ებრაელმა მღვდელმა გამოიარა და დაჭრილი რომ დაინახა, გვერდი უქცია. ასევე ლევიტელმაც გამოიარა და თვალი მოარიდა. მერე ერთმა გზად მიმავალმა სამარიელმა ჩამოიარა, დაინახა და შეებრალა იგი, მივიდა, ზეთით და ღვინით მობანა ჭრილობები და შეუხვია, თავის სახედარზე შესვა და სასტუმროში მიიყვანა. მეორე დღეს, გამგზავრებისას, ამოიღო ფული, სასტუმროს პატრონს მისცა და სთხოვა დაჭრილისათვის მიეხედა, თუ მეტი დაგეხარჯება, აქეთობისას გადაგიხდიო.



ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

28

ძვ. სტილი 15 ივნისი
წინასწარმეტყველ. ამოსისა.
მოწ. ვიტესი და სხვათა.

ᲰᲘᲯᲠᲘᲠ-ᲐᲕᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲔᲕ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1999

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

29

ძვ. სტილი 16 ივნისი
წმ. ქაიხოსრო ქართველისა.
წმ. საკვირველმოქმედისა ტიხონ
ამათუნტელ ეპ.
მღვდელმოწ. ტიგრიოს ხუცისა.

ᲰᲘᲯᲠᲘᲠ-ᲐᲕᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲔᲕ

როგორ გგონიათ, ამ სამიდან ვინ იყო მისი მოყვასი, ვინც ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში? იუდეველი სჯულის მცოდნე იძულებული გახდა ეპასუხა, რომ ეს იყო სამარიტელი. წადი და შენც ასე მოიქეცი – უთხრა იესომ.

ამ იგავით იესო გვასწავლის, რომ სიკეთე უნდა ვაკეთოთ ყოველი კაცისათვის, რომელი ტომის და რელიგიის მიმდევარიც არ უნდა იყოს იგი. ასეთი გულმოწყალებით დავიმკვიდრებთ ზეციურ სასუფეველს.

–დაფიქრდი, ვინ არის შენი მოყვასი?

_____

–შენ ვისი მოყვასი ხარ?

_____

–კიდევ რომელი მცნებები იცი უფლისა?

_____



ივნისი 1999

ოთხშაბათი

30

ძვ. სტილი 17 ივნისი
წმ. მოწ. შალვა ახალციხელისა.
მოწ. მანუილ, საბაილ და
ისმაილისა.

პაპური-პავლოობის მარხვა

ივლისი 1999

ხუთშაბათი

1

ძვ. სტილი 18 ივნისი
მოწ. ლეონტისა, იპატისა და
თეოდულესი.

პაპური-პავლოობის მარხვა

წმიდა მოწამე შალვა ახალციხელი (1227)
30 (17) იანისი

წმიდა შალვა ახალციხელი თამარის მხედრობაში გამორჩეული მეომარი იყო. თამარ მეფემ (ხს. ახ. სტ. 14 მაისს და მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს) მისი ერთგულების, სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის იგი ახალციხის მთავრად დანიშნა. შალვა მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში, თავის მამასთან ერთად იბრძოდა ბასიანში (1204 წ). წმიდა თამარის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში და მოწინავე ლაშქრის მეთაურობა შალვა და ივანე ახალციხელებს დაევალათ. მცირერიცხოვანი ქართველი ჯარი დამარცხდა უთანასწორო ბრძოლაში. ივანე ახალციხელი მოკლეს, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს და ჯალალედინს მიჰგვარეს. გაიხარა ჯალალედინმა საქვეყნოდ განთქმული მეომრის მისვლით, პატივით მიიღო ქართველი მანდატურთუხუცესი. უფრო დიდ პატივს დაჰპირდა რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ. მაგრამ წმინდანმა მხნედ უპასუხა, რომ ჭეშმარიტ ღმერთს ვერ უარყოფდა, რადგან ქრისტეს მხედრად იყო განწესებული. დიდხანს ცდილობდა



ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1999



ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

2

ძვ. სტილი 19 ივნისი
მოც. იუდასი, ხორციელი ძმა უფლისა.
მოწ. ზოსიმესი.
ღირ. პაისიოს დიდისა.

ᲞᲘᲥᲠᲘᲚ-ᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲠᲘᲮᲕᲔᲚᲘ

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1999

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

3

ძვ. სტილი 20 ივნისი
მღვდელმოწ. მეთოდესი.
მოწ. ინნა, პინა და რიმასი.

ᲞᲘᲥᲠᲘᲚ-ᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲠᲘᲮᲕᲔᲚᲘ



ჯალალედინი უსჯულოებისკენ მოედრიკა რაინდი. და როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების დროს შალვა სიხარულით იმხნევებდა თავს, რომ ქრისტესთვის სიკვდილი ყველა კაცის გზა არის. მრავალი ტანჯვის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი მოწამე საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც აღესრულა. ცნობილი ქართული სიმღერა „შავლეგო" სწორედ მის ვაჟკაცობასა და ღვაწლს მიეძღვნა:

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო,
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო..."





ივლისი 1999

კვირა

ძვ. სტილი 21 ივნისი
მე-5 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. მოწ. მეფეთა არჩილ და
ლუარსაბისა.
მოწ. იულიანესი.

ჰიცრე-ჰვეროობის მარხვა

ივლისი 1999

ორშაბათი

ძვ. სტილი 22 ივნისი
მღვდელმოწ. ევსევი
სამოსატელისა. მოწ. ზენონისა.

ჰიცრე-ჰვეროობის მარხვა



წმიდა მოწამე არჩილ მეფე და ლუარსაბი 4 (21.06) იყლისი

ძალიან ჰგავს ერთმანეთს ქართველი მეფეების - არჩილისა და ლუარსაბის წამების ისტორიები.

როცა მურვან-ყრუ შემოიჭრა საქართველოში, ქართლში არჩილის უფროსი ძმა მირი მეფობდა. ეს მოხდა VIII საუკუნეში. მტარვლისაგან გაქცეული აფხაზეთში გახიზნული ძმები ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ევედრებოდნენ შემწეობას. უფალმა ისმინა მათი ლოცვა. ერთ ღამეს არჩილს ღვთისმშობელი გამოეცხადა და ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა. მირი და არჩილი, ღმერთს მინდობილნი, მცირედი მხედრობით დაესხნენ თავს მტრის ბანაკს და დაამარცხეს. გაქცეულ ურჯულოებს ღმერთმა სასტიკი ქარი და წვიმა მოუვლინა, მდინარეები ადიდდა და არაბთა მხედრობა წალეკა. ვინც ცოცხალი გადარჩა, კონსტანტინოპოლში წავიდა. დამარცხებულებმა წმინდა ქალაქამდეც ვერ მიაღწიეს, ზღვაში დაიხრჩვნენ.

ამ ბრძოლაში დაჭრილი მეფე მირი გარდაიცვალა. ქართლში არჩილი გამეფდა. თავისი მეფობის 12 წელიწადი მან ომებისაგან აოხრებული სამშობლოს აღმშენებლობას შეალია.



ივლისი 1999



ხუთშაბათი

ძვ. სტილი 23 იუნისი
მოწ. აღრიპინასი.
ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატისა.

პიკრი-პავლოობის მარხვა

ივლისი 1999

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 24 იუნისი
შობა წმ. იოანე ნათლისმცელისა.

პიკრი-პავლოობის მარხვა



მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ არც კი იყო აღდგენილი, როცა არაბთა ლაშქარმა ჭიჭუმ-ასიმის მეთაურობით, კვლავ ააოხრა ქართლი. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მეფემ გადაწყვიტა, თავი გაეწირა ქვეყნისათვის და ჭიჭუმ ასიმს ეახლა მშვიდობის სათხოვნელად. გაიხარა ურჯულოთა მთავარმა მეფის მისვლით. არჩილ სჯულის დატოვება და სარკინოზთა (არაბთა) სარწმუნოების მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ პატივს აღუთქვამდა.

ნეტარმა მეფემ სულიერ სიკვდილს, ხორციელი სიკვდილი ამჯობინა, მასზე ვერ გაჭრა ვერც ტკბილმა სიტყვამ და ვერც წამებამ. ჯალათების წინ ქედი (კისერი) თვითონ მოიდრიკა. წმინდანს თავი მოკვეთეს.

ქართველმა აზნაურებმა ღამით ფარულად წამოასვენეს მეფის გვამი საქართველოში და დაკრძალეს ნოტკორაში, მის მიერვე აშენებულ ტაძარში.

ასევე ეწამა ლუარსაბ მეფეც XVII საუკუნეში, სპარსეთის შაჰის, აბაზის მიერ.

შაჰ-აბაზი ურიცხვი ლაშქრით შემოესია კახეთს, ყველაფერი დაწვა და დაანგრია. კახეთიდან ქართლს გაემგზავრა, ისიც არ დაინდო. ლუარსაბ მეფე კახეთის მეფე თემურთან ერთად იმერეთში



ივლისი 1999





კუთშვნეთი

ძვ. სტილი 25 ივნისი
წმ. მოწ. თებრონე ქალწ.

პიკრი-ეკლოგის მკრთვა

ივლისი 1999

ეკრესკეი

ძვ. სტილი 26 ივნისი
ღირ. დავითი თესალონიკელისა.
ღირ. იოანე გუთელ ეპ.

პიკრი-ეკლოგის მკრთვა



გაიხიზნა. ცბიერმა შაჰმა გამზრდელის ხელით გაუგზავნა წერილი ლუარსაბს; თუ ჩემთან მოხვალ, ყველაფერს მამაპაპისეულს დაგიბრუნებ და არც შენ გერჩი, არც შენს ერსო.

ლუარსაბმა იცოდა, შაჰ-აბაზი რომ ტყუოდა, ამას იმერეთის მეფე და თავადებიც ეუბნებოდნენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ განრისხებული შაჰი ქართლს არ დაინდობდა, ამიტომ გადაწყვიტა, თავისი ქვეყნისთვის გაეწირა თავი.

შაჰთან მისვლისთანავე, ლუარსაბს სჯულის დატოვება მოსთხოვეს. მეფემ ეს შორს დაიჭირა. ამის გამო იგი ციხეში ჩასვეს. მრავალი განსაცდელი გადაიტანა 6 წლის მანძილზე ლუარსაბმა. ერთ დღესაც შაჰ-აბაზის ნაჩუქარი შვილდისტრის საბლით მოახრჩვეს ციხეში. ღამით წმიდა მოწამის დაუმარხავ გვამს საკვირველი ნათელი დაადგა, რომელიც მნახველს აკვირვებდა. მეორე დღეს მისი სხეული ციხის ეზოში დაფლეს. წმინდანის საფლავზე ურჯულონიც კი იკურნებოდნენ.

წმიდა მეფეების, არჩილისა და ლუარსაბის მოღვაწეობას ათასი წელი აშორებს, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს განაწესა ღვაწლისა და წამების მსგავსების გამო.



ივლისი 1999



10

შაბათი

ძვ. სტილი 27 ივნისი
ღირ. გიორგი მთაწმინდელისა
ღირ. სამსონ უცხოთშემწყნარებლისა.

პაპური-პავლოობის მარხვა

ივლისი 1999

11

კვირა

ძვ. სტილი 28 ივნისი
მე-6 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. კვიროს და იოანესი.

პაპური-პავლოობის მარხვა



გიორგი მთაწმინდელი
10 (27.06) ივლისი

გიორგი მთაწმინდელი XI საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ბავშვობიდანვე მონასტერში იზრდებოდა, შესანიშნავი განათლება მიიღო და ასურეთში ქართველ ბერს გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. მოძღვრის დაჟინებული მოთხოვნით, გიორგი ათონის ივერთა მონასტერში ეკურთხა მღვდლად, განაგრძო ექვთიმე ათონელის დაწყებული საქმე, ქართულ ენაზე საღმრთო წიგნების თარგმნა. მალე იგი ათონის მთის წინამძღვარი გახდა. მის სახელთან არის დაკავშირებული დავით აღმაშენებლის დროს ჩატარებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების რეფორმები.

ერთხელ შურით ავსებულმა სვიმონწმინდელმა ბერებმა მოინდომეს ქართველი ბერების მონასტრიდან გაძევება. მივიდნენ ანტიოქიის პატრიარქთან და შესჩივლეს: „დაგვეხსენი უბედურებისაგან, გააძევე ჩვენს მონასტერში შემოჭრილი ქართველები, რომლებმაც თვითონაც არ იციან რა სარწმუნოებისანი არიანო". პატრიარქმა თავისთან დაიბარა ბერძნულის კარგი მცოდნე გიორგი მთაწმინდელი: ღირსმა გიორგიმ ისე ბრძნულად განმარტა მართლმადიდებლობა, რომ მსმენელები განაკვირვა. პატრიარქმა ცუდისმზრახველი სვიმონწმინდელნი შერისხა.

ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქს კვლავ მოახსენეს, საქართველოში მოციქულებს არ უქადაგიათო, თვითონაც

გაგრძელება იხ. 14-15 ივლისის გვ-ზე.



ივლისი 1999



12

ორშაბათი

ძვ. სტილი 29 ივნისი
წმ. თავთა მოციქულთა
პეტრესი და პავლესი.

მარხვის დასაწყისი

ივლისი 1999

13

სამშაბათი

ძვ. სტილი 30 ივნისი
კრება ათთორმეტთა მოციქულთა,
სვეტიცხოვლობა.
წმ. დინარ დედოფლისა.



სვეტიცხოვლობა

ქრისტეს ჯვარცმას საქართველოდან წარგზავნილი ორი ებრაელი ელიოზ მღვდელი და ლონგინოზ კარსნელი დაესწრო. ჯვარცმის შემდეგ, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, იესოს კვართზე (პერანგზე) წილი ყარეს. კვართი მცხეთელ ებრაელებს ერგოთ. ელიოზ მღვდელსა და ლონგინოზს სახლთან სიდონია (ელიოზის და) შეეგებათ, სასწაულმოქმედი კვართი ძმას გამოართვა და გარდაიცვალა. სიდონია კვართთან ერთად დაკრძალეს. მის საფლავზე ულამაზესი კვიპაროსი (ნაძვი) ამოვიდა, რომელიც სურნელებას აფრქვევდა და მრავალ სასწაულს აღასრულებდა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მირიან მეფემ ტაძრის აგება გადაწყვიტა. ტაძარი სწორედ იქ უნდა აეგოთ, სადაც სასწაულმოქმედი კვიპაროსი იდგა. მოჭრეს ხე და სვეტად გაამზადეს,

გაგრძელება იხ 16-17 იელისის გვ-ზე



ივლისი 1999



14

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 1 ივლისი
წმ. ნერსესი.
წმ. კოზმა და დამიანესი.

ცამეტრიტი დღე

ივლისი 1999

15

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 2 ივლისი
დადება პატიოსნისა
სამოსელისა ყოვლადწმიდისა
ღვთისმშობლისა ვლაქერნას.
წმ. იობენალისა.



მცირერიცხოვანნი არიან და მათი ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის ხელმწიფებას უნდა ექვემდებარებოდესო. ამ ფაქტის უარსაყოფად გიორგი მთაწმინდელმა კათალიკოსს უპასუხა: „შენ ამბობ, რომ მოციქული პეტრეს მიერ დაარსებულ საყდარზე ვზივარო, ჩვენ კი პეტრეს ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა გვიქადაგა სახარებაო, ერთ-ერთი წმიდა მოციქულთაგანი სვიმონ კანანელი ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთშია დაკრძალული. ერთი ღმერთი ვიწამეთ და არასოდეს არ შეგვრევია მწვალებლობა. ანდრია პეტრეზე უფროსი იყო. პირველად ის მივიდა ქრისტესთან, მერე მას გაჰყვა მისი უმცროსი ძმა პეტრე. ამიტომ, უფრო მართებულია, პეტრეს მიერ დაარსებული ეკლესია ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებულ ეკლესიას მორჩილებდესო. იყო დრო, როცა საბერძნეთში მართლმადიდებლობა არ იყო და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთაში აკურთხეს ეპისკოპოსად.” გიორგი მთაწმინდელის პასუხით მოხიბლულმა ანტიოქიის პატრიარქმა კეთილად გაიღიმა და თქვა: „ხედავთ ამ ბერს, როგორ გვიმკლავდება მარტო მყოფი ყველას. მოვერიდოთ, სიტყვით კი არა საქმით არ გვამხილოს და დაგვიმორჩილოსო.”

გიორგი მთაწმინდელს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა წინაშე. დღესაც კი უმეტესი ნაწილი ლოცვებისა, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ, მისი ნათარგმნია. იგი ათონის მთაზეა დაკრძალული.



ივლისი 1999



16

პარასკევი

ძვ. სტილი 3 ივლისი
ღირ. გიორგი ღმერთშემოსილისა.
მოწ. იაკინთესი.

ცისმარხი დღე

ივლისი 1999

17

შაბათი

ძვ. სტილი 4 ივლისი
წმ. ანდრია კრიტელ
მთავარეპ.
ღირ. მართასი.



მაგრამ ადგილიდან ვერაფრით ვერ დაძრეს. ღამით წმინდა ნინო და მისი სულიერი დები სალოცავად დადგნენ. გამთენიისას ხელაპყრობილ ნინოს ნათლით მოსილი ჭაბუკი მიუახლოვდა. ქალწული პირქვე დაემხო. ჭაბუკმა სვეტი ცისკენ წაიღო, შემდეგ კი მლოცველებმა იხილეს, როგორ ჩამოვიდა ცეცხლოვანი სვეტი და ჰაერში გაჩერდა. ირგვლივ არაჩვეულებრივი სურნელება იფრქვეოდა. თვალშეუდგამი ნათელი ყველას აოცებდა. იმ სანატრელ დღეს უამრავი სასწაული აღესრულა. სვეტს შეევედრა და განიკურნა შობისგან ბრმა ურია (ებრაელი), განმრთელდა წარმართი ხეიბარი და სხვა.

ყველასათვის გაცხადდა ჭეშმარიტება: იმ ადგილას, სადაც უფალმა სვეტიცხოველი აკურთხა, დამარხულია ღვთისმშობლის მოქსოვილი იესოს კვართი, რომელიც დღესაც მრავალ სასწაულს აღასრულებს.



ივლისი 1999





კვირა

ძვ. სტილი 5 ივლისი
მე-7 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ღირ. ათანასე ათონელისა.
მოწ. ანასი და კვირილასი.

ივლისი 1999

ორშაბათი

ძვ. სტილი 6 ივლისი
ღირ. სისო დიდისა.
მოწ. მარინესი, მართასი და
სხვათა.



ტაძარი

ღვთისადმი ლოცვა ყოველთვის და ყველგან შეიძლება, რადგან ღმერთი ყველგან და ყოველთვის გვხედავს და ჩვენი ესმის. როგორ გვიხარია, როცა ჩვენთან ახლობლები მოდიან... ასევე სიამოვნებს ღმერთს, როცა მასთან მივდივართ და ლოცვით მივმართავთ. იესო ქრისტემ თქვა, სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორისო. ამიტომ პირველი ქრისტიანები ყოველთვის ცდილობდნენ ერთად შეკრებილიყვნენ ლოცვისა და საღმრთო მსახურებისათვის. პირველად ამ მიზნისათვის კერძო სახლებს იყენებდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი განსაკუთრებული შენობების აგებაც დაიწყეს. ასეთ შენობებს სამლოცველო სახლები, ტაძრები ან ეკლესიები უწოდეს. სიტყვა „ეკლესია" ბერძნულია და ნიშნავს მორწმუნეთა კრებას. ტაძარს ეს სახელი იმოტომ დაერქვა, რომ იქ იკრიბებიან მორწმუნენი. ტაძარი ლამაზ ადგილას შენდება და თავიდანვე ეტყობა, რომ ჩვეულებრივი შენობა არ არის. ტაძარი შენდება მრგვალი, ჯვრის ფორმის ან ნავისებური. ამ ფორმებს თავისი მნიშვნელობაც აქვთ: მრგვალი, რომელსაც დასასრული არ უჩანს, ნიშნავს, რომ ეკლესია გვამზადებს დაუსრულებელი ცხოვრებისათვის; ჯვარედინი მოგვაგონებს ქრისტეს ჯვარს, რომელმაც დაგვიხსნა ცოდვისაგან და



ივლისი 1999



20

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 7 ივლისი
ღირ. თომასი.
ღირ. აკაკი მორჩილისა.

ივლისი 1999

21

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 8 ივლისი
წმ. დიდმოწ. პროკოპისი.
მოწ. მირდატ მეფისა.



ნიშნავს, რომ ეკლესია გვიხსნის ცოდვისგან; ნავისებრი შეგვახსენებს, რომ ტაძარი არის ნავი ცხოვრების ზღვაში და მისი საშუალებით შეგვიძლია მშვიდობიანად გავცუროთ ზღვა და მივიდეთ სამშვიდობო ნავსადგურში, სასუფეველში. ტაძრის თავი შემკულია ჯვრით, რათა ყველამ იცოდეს, რომ ტაძარი ღვთის სახლია. ტაძარი შენდება მაცხოვრის, ღვთისმშობლის, რომლიმე საღმრთო ისტორიული მოვლენისა ან წმინდანის სახელობაზე; მაგალითად არის ეკლესია ღვთისმშობლის, მაცხოვრის, სამების, მირქმის, ამაღლების, ფერისცვალების, წმინდა გიორგის, ნიკოლოზის და სხვა.

როცა ეკლესიაში მივდივართ უნდა ვიცოდეთ, რომ მივდივართ არა რომელიმე უბრალო სახლში, არამედ ღვთის სახლში, სადაც სრულდება დიდი საიდუმლონი. ამიტომ მოკრძალებით და შიშით უნდა შევიდეთ ტაძარში და ყურადღებით მოვისმინოთ ლოცვა და გალობა.

-რა ტაძრებია შენს სიახლოვეს?
-სად და როდის შეიძლება ვილოცოთ?
-რისთვის შენდება ტაძრები?
-ვინ არის უხილავად ტაძარში?
-რომელი ტაძრები იცით თქვენს ქალაქში?



ივლისი 1999



22

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 9 ივლისი
მღვდელმოწ. ბაგრატისა.
მღვდელმოწ. კვირილესი.
წმ. თეოდორესი.

ივლისი 1999

23

პარასკევი

ძვ. სტილი 10 ივლისი
45 მოწამეთა, წამებულთა
ნიკოპოლს.
მოწ. აპოლონისა.

ცამტრიხი ლოდ



წმიდა გაბრიელ სალოსი
25 (12) იყლისი

ათონის მთაზე მრავალმა წმინდა კაცმა მოიყარა თავი სამოღვაწეოდ. მათ შორის იყო გაბრიელ სალოსიც, რომელიც ზაფხულობით მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა, ზამთრობით სავანეში ჩამოდიოდა. ტანთ ძაძა ემოსა და ბალახით იკვებებოდა. სწორედ გაბრიელი მიიჩნია ღირსად დედა ღვთისმშობელმა, მის წმინდა ხატს შეხებოდა. გაბრიელმა, ისე როგორც იესომ, ზღვის ზედაპირზე გაიარა და გულში ჩახუტებული ხატი ნაპირზე გამოიყვანა.

კიდევ ერთი სასწაული თვისება ახასიათებდა გაბრიელს. რომიდან ჩამობრძანებულ დიდგვაროვან ბერს, ლეონს, ყოველ ღამე ღვთის საიდუმლოებებზე ესაუბრებოდა. საკვირველი ის იყო, რომ არც რომაელმა ბერმა იცოდა გაბრიელ ქართველის ენა და არც გაბრიელმა ლეონ ბერისა. მაგრამ ერთმანეთს დაუბრკოლებლად ელაპარაკებოდნენ.



ივლისი 1999



24

შაბათი

ძვ. სტილი 11 ივლისი
დიდმოწ. ეფემიასი.
მოც. სწორ ოლღასი.

ივლისი 1999

25

კვირა

ძვ. სტილი 12 ივლისი
მე-8 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ღირ. იოანესი და გაბრიელ
ათონელებისა.



იოანე ათონელი 25 (12) ივლისი

იოანე ათონელი დავით კურაპალატის სპასალარი (ჯარის მხედართმთავარი) გახლდათ, ძალიან განათლებული, მხნე, ახოვანი, ბრძენი ადამიანი.

ქრისტეს სიყვარულის გამო იოანემ დატოვა ცოლ-შვილი, ნათესავები და ფარულად ბერად აღიკვეცა. სამოღვაწეოდ საბერძნეთში, ულუმბოს მთაზე წავიდა. გასაოცარი იყო მისი მორჩილება და თავმდაბლობა. საკუთარი ვინაობა რომ არ გაემჟღავნებინა, დიდი ხნის განმავლობაში მონასტრის ჯორებს უვლიდა, მზარეულობდა, ყველანაირ შავ საქმეს სიხარულით ასრულებდა. როცა მისი ვინაობა გაცხადდა, იოანე ულუმბოს მთას გაეცალა. თან წაიყვანა თავისი ძე, პატარა ექვთიმე (ხს. ახ. სტ. 26 მაისს), იოანე თორნიკ-ყოფილი (თორნიკე ერისთავი, ხს. ახ. სტ. 25 ივნისს) და ათანასე დიდთან ერთად ათონის მთაზე დასახლდა.

ათონის სამონასტრო მშენებლობას იოანე



ივლისი 1999



26

ორშაბათი

ძვ. სტილი 13 ივლისი
კრება გაბრიელ
მთავარანგელოზისა.
ღირ. სტეფანე საბაიტელისა.

ივლისი 1999

27

სამშაბათი

ძვ. სტილი 14 ივლისი
მოც. აკვილასი.
მოწ. იუსტისა.
ღირ. ელიოზისა.



ჩაუდგა სათავეში. მან თორნიკესთან ერთად ააშენა ორი მონასტერი: ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ამ მონასტრებში გაჩაღდა ლიტერატურულ-კულტურული მოღვაწეობა. თითქმის ყველა ბერძნული წიგნი, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას ეხება, ქართულად ითარგმნა. სწორედ, იოანეს დაჟინებული მოთხოვნით შეუდგა ექვთიმე ათონელი მთარგმნელობით საქმიანობას, რადგან ქართველებს ყველაზე უფრო საღვთისმეტყველო წიგნები ესაჭიროებოდათ.

ცოტა ხანში იოანე ათონელი ნეკრესის ქარით დაავადდა. ავადმყოფობის გამო ლოგინად ჩავარდა და საშინელ ტკივილებს ითმენდა, მაგრამ მონასტრებს მაინც წინამძღვრობდა. სიკდილის წინ კი მონასტრის საქმეები თავის შვილს, ექვთიმეს გადაულოცა.



ივლისი 1999



28

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 15 ივლისი
მოწ. კვირიკესი და ივლიტასი.

ცამეტრიტი დღე

ივლისი 1999

29

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 16 ივლისი
მღვდელმოწ. ათინოგენისა,
მოწ. პავლესი.
მოწ. ანტიოქესი.



ღვთის წყალობა

ადამიანმა ბოროტად გამოიყენა თავისი თავისუფლება. ის არ გაუფრთხილდა ღვთის სიყვარულს და დაარღვია უფლისაგან მიცემული მცნება. წუხილი დაკარგულ სამოთხეზე ტანჯავდა მის სულს, ღმერთთან დაბრუნება, კი, მას, ცოდვილს, არ შეეძლო, არ შეეძლო საკუთარი ძალებით დაენგრია კედელი, რომელიც ღმერთისაგან აშორებდა.. მაგრამ, მოწყალე ღმერთმა, რომელმაც შექმნა ადამიანი და რომელსაც მამობრივი სიყვარულით ვუყვარვართ, არ ისურვა სამარადისოდ დაეტოვებინა ადამიანი ასეთ უბედურ მდგომარეობაში. და აი, ღმერთი გახდა ადამიანი, განკაცდა, რათა ეჩვენებინა ყველა ადამიანისათვის ხსნის გზა. ჩვენი მხსნელი იესო ქრისტეა, ძე ღვთისა.

—თუ შენი მეგობარი ძალიან ცუდად მოიქცა, აპატიებდი თუ არა მას?

—შეურიგდებოდი თუ არა მეგობარს, თუ გეცოდინებოდა, რომ ის ნანობს თავის საქციელს, მაგრამ რცხვენია თვითონ გადადგას პირველი ნაბიჯი შერიგებისაკენ?



ივლისი 1999



30

პარასკევი

ძვ. სტილი 17 ივლისი
დიდმოწ. მარინესი.
ღირ. ლაზარესი.

ცამეტრიტი დღე

ივლისი 1999

31

შაბათი

ძვ. სტილი 18 ივლისი
ღირ. კოზმან ხუცეს-მონაზონისა.
მოწ. ემილიანესი და იაკინთესი.



წმიდა სალომე ქართველი (XVII)

2 (20.07) აგვისტო

სალომე ქართველი იყო იერუსალიმის დედათა სავანეში მოღვაწე ქალი, რომელმაც ჯერ სპარსთა სჯული მიიღო და შემდეგ ისევ აღიარა სარწმუნოება ქრისტესი, რისთვისაც თავი მოკვეთეს და ცეცხლში ჩააგდეს. წმიდა სალომეს ცხოვრება იმის მაგალითია, რომ ღმერთს არავის დაღუპვა არ სურს. არ არსებობს დაცემის სიღრმე, საიდანაც, ღვთის შეწევნით, ადამიანს ამოსვლა არ შეეძლოს.

ლოცვა საზრდელის მიღების წინ

მამაო ჩვენო... თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, უფალო, და შენ მოსცი მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა, აღაღებ შენ ხელსა შენსა და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ შენისა. ამინ.

ლოცვა შემდგომ საზრდელის მიღებისა

გმადლობ შენ, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რამეთუ განმაძღებ ჩვენ ქვეყნიერთა კეთილთა შენთაგან; ნუ დამაკლებ ჩვენ ზეცისაცა შენსა სასუფეველსა, არამედ ვითარცა შორის მოწაფეთა შენთა მიხვედ, მაცხოვარ, და მშვიდობა მიჰმადლე მათ, ეგრეთცა მოვედ ჩვენ თანა და გვაცხოვნე ჩვენ.



აგვისტო 1999

კვირა

1

ძვ. სტილი 19 ივლისი
მე-9 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ღირ. მაკრინესი.
ღირ. სერაფიმე საროველისა.

აგვისტო 1999

ორშაბათი

2

ძვ. სტილი 20 ივლისი
წინასწარმეტყვ. ილია თეზბიტელისა.
წმ. სალომესი.
ხს. წმ. ილია მართლისა -
ანგელოზის დღე სრ. საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქის ილია II- ისა.

წმიდა ილია მართალი

2 (20.07) აგვისტო

XIX საუკუნის 60-იან წლებში არ ყოფილა საქართველოში რაიმე ახალი წამოწყება, რომელშიც ილია ჭავჭავაძეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. იგი იყო მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ძველი ქართული ხელნაწერების და სიძველეთა საცავის, საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი. მან დაუდო საფუძველი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეგროვებას, თავგამოდებით იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის (თავისთავადობა, დამოუკიდებლობა) მოპოვებისათვის, დღე და ღამე მამულისათვის იღვწოდა, თავდაუზოგავად შრომობდა. მისი მოღვაწეობა აღიზიანებდა საქართველოში ჩამოყალიბებულ უღვთო საზოგადოებას, რომელიც ქვეყნის ხსნასა და თავისუფლებას მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაში, სოციალიზმის აშენებაში ხედავდა. თავიანთი მიზნების მისაღწევად ეს ადამიანები ყველაფერზე მიდიოდნენ, ცილს სწამებდნენ ილიას, ათას სისაძაგლეს აბრალებდნენ. ბოლოს მისი მოკვლაც განიზრახეს.

1907 წლის 30 აგვისტოს ილია თითქოს წინასწარ გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. ამბობენ, იმ დღეს ჩვეულებრივზე დიდ ხანს გაჩერდა სკვერში, სადაც თბილისიდან საგურამოში მიმავალი ილია ისვენებდაო. წიწამურის ტყესთან ეტლს ყაბალახაკრული

სამშაბათი

ძვ. სტილი 21 ივლისი
წინასწარმეტყვ. ეზეკიელისა.
ღირ. სვიმეონისა და იოანესი.

აგვისტო 1999

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 22 ივლისი
მოც. სწორისა მენელსაცხებლე
მარიამ მაგდალინელისა.
მღვდელმოწ. ფოკასი.

სამარხო დღე

შეიარაღებული კაცები გადაუდგნენ, ილია ზეზე წამოიჭრა: „შესდექით უბედურნო, მე ილია ვარ", დაიძახა, მაგრამ გასროლილი ტყვია შიგ გულში მოხვდა.

კავკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სასამართლოში შენდობის ფურცელი თვით ოლღა გურამიშვილმა-ჭავჭავაძისამ, ილია მართალის მეუღლემ შეიტანა. „...მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა... მე თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამსოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, შევუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა."

თითქოს იწინასწარმეტყველა ილიამ თავისი აღსასრული, თითქოს ანდერძად დაგვიტოვა სიტყვები: „რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო რას იქმან". უფალი ამბობს: „ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა". 1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა გადაწყვიტა: „ილია ჭავჭავაძე შერაცხილი იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი".

აგვისტო 1999

5

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 23 ივლისი
მოწ. ტროფიმესი, თეოფილესი და სხვათა.
მღვდელმოწ. აპოლინარისა.

აგვისტო 1999

6

პარასკევი

ძვ. სტილი 24 ივლისი
წმ. ილარიონ თვალელისა.
მოწ. ქრისტინესი.

ცამეტრიტი ლოდ

ღვთის სიყვარული

ჩვენ ზოგიერთი რამე ვიცით ღმერთზე. ვიცით ყველაზე მთავარი, რომ მას ჩვენ ვუყვარვართ, მშობლებისავით და მათზე მატად. მაგრამ, არის ბევრი რამ რასაც ბოლომდე ვერ ვხვდებით. თავისი სიყვარულით ღმერთი ყველაზე საჭიროს დაგვანახებს და დანარჩენი კი გარკვეულ დრომდე დაფარულია. ადამიანებს, რომელსაც უყვარს ღმერთი და ერთმანეთი, უფალი მიიღებს ცათა სასუფეველში. მხოლოდ იქ გაიხსნება დაფარული საიდუმლოებანი.

ნამდვილი სიყვარული ყოველთვის თავგანწირულია და მსხვერპლს მოითხოვს. უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ გვიჩვენა ასეთი სიყვარულის უმაღლესი სახე. წმინდა წერილში არის ასეთი სიტყვები: „ღმერთი არის სიყვარული". ღმერთის სიყვარული იმდენად დიდია, რომ მან შექმნა მთელი სამყარო: მშვენიერი ვარსკვლავიანი ცა, მზე, ღრუბლები, ხეები, ყვავილები, ჩიტები - ყველაფერი შექმნილია ღვთიური სიყვარულით. და როცა ეს საოცარი სამყარო შექმნა, ღმერთმა უბოძა იგი ადამიანს. ადამიანი უნდა ყოფილიყო მისი პატრონი, დაეცვა იგი და ეცხოვრა ღვთის ნების თანახმად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასოდეს არ დაშორებოდა ღვთის სიყვარულს და ყოველთვის ყოფილიყო ბედნიერი. დედობრივი სიყვარული, მართალია, დიდია, მაგრამ ღვთიური- შეუდარებლად დიდი და სანამ ადამიანი ღმერთთან იყო, მას ჰქონდა სიმშვიდე და იყო იმდენად ბედნიერი, რომ ამის გამოხატვა შეუძლებელია.

აგვისტო 1999

შაბათი

7

ძვ. სტილი 25 ივლისი
მიც. მართალი ანნასი -
დედისა ყოვლადწმიდისა
ღვთისმშობელისა.
წმ. ოლიმპიადა და ევპრაქსიასი.

აგვისტო 1999

კვირა

8

ძვ. სტილი 26 ივლისი
მე-10 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მღვდელმოწ. ერმოლაოზ, ერმოპე და
ერმოკრატესი.

სული წმიდის ლოცვა

წმიდა სამების მესამე სახე არის სული წმიდა. აი, როგორია მისი ლოცვა: მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსაკე აღავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ ჩვენ შორის, და წმიდა მყენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

სული წმიდა ღმერთია და ამიტომ ყველას მეუფე, ბატონი („მეუფეო ზეცათაო"), ყველას მოწყალე და ამიტომ ნუგეშის, იმედის მომცემი („ნუგეშინისმცემელო"), ჭეშმარიტი ღმერთია და ქვეყანაზე ყოველივე სიკეთის მომფენი და ამიტომ ეწოდება მას „სული ჭეშმარიტებისა", როგორც ღმერთი, იგი ყოველ ადგილზე არის, ყველას ხედავს („რომელი ყოველგან ხარ") და ყველგან ჰფენს თავის სიკეთეს, წყალობას („ყოველსაკე აღავსებ მადლითა შენითა"), მასშია ყოველივე სიკეთე და ამიტომ ეწოდება „საუნჯე კეთილისა" („საუნჯეო კეთილთაო"), ესე იგი ჭურჭელი, ბინა ყოველივე სიკეთისა. იგი ასულდგმულებს, აცოცხლებს ყველაფერს და ამიტომ ეწოდება „ცხოვრების (სიცოცხლის) მომნიჭებელი". ამიტომ ჩვენ ვევედრებით სული წმიდას, რომ ჩვენში მოვიდეს, მუდამ ჩვენთან იყოს („მოვედ ჩვენ შორის"), გაგვწმიდოს ყოველივე უწმინდურებისაგან, ბიწისაგან („და წმიდა მყენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა") და როგორც ყოვლად კეთილმა და მოწყალემ, აცხოვნოს ჩვენი სული. ამ ლოცვას ჩვენ მუდამ უნდა ვამბობდეთ, მაგრამ განსაკუთრებით იკითხება იგი სწავლის დაწყების წინ.

9

ორშაბათი

ძვ. სტილი 27 ივლისი
დიდმოწ. და მკურნალისა
პანტელეიმონისა.

აგვისტო 1999

10

სამშაბათი

ძვ. სტილი 28 ივლისი
ღირ. გიორგი მაშენებლისა.
მოც. პროხორე, ნიკანორ,
ტიმონ და პარმენისა
(სამეოცდაათთაგანთა).

წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონი
27 აგვისტო (27 ივლისი)

წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონი მესამე საუკუნეში ცხოვრობდა, მაშინ როცა სასტიკად სდევნიდნენ ქრისტიანებს. მამამისი კერპთმსახური იყო, დედა კი მართლმადიდებელი ქრისტიანი. პანტელეიმონი პატარა იყო, დედა რომ გარდაეცვალა. მამა მას თავისი რწმენით ზრდიდა. ცოტა რომ წამოიზარდა, მიაბარა იგი ცნობილ მკუნალს, ევფროსინეს. ნიჭიერი ყმაწვილი მალე გაუტოლდა თავის მასწავლებელს. მისი გონიერება შეამჩნია იმ ქალაქში მცხოვრებმა მოხუცმა მღვდელმა ერმილემ. სწორედ ამ მღვდელმა აზიარა ყმაწვილი ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ქრისტიანობას. ერთხელ, თავისი მოძღვრისაგან მომავალმა პანტელეიმონმა გველისაგან დაკბენილი მკვდარი ბიჭი იხილა. მან მოუწოდა იესო ქრისტეს და შესთხოვა თავის ძალით აღედგინა ჭაბუკი. და მართლაც, მისი ლოცვისამებრ ჭაბუკი წამოდგა. ამის შემდეგ პანტელეიმონი ჩუმად მოინათლა თავის მოძღვართან. პანტელეიმონმა უფლის სახელით თვალი აუხილა ბრმას, რომელიც მანამდე ვერავინ განკურნა. მკუნალის სახელი უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა. პანტელეიმონი ყველას უანგაროდ ემსახურებოდა და გაჭირვებულთათვის არც თავის ქონებას იშურებდა. მოშურნე ექიმებმა მკურნალი იმპერატორ მაქსიმილიანესთან დაასმინეს, რომელიც ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდა. მან შეაპყრობინა პანტელეიმონი და ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. ამის ნაცვლად, მან იქვე

აგვისტო 1999

11

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 29 ივლისი
მოწ. ევსტათი მცხეთელისა.
მოწ. კალინიკესი.

ცამეტრიტი ლოდ

აგვისტო 1999

12

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 30 ივლისი
მოც. შილასი, სილოანესი,
კრისკეტისა, ეპენტისა და
ანდრონიკესი.

მდგარი უძლურის განკუნება შესთხოვა უფალს და ისიც განკურნა. მაგრამ მაქსიმილიანი რწმენით კი არ აღივსო, არამედ გაცოფდა და ბრძანა ეწამებინათ პანტელეიმონი: ხორცი დააგლიჯეს, ადუღებულ ზეთში ჩააგდეს, კისერზე ქვა გამოაბეს და წყალში გადააგდეს, მაგრამ ყველას გასაოცრად უვნებელი დარჩა. მაშინ მხეცებთან შეაგდეს, მაგრამ ისინი ფეხქვეშ გაუწვნენ და ხელები აულოკეს. ამის შემხედვარე ადამიანები თვითონაც აღიარებდნენ ქრისტეს. ბოლოს პანტელეიმონი ზეთისხილის ხეზე მიაბეს და თავის მოკვეთა დაუპირეს. პანტელეიმონმა ლოცვა იწყო და მოქნეულმა ხმალმა ვერაფერი უყო. შეშინებულმა ჯალათმა შესძახა: დიდია ქრისტიანთა ღმერთი! მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა პანტელეიმონმა ჯალათებს, შეესრულებინათ იმპერატორის ბრძანება და მოეკვეთათ თავი მისთვის. მოკვეთილი კისრიდან რძემ გადმოსჩქეფა და ხეს შეესხა. უეცრად ყველას თვალწინ ხემ, რომელზედაც წმინდანი იყო მიბმული, ნაყოფი გამოიღო. მისი სხეული ცეცხლში შეაგდეს, მაგრამ ღმერთმა დაიფარა დაფერფლისაგან. ეს მოხდა 305 წელს. მკუნალის სხეულის ნაწილები მთელ ქვეყანას მოეფინა. მისი თავი კი ათონის მთაზე ერთ-ერთ მონასტერშია დასვენებული. მართლმადიდებელი ეკლესია პანტელეიმონს მეომართა მფარველად და სნეულთა მკურნალად მიიჩნევს. ყველას, ვისაც გსურთ მისი შემწეობა, შეგიძლიათ მიმართოთ მას ამ სიტყვებით: -წმიდა მკურნალო, დიდმოწამეო პანტელეიმონ, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის! და ისიც არ დააყოვნებს, მაშინვე შეეწევა თქვენს გასაჭირს.

აგვისტო 1999

პარასკევი

13

ძვ. სტილი 31 ივლისი
წინადღესასწაული შემოყვ.
პატიოსნისა
ძელისა და ცხოველმყოფელისა
ჯვარისა.
ღირ. არსენისა.
მარიამობის მარხვის აღება.

ცამეტობა ლოდი

აგვისტო 1999

შაბათი

14

ძვ. სტილი 1 აგვისტო
შემოყვანება პატიოსნისა
ძელისა
და ცხოველმყოფელისა
ჯვარისა.
7 მოწ. მაკაბელთა.
წყლის კურთხევა. მცირე აიაზმა,

ლუკაბუსი მარიამობის მარხვის

პირველმოწამე რაჟდენი (457)
16 (3) აგვისტო

წმიდა პირველმოწამე რაჟდენი წარმოშობით სპარსელი დიდებული იყო. როცა წმიდა ვახტანგ მეფემ (ხს. ახ. სტ. 13.12) სპარსეთის მეფის ასული ბალენდუხტი ცოლად შეირთო, დედოფალს ქართლში რაჟდენიც გამოჰყვა, მოიხიბლა მის მკვიდრთაგან, მიიღო ქრისტიანობა და სამუდამოდ აქ დარჩა. ვახტანგ მეფე საოცრად იღვწოდა ეკლესიის გაძლიერებისთვის. მან ჩამოაყალიბა საეკლესიო იერარქია, განდევნა სპარსელები და დახურა მაზდეანთა სამლოცველოები. ერთხელ პეროზ მეფემ დიდძალი ჯარი გამოგზავნა საქართველოსაკენ. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელა რაჟდენმა, რომელიც ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი სარდალი იყო. განრისხებულმა პეროზ მეფემ ბრძანა ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული სპარსი. როცა რაჟდენი მოჰგვარეს, პეროზმა ძალიან გაიხარა, ცდილობდა, მოეგო რაჟდენის გული და ბევრს ჰპირდებოდა, თუ ისევ ცეცხლს სცემდა თაყვანს. რაჟდენმა მშვიდად მოუსმინა მეფეს და მიუგო, რომ მას არად მიაჩნდა ამქვეყნიური დიდება და სიმდიდრე. იგი მხოლოდ სულის უკვდავებას სცემდა პატივს და ამბობდა, რომ ქრისტესათვის სიკვდილი მას საუკუნო სუფევას მისცემდა. განრისხდა უსჯულო მეფე და ბრძანა,

გაგრძელება იხ. 17-18 აგვისტოს გვ-ზე.

აგვისტო 1999

კვირა

15

ძვ. სტილი 2 აგვისტო
მე-11 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
პირველმოწ. სტეფანესი.
მართლ. ნიკოდიმოსისა.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

ორშაბათი

16

ძვ. სტილი 3 აგვისტო
პირველმოწ. რაჟდენისა.
9 ძმა ხერხეულიძეთა.
9000 ქართველთა მარაბდას
მომწყდართა.
ღირ. ისააკისა და სხვათა.

მარიამობის მარხვა

ცხრა ძმა ხერხეულიძე 16 (3) აგვისტო

საქართველოს ისტორიამ არაერთი გმირული თავდადების მაგალითი შემოგვინახა. ერთ-ერთი ასეთია ცხრა ძმა ხერხეულიძის ამბავი.

1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ველზე უთანასწორო ბრძოლაში შეხვდა ერთმანეთს ქართველთა და სპარსელთა ლაშქარი. გორგასლიან დავითიან-თამარიანი დროშის დარაჯად ცხრა ძმა ხერხეულიძე დააყენეს. ქართველმა მხედრებმა მხნედ შეუტიეს მტერს, მაგრამ საბოლოოდ მტრის უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა. ჯერ ერთი ძმა დაიჭრა ბრძოლაში, დროშა ხელიდან მეორე ძმამ გამოართვა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ცხრავე არ დაეცა მარაბდის ველზე. შემდეგ ნაბოლარა ერთადერთმა დამ აიღო ხელში დიდგორსა და ბასიანში გამოვლილი დროშა და როცა ისიც მოკლეს, იქვე მყოფმა ხერხეულიძეთა დედამ აღმართა ქართველთა უკვდავების სიმბოლო.

დაღლილი, სიცხისაგან არაქათგამოცლილი ქართველობა გმირულად იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაგრამ უშედეგოდ. ბრძოლა ქართველთა მარცხით დასრულდა.

ბრძოლის ველზე მკერდგანგმირული იწვა ქრისტესა და მამულისათვის თავდადებული ცხრა ათასი ქართველი. ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა რჯულისა და მამულისათვის თავდადებული მამულიშვილები, მათ შორის ცხრა ძმა ხერხეულიძე.

აგვისტო 1999

17

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 4 აგვისტო
შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
მოწ. ევდოკიასი.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

18

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 5 აგვისტო
წინადღესასწაული
ფერისცვალებისა.
მოწ. ევსელინისა.

მარიამობის მარხვა

სასტიკად ეცემათ წმიდანი. რაჟდენი საშინლად სცემეს და საპყრობილეში ჩააგდეს. დილეგში მყოფი წმიდანი გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის ძალა და მოთმინება, რომ არ ელალატა ქრისტესთვის. სპარსელები ბევრს ეცადნენ წმიდანის გადაბირებას, მაგრამ ამაოდ. როცა მცხეთაში რაჟდენის ტყვედ ჩავარდნისა და წამების ამბავი გაიგეს, პეროზ მეფეს რამდენიმე წარჩინებული ეახლა და მცირე ხნით რაჟდენის გათავისუფლება სთხოვა. პეროზმა რაჟდენი გაუშვა, მაგრამ მალევე იგი იძულებული შეიქმნა, უკან დაბრუნებულიყო. პეროზი ისევ შეეცადა რაჟდენის გადმობირებას, თან დიდ პატივსა და სიმდიდრეს დაჰპირდა. კვლავ რომ ვერაფერს გახდა, წრომს დაბანაკებულ სარდალთან გაგზავნა. წრომის სარდალიც ჯერ ტკბილი სიტყვებით ეცადა წმინდანის გადაბირებას და რომ ვერა გააწყო, ძელზე წამება ბრძანა. ჯვარზე გაკრულ წმინდა მოწამეს ისრები დაუშინეს. წმინდანის ბოლო სიტყვები იყო: „ხელთა შენთა, უფალო, შევავედრებ სულსა ჩემსა.” ღამით იქაურმა ქრისტიანებმა მოიყვანეს მღვდელი და ფარულად დაკრძალეს მოწამე. წმიდა ვახტანგ გორგასალმა წრომიდან ნიქოზს გადაასვენა წმიდა მოწამე რაჟდენი და ნიქოზის საკათედრო ტაძარში დაკრძალა, მოწამის სახელობის ტაძრები ააშენა უჯარმასა და სამგორში.

აგვისტო 1999

ხუთშაბათი

19

ძვ. სტილი 6 აგვისტო
ფერისცვალება იესო
ქრისტესი.
ხსნილი თევზით.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

პარასკევი

20

ძვ. სტილი 7 აგვისტო
ფერისცვალების შემდგომი
დღესასწაული.
მოწ. დომენტისა.

მარიამობის მარხვა

ფერისცვალება უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი

ერთხელ, ქადაგების შემდეგ იესომ წაიყვანა თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანე თაბორის მთაზე. ისინი იქვე დატოვა, თავად მთაზე განმარტოვდა და დაიწყო ლოცვა. ამ დროს უეცრად მზესავით გაბრწყინდა მისი სახე, სამოსი გახდა თოვლივით სპეტაკი და ელვარე. ამ ნათელმა გამოაღვიძა მოციქულები, რომელთაც დაღლილობისაგან ჩასძინებოდათ. მათ იხილეს ფერისცვალება უფლისა და მასთან მდგომი ორი კაცი – მოსე და ელია (ილია) წინასწარმეტყველნი, რომლებიც იესოს მომავალ ვნებაზე საუბრობდნენ. პეტრემ უთხრა იესოს. მოძღვარო რა გვიჯობს აქ ყოფნას? მოდი, გავაკეთოთ სამი კარავი. ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას. სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ ნათელმა ღრუბელმა დაფარა ისინი და გაისმა ხმა უფლისა ზეციდან: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე. მას უსმინეთ". მოწაფეები პირქვე დაემხნენ თავზარდაცემულნი. იესომ ხელი შეახო მათ და უთხრა: ადექით, ნუ გეშინიათ! როცა ზე აიხედეს, ვერავინ დაინახეს, იესოს გარდა. იესომ თხოვა, არავისთვის გაენდოთ ეს ხილვა, ვიდრე ძე კაცისა არ აღდგებოდა მკვდრეთით.

აგვისტო 1999

21

შაბათი

ძვ. სტილი 8 აგვისტო
ღირ. ეკვთიმესი.
წმ. ემილიანესი.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

22

კვირა

ძვ. სტილი 9 აგვისტო
მე-12 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მოც. მატათასი.

მარიამობის მარხვა

რა არის მფარველი ანგელოზი

ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს ნათლისღების დროს ღვთისაგან მიეცემა ანგელოზი, რომ დაიფაროს მისი სული და ხორცი ბოროტისა და ეშმაკისაგან. მფარველ ანგელოზს ჩვენ ვუყვარვართ, კეთილ ფიქრებს და სურვილებს გვილვიძებს, თავისი ლოცვით გვეხმარება, შევიკავოთ თავი უკეთურისაგან და უხარია, როცა არ ჩავდივართ ცუდს. მფარველი ანგელოზი გვეხმარება კეთილი საქმეების კეთებაში და გვიფარავს განსაცდელისაგან. როდესაც ვლოცულობთ, მფარველი ანგელოზიც ჩვენთან ერთად ლოცულობს. ჩვენ მას ვერ ვხედავთ, მაგრამ იგი ჩვენი საუკეთესო და უერთგულესი მეგობარია.



აგვისტო 1999

23

ორშაბათი

ძვ. სტილი 10 აგვისტო
მოწ. ლავრენტისა, სიქსტესი,
ფელიქსიმესი და სხვათა.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

24

სამშაბათი

ძვ. სტილი 11 აგვისტო
მოწ. ევპოლოსი, არქიდიაკონისა.

მარიამობის მარხვა

ჩვენი ხსნა

უფალი აღსდგა! მან გაიმარჯვა სიკვდილზე. ახლა ადამიანებს შეუძლიათ აღარ ეშინოდეთ სიკვდილის, ღმერთის სიყვარულის და მოწყალების იმედით. თუ ქრისტემდე ყველა გარდაცვლილს ელოდა ჯოჯოხეთში ტანჯვა, ახლა ელის მხოლოდ მას, ვინც არ ემორჩილება ღმერთს და თავს აშორებს მის სიყვარულს. ჩვენ კი შეგვიძლია სამოთხეში მოვხვდეთ მიწიერ ცხოვრებაშიც კი, თუ აღვასრულებთ ქრისტეს ნებას. ეს გზა რთულია, მაგრამ შესაძლებელი. გვსურს მივყვეთ ღმერთს? რა თქმა უნდა? მაგრამ, რაში გამოიხატება ჩვენი სურვილი? უფალმა თავისი თავი გასწირა ჩვენთვის, ჩვენ კი? თუ ჩვენ ვცხოვრობთ საკუთარი თავისათვის, ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც გვსიამოვნებს და ღმერთი ხანდახან გვახსენდება, განა ეს ღმერთის სიყვარულია? მას ჩვენ ყოველთვის ვახსოვართ და ჩვენც უნდა გვახსოვდეს ის. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენი ცუდი საქციელი უფალს ამწუხრებს. ეს ხომ ძალიან ცუდია-დავამწუხროთ ის, ვისაც ვუყვარვართ. ჩვენი ყველა კეთილი საქმე კი ღმერთს ახარებს. წარმოიდგინეთ, ჩვენ შეგვიძლია სიხარული მივანიჭოთ თვით ღმერთს. რა საოცარია მისი სიყვარული ჩვენს მიმართ...

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 12 აგვისტო
ღირ. გერონტისა, სერაპიონისა,
გერმანესი და სხვათა.

მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 13 აგვისტო
წარგზავნა ფერისცვალების
დღესასწაულისა.
ღირ. მაქსიმე აღმს.

მარიამობის მარხვა

ღმერთო, გვასწავლე ლოცვა!

თქვენ რომ გინდოდეთ, გაესაუბროთ რომელიმე პატივსაცემ ადამიანს, გაგიჭირდებოდათ ამის გაკეთება. წამოიდგინეთ, რამდენად მაღალია მათზე უფალი. შედარებაც არ შეიძლება... მაგრამ, აი, აღმოჩნდა, რომ ღმერთთან, რომელიც უსასრულოდ დიდია, გასაუბრება ყოველთვის შეიძლება. ღმერთთან საუბარს ლოცვა ეწოდება. ღმერთი ყოველთვის გვისმენს ჩვენ, სუფთა გულის ადამიანები კი იღებენ კიდეც მისგან ნათელ პასუხს. მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, ვის მივმართავთ და მის წინაშე მოწიწებით უნდა მოვიქცეთ. ერთხელ, იესოს მოწაფეებმა თხოვეს, ესწავლებინა მათთვის ლოცვა. უფალმა მისცა ლოცვა, რომელსაც უფლის ლოცვა ანუ "მამაო ჩვენო" ეწოდება.

მამაო ჩვენო

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ.

აგვისტო 1999

27

პარასკევი

ძვ. სტილი 14 აგვისტო
წინადღესასწაული ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლის მიძინებისა
წმ. მოწ. ნაზარისა, ქუთათელ-
განათელი მიტრ;
მღვდლებისა: გერმანესი,
იეროთეოსისა, სიმონისა,
პროტოდიაკონისა ბესარიონისა და
ყოველთა
ახალმოწამეთა ტოტალიტარული
რეჟიმის დროს
ურწმუნოთაგან წამებულთა.
მარიამობის მარხვა

აგვისტო 1999

28

შაბათი

ძვ. სტილი 15 აგვისტო
მიძინება ყოვლადწმიდა
ღვთისმშობელისა.
მარიამობა.

მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

ერთხელ, გოლგოთას მთაზე, მარიამს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა, რომ სამი დღის შემდეგ მისი ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდებოდა. ღვთისმშობელი დაბრუნდა ბეთლემს, სადაც ღვთის განგებით, ყველა მოციქული შეკრებილიყო, თომას გარდა. როდესაც ღვთისმშობლის მიძინების ჟამი დადგა, მოციქულები გალობით გარს შემოერტყნენ მარიამის სარეცელს. უეცრად ოთახი უჩვეულო ნათლით გაბრწყინდა და გამოჩნდა იესო ანგელოზების გუნდთან ერთად. ღვთისმშობელმა ყოველგვარი ტანჯვის გარეშე ჩააბარა თავისი სული უფალს, სხეული კი მოციქულებმა დაასვენეს გეთსამანიაში ერთ გამოქვაბულ კლდეში. სამი დღის შემდეგ მოვიდა თომა მოციქული და ატირებული დაეცა საფლავის კართან. მასაც სურდა თაყვანი ეცა ღვთისმშობლის ცხედრისათვის. მოციქულებმა გახსნეს სამარხი, მაგრამ იქ მხოლოდ სუდარა იპოვნეს. იმავე საღამოს მათ გამოეცხადათ ღვთისმშობელი და ახარა, რომ იგი აიტაცა ღმერთმა ზეცაში. ამიტომაც ღვთისმშობლის გარდაცვალებას წმიდა ეკლესია უწოდებს მიძინებას და დღესასწაულობს (15) ახ. სტ. 28 აგვისტოს. ამ თვეს ქართველები უწოდებენ მარიამობისთვეს. ღვთისმშობლის პატივსაცემად მიძინების წინ დაწესებულია მიძინების მარხვა.





აგვისტო 1999

29

კვირა

ძვ. სტილი 16 აგვისტო
მე-13 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მიძინების შემდგომი
დღესასწაული.
მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის
ჩამოყვანება ედესით
კონსტანტინეპოლის.
ანჩისხატობა.

აგვისტო 1999

30

ორშაბათი

ძვ. სტილი 17 აგვისტო
მოწ. მირონისა, პაველესი,
იულიანესი და სხვათა.

ხატები

რატომ ვცემთ პატივს ხატებს? ჩვენ ხომ ვიცით, რომ თვით ღმერთი, ანგელოზები, წმინდანები უხილავნი არიან.

ხატების თაყვანისცემა უძველეს დროში დაიწყო. ეკლესიის გადმოცემის თანახმად, პირველი ხატი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატია, ტილოზე გამოსახული, თვით იესოს სახის ანაბეჭდი. ხატების პირველი მხატვარი კი ლუკა მოციქულია, რომელსაც ღვთისმშობლის ხატი დაუხატავს.

ხატი ცოცხალი წმინდანის ცოცხალი სიმბოლოა (ბერძ. სიტყვაა და ნიშნავს ნიშანს). ღმერთი გამოუთქმელია და მიუწვდომელი. მისი დანახვა ჩვეულებრივი ადამიანის თვალებით შეუძლებელია; ე.ი. მისი დახატვაც, მისი სახის წარმოდგენაც შეუძლებელიაო, ამბობენ ხატმებრძოლენი (ქრისტიანული რელიგიის მწვალებლური განხრა, რომელიც VIII საუკუნეში გავრცელდა საბერძნეთში). მართლმადიდებლები კი მათ ასე მიუგებენ: ღვთაებრივი სული განხორციელდა, ე.ი. სიტყვამ, რომელიც არის ძე მამა ღმერთისა, ხორცი შეისხა და ქალწულის ძეც გახდა. ქრისტე,

აგვისტო 1999

31

კვირეული

ძვ. სტილი 18 აგვისტო
ღირ. ქრისტოდულესი.
მოწ. ფლორა და ლავროსი.

სექტემბერი 1999

1

ოთხეული

ძვ. სტილი 19 აგვისტო
მოწ. ანდრია სტრატილატისა.

კვირიაკო ლოიე

ძე მამაღმერთისა, კაცთა შორის ცხოვრობდა. მის სახეს ხედავდნენ, მის სამოსელს ეხებოდნენ, მისი ხმა ესმოდათ. ამიტომ ხატზე ქრისტეს პიროვნებაა გადმოცემული. მისი კაცობრივი ბუნების დახმარებით.

ხატში ნათლად არის გადმოცემული წმინდანის ცხოვრება, ოღონდ ამას ხატი წმინდანის სახის ყოველი დეტალის, სხეულის ყოველი ჟესტის გამოხატვის საშუალებით ახერხებს. მაგ. მაღალი შუბლი, სიბრძნესა და ღრმა აზროვნებას ნიშნავს, დიდი თვალები – ღვთაებრივ საიდუმლოთა წვდომას, ოხელი ბაგეები – ასკეტიზმს, გრძელი თითები – სულიერ კეთილშობილებასა და საქმეთა უბიწოებას, თავის დახრა –ღვთის სიტყვისადმი ყურადღებას, ოდნავ მიდრეკილი ფიგურა— ღვთის ნებისადმი მორჩილებას და სხვა. ფერებით კი შეიძლება გადმოიცეს წმინდანის მთელი შინაგანი ცხოვრება, მისი ტანჯვა თუ სიხარული: თეთრი ფერი სიწმინდეს ნიშნავს, ოქროსფერი – მარადიულობას, მწვანე ცხოვრებას, ლურჯი – საიდუმლოს, წითელი – თავის მსხვერპლად შეწირვას და სხვა.

ხატზე წმინდანის ფიზიკური სახე კი არ არის გამოსახული (როგორც ეს მაგალითად ფოტოსურათზეა), არამედ ხატზე გამოხატულია



სექტემბერი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 20 აგვისტო
წინასწარმეტყვ. სამოელისა.
დიდგორობა.

სექტემბერი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 21 აგვისტო
მოც. თადეოზისა.
წმ. სარმეანისა.
მოწ. ვასასი.

ცამეტრიტი ლოდ

წმინდანის სულიერი ცხოვრება, რომელსაც ჩვეულებრივი ფიზიკური თვალებით ვერ დავინახავთ. ამას, უბრალოდ შევიგრძნობთ. ხატზე გამოხატული წმინდანი ამავე წმინდანის მადლით ცოცხლდება და ადამიანს ეხმარება: როცა ავად არის, კურნავს; განსაცდელში აძლიერებს, ამცნობს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში და სხვა. ხატი თავისებურად ქრისტიანობის ქადაგებაა.

ყველა ხატი, ვიდრე მას სახლში ან ეკლესიაში დაასვენებენ, იკურთხება: მღვდელი კითხულობს საგანგებო ლოცვას და ნაკურთხ წყალს ასხურებს. ადრე ყოველ ქრისტიანულ ოჯახში იყო ხატები. ხატები იფარავდნენ ოჯახს, მათი საშუალებით მშობლები ლოცავდნენ შვილებს, ისინი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ცნობილია მრავალი სასწაულმოქმედი ხატი; განსაკუთრებით ცნობილ ხატებს საგანგებო დღესასწაულები აქვთ დაწესებული.

სექტემბერი 1999

შაბათი

ძვ. სტილი 22 აგვისტო
დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის
ხატისა მოსკოვში.
მოწ. ალათონიკესი.

სექტემბერი 1999

კვირა

ძვ. სტილი 23 აგვისტო
მე-14 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წარგზავნა მიძინებისა.
მოწ. ლუპესი. წმ. კალინიკესი.

მეზვერისა და ფარისეველის იგავი
ლუკა 18.10

თქვა უფლამა იგავი მეზვერესა (გადასახდელის ამკრები) და ფარისეველზე (ფარისეველები იყვნენ ისინი, რომლებიც თვლიდნენ თავს ყველაზე მართალ ადამიანებად და გამოირჩეოდნენ იმით, რომ ცდილობდნენ შეესრულებინათ ყველა კანონი წვრილმანებამდეც კი. მაგრამ ზოგჯერ ავიწყდებოდათ მთავარი–ღვთისა და ადამიანის სიყვარული). და აი, მეზვერე და ფარისეველი მივიდნენ ლოცვისათვის ტაძარში. ფარისეველი ცდილობდა შეესრულებინა ღვთის ყველა კანონი და ამით ამაყობდა ღმერთის წინაშე. მეზვერე კი იყო ცოდვილი ადამიანი, რომელმაც იცოდა თავისი ნაკლი, თავჩაღუნული იდგა და ტაძრის სილრმეში შესვლასაც ვერ ბედავდა. ფარისეველი ასე ლოცულობდა: გმადლობ შენ უფალო, რომ ისეთი არა ვარ, როგორც სხვა ადამიანები, იმას ვასრულებ, რასაც კანონი მოითხოვს. მეზვერე კი თავდახრილი ლოცულობდა: უფალო შემიწყალე მე ცოდვილი. მაგრამ ღმერთი ხედავს ადამიანის გულს და მოხდა ისე, რომ ტაძრიდან გამართლებული გამოვიდა მეზვერე და არა ფარისეველი. ჩვენ ხშირად ემსგავსებით ფარისეველებს, როცა ვფიქრობთ, რომ სხვებზე უკეთესნი ვართ. ასეთი აზრი მაშინვე გვაშორებს ღმერთს.



სექტემბერი 1999

6

ორშაბათი

ძვ. სტილი 24 აგვისტო
ღირ. სერაპიონისა.
წმ. ევტიქისა.
ღირ. გიორგისა.

სექტემბერი 1999

7

სამშაბათი

ძვ. სტილი 25 აგვისტო
მოც. ბართლომესი.
მოც. ტიტესი (სამეოცდაათთაგანთა).

სერაპიონ სასწაულმოქმედი

6 (24.08) სექტემბერი

სერაპიონ სასწაულმოქმედი გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი იყო. ერთხელ ის მონასტრის ძმებთან ერთად ქალაქში წავიდა საქმეზე. წინ მიმავალ მსახურებს, რომლებსაც სალმრთო მსახურებისთვის საჭირო სამკაულები და ნივთები მიჰქონდათ, ავაზაკები შემოეხვივნენ და ტვირთი მოსტაცეს. ისინი უკან გამოიქცნენ და ყველაფერი წინამძღვარს აუწყეს. წმინდა სერაპიონმა აიღო კვერთხი და მარტო გამოედევნა მძარცველებს. ავაზაკები მის დანახვაზე კლდე-ღრეში მიიმალნენ და ტვირთი იქვე დატოვეს. შემდგომ კი გაოცებული კითხულობდნენ: ვინ იყო ის მონაზონი, რომელიც ჩვენ გამოგვიდგა, მის კვერთხს სასწაული ცეცხლი ეკიდაო.

ერთხელ, ნეტარი სერაპიონი თავის სენაკში ლოცულობდა. მოულოდნელად გარეთ გამოვიდა და ძმებს უთხრა: მონასტრის მსახურებს ავაზაკები გადაეყარნენო. მერე კი სენაკში დაბრუნდა და მხურვალე ლოცვა აღუვლინა უფალს. ორიოდე საათის შემდეგ მონასტრის მსახურები შეწუხებულები დაბრუნდნენ და თქვეს, გზაზე ავაზაკები შემოგვხვდნენ, ჩვენი სახედრები ტვირთითურთ მივატოვეთ და გაქცევით ვუშველეთ თავსო. ცოტა ხანში დატვირთული სახედრებიც დაბრუნდნენ მონასტერში.

სექტემბერი 1999



ოთხშაბათი

ძვ. სტილი 26 აგვისტო
მოწ. ანდრიანე და ნატალიასი.

ცამეტობა ლოი

სექტემბერი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 27 აგვისტო
ღირ. პიმენ დიდისა.
წმ. ოსესი.
ღირ. საბასი.

ნათლობა

ზეცად ამაღლებამდე უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს, მოციქულებს დაუბარა წასულიყვნენ მთელ ქვეყანაზე და ექადაგათ მასზე, როგორც მხსნელზე და მოენათლათ ადამიანები „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა". ყველა, ჩვენ, ვუერთდებით ეკლესიას ნათლობის საიდუმლოს გზით. პატარებს ნათლავენ იმისათვის რომ მათაც მიიღონ ღვთის მადლი. აი, როგორ სრულდება ნათლობის საიდუმლო ჩვენს ეკლესიაში: ღვთისადმი ლოცვის შემდეგ მღვდელი სამჯერ ჩასვამს (დაფლავს) ადამიანს თავით წყალში. მოსანათლი განიწმინდება ყველა ცოდვისაგან და დაიბადება ახალი, მადლიანი ღვთაებრივი ცხოვრებისათვის. ცხოვრებისათვის, ღმერთთან, ეკლესიასთან. მონათლული იღებს მართლმადიდებლურ სახელს, რომელიც ენიჭება მას ერთ-ერთი წმინდანის პატივსაცემად. ეს წმიდანი ხდება ჩვენი ზეციური მფარველი. მასთან ჩვენ განსაკუთრებული სიახლოვე გვაქვს, ლოცვაში მას ვთხოვთ მეოხებას, შუამდგომლობას ღვთის წინაშე. ჩვენი წმინდანის ხსენების დღე იწოდება ანგელოზის დღედ.

ჩაწერეთ ლოცვაში თქვენი ზეციური მფარველის სახელი: **წმიდაო ეკეკლრე ღმერთსა ჩემთვის!**

- დაწერეთ, როდისაა მისი ხსენების დღე?
- რა იცით თქვენ ზეციურ მფარველზე?
- რომელი ქართველი წმინდანები იცით?
- რომელ მათგანზე იცით რაიმე?

10

პირველი

ძვ. სტილი 28 აგვისტო
წმ. მოწ. შუშანიკისა.
ღირ. მოსე შავისა.

ცამეტრიტო ლოი

სექტემბერი 1999

11

შესხვთი

ძვ. სტილი 29 აგვისტო
თავის კვეთა იოანე
ნათლისმცემელისა.
მძიმე მარხვა

წმიდა მოწამე შუშანიკ დედოფალი
(475) 10 (28.08) სექტემბერი

შუშანიკის ბაბუა, საჰაკ დიდი, სომეხთა კათალიკოსი ყოფილა და ამიტომ შუშანიკი ბავშვობიდანვე ქრისტიანულ გარემოში იზრდებოდა. როცა წამოიზარდა, ქართლის პიტიახშს ვარსქენს გააყოლეს. იმ დროს ქართლში სპარსელები ბატონობდნენ. შაჰის გულის მოსაგებად ვარსქენმა ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო და შაჰს აღუთქვა, რომ ცოლსა და შვილებსაც სპარსულ რჯულზე მოაქცევდა. როცა შუშანიკმა ვარსქენის განდგომა შეიტყო, ცხარე ცრემლებით გამოიტირა ქრისტეს უარმყოფელი ვარსქენი, დატოვა სასახლე, თან წაიყვანა თავისი ოთხი შვილი და ეკლესიას შეაფარა თავი. ქმარმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და შუშანიკი ციხეში ჩასვა, სადაც მან 6 წელი დაჰყო. მეშვიდე წელს დიდი წამებისა და ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ხნის განმავლობაში შუშანიკს არ შეუწყვეტია ლოცვა, მარხვა და თავად ამხნევებდა მის გასამხნევებლად მოსულ ქრისტიანებს. მისი ლოცვით ავადმყოფები იკურნებოდნენ, უშვილოებს შვილი ეძლეოდათ. შუშანიკის ლოცვით განიკურნა და მართალ სარწმუნოებაზე მოექცა ერთი კეთროვანი სპარსი დედაკაცი. შუშანიკის წამება კარის მღვდელმა და შუშანიკის მოძღვარმა იაკობ ცურტაველმა აღწერა. მე-6 საუკუნეში ქართველებმა შუშანიკის ნეშტი გადმოასვენეს და მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.



სექტემბერი 1999

12

ორშაბათი

ძვ. სტილი 30 აგვისტო
მე-15 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. ალექსანდრესი.

სექტემბერი 1999

13

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 31 აგვისტო
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
სარტყელის დადება.
მღვდელმოწ. კვიპრიანესი.

ლოცვა სწავლის დაწყების წინ

ყოვლადსახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულისხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთასა, რათა ჩვენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებელად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულისა სარგებელად.

ლოცვა შემდეგ სწავლისა

გმადლობთ შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს-მყენ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვის სწავლისა. აკურთხენ ჩვენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლელნი, მიმყვანებელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა, და მოგვეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შეუდგეთ სწავლასა ამას, ამინ.

სექტემბერი 1999

ცამეშვიდეთი

ძვ. სტილი 1 სექტემბერი
დაწყება ინდიქტიონისა-საეკლესიო
ახალი წლისა.
კრება ღვთისმშობელისა.
ღირ. სვიმეონ მესვეტისა.

სექტემბერი 1999

თოხეშვიდეთი

ძვ. სტილი 2 სექტემბერი
მოწ. მამანტისა.
ღირ. იოანე მმარხველისა.

ცამეტრიდო ლოე

აღსარება.

ნათლისღებით ადამიანი იწმინდება ცოდვებისაგან. ნათლისღების საიდუმლო მხოლოდ ერთხელ აღესრულება, ჩვენ კი მუდმივი განწმენდა გვჭირდება. ამისათვის ღმერთმა დაადგინა სინანულის საიდუმლო, რომლშიც მორწმუნე ღვთის წინაშე ცოდვების აღიარებით თვით ქრისტესაგან ღებულობს ცოდვების მიტევებას. სინანულს მეორე ნათლისღებასაც უწოდებენ. სინანულის საიდუმლო უფალმა იესო ქრისტემ დააწესა. სინანული უნდა იყოს გულწრფელი. მტკიცედ უნდა გვქონდეს გადაწყვეტილი, რომ აღარ შევცოდავთ და უნდა გვწამდეს ღვთის წყალობის, რომ თუ გულწრფელად მოვინანიებთ, უფალი მოგვიტევებს ჩვენს შეცოდებებს. სანამ აღსარებაზე მივიდოდეთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ და გამოვიკვლიოთ საკუთარი თავი და მისწრაფებები. რომ არაფერი გამოგვრჩეს, შეიძლება ჩამოვწეროთ კიდეც. აღსარების დროს



სექტემბერი 1999

16

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 3 სექტემბერი
მღვდელმოწ. ანთიმოზისა.
ღირ. თეოკტისტესი.

სექტემბერი 1999

17

პარასკევი

ძვ. სტილი 4 სექტემბერი
ღირ. სვიმეონისა.
წმ. მღვდელმოწ. ბაბილასი.

ცამეტრიტი ლოდ

არ უნდა გვრცხვენოდეს საკუთარი ცოდვების აღიარების, რადგან ღმერთი ყველაფერს ხედავს და მისთვის არაფერია დაფარული. თუ არ შევინანებთ არა ერთი კაცის, არამედ ყველას წინაშე განცხადდება ჩვენი ცოდვები. ყველა ქრისტიანს უნდა ჰყავდეს თავისი მოძღვარი, რომელთანაც ცოდვებს მოვინანიებთ და მოვისმენთ სულიერ რჩევა-დარიგებებს. აღსარებისას მოძღვართან მოკრძალებით უნდა მივიდეთ და მივიღოთ მისგან ლოცვა-კურთხევა. აღსარების დროს არ უნდა გავიმართლოთ თავი, ცოდვები სხვას არ უნდა გადავაბრალოთ ან გულგრილად ვისაუბროთ. არ შეიძლება ითქვას, რომ მართალი ვართ და არაფერში შეგვიცოდავს და არც ის, რომ ყველაფერში ცოდვილები ვართ და ყველაფრის პატიებას ვითხოვთ.

სექტემბერი 1999

18

შაბათი

ძვ. სტილი 5 სექტემბერი
წმ. წინასწარმეტყვ.
ზაქარიასი და მართალი
ელისაბედისა.

სექტემბერი 1999

19

კვირა

ძვ. სტილი 6 სექტემბერი
მე-16 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მთავარანგ. მიქაელის მიერ
კოლასეში მოხდენილი
სასწაულისა.
ღირ. არქიფოსი.

შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

გალილეის ერთ პატარა ქალაქში, ნაზარეთში ცხოვრობდა პატიოსანი ცოლ-ქმარი იოაკიმე და ანნა. ქალი პირველმღვდელმთავარ აარონის შთამომავალი იყო, კაცი კი წინასწარმეტყველი დავით მეფის გვარიდან. სიბერის ასაკს მიაღწიეს ცოლ-ქმარმა, შვილი კი არ უჩნდებოდათ. ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად ითვლებოდა და იოაკიმე და ანნა მრავალ უსამართლო საყვედურს ისმენდნენ თანამემამულეთაგან. ცოლ-ქმარმა აღთქმა დადეს, თუ შვილი მიეცემოდათ, ღმერთს მიუძღვნიდნენ ტაძარში მსახურებისათვის. ერთ-ერთ დღესასწაულზე მოხუცმა იოაკიმემ მსხვერპლი მიიტანა ტაძარში, მაგრამ მღვდელმსახურმა უღირსი უწოდა მას უშვილობის გამო და მსხვერპლი არ მიიღო. ღრმად დამწუხრებული იოაკიმე დღე და ღამე ლოცულობდა უდაბნოში განმარტოებით. ანნამაც შეიტყო რა მოხდა იერუსალიმის ტაძარში და მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, ეჩუქებინა მისთვის შვილი. უფალმა შეისმინა მათი ვედრება და გაბრიელ მთავარანგელოზის პირით აუწყა ცოლ-ქმარს, რომ მალე ასული შეეძინებოდათ. გავიდა ხანი, ანნამ იმშობიარა და შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას ეკლესია დღესასწაულობს (8) ახალი სტილით 21 სექტემბერს.

სექტემბერი 1999

20

ორშაბათი

ძვ. სტილი 7 სექტემბერი
წინადღესასწაული
ყოველადწმინდა ღვთისმშობლის
შობისა.
მოწ. სოზონისა.

სექტემბერი 1999

21

სამშაბათი

ძვ. სტილი 8 სექტემბერი
შობა ყოველადწმიდა
ღვთისმშობლისა.

ქეთევან დედოფალი
26 (13) სექტემბერი

წმიდა დიდმოწამე ქეთევანს „საქართველოს მნათობი" ეწოდა, რადგან ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში XVII-XVIII საუკუნეებში მისი ღვაწლი და მოღვაწეობა მთელი ქართველი ხალხისათვის სულის ცხონებისა და რჯულის გადარჩენის მაგალითად იქცა. ქეთევანის მეუღლის, დავითის მამამ, ალექსანდრემ, თავისი ჭკვიანური პოლიტიკით დაიცვა კახეთი უცხოელთა შემოსევებისაგან. მის დროს კახეთი მდიდარი და კეთილმოწყობილი სამეფო იყო. ეს ვერ მოითმინა შაჰ-აბასმა, მას საინგილო ჩამოაცალა და აღმოსავლელ თურქმენულ ტომებს მდიდარი ქვეყნისაკენ გზა გაუხსნა, თავის აღზრდილ გამაჰმადიანებულ, გასპარსებულ ალექსანდრე მეფის ძე, კონსტანტინეს მოაკვლევინა მამა და ძმა. კახეთი მაჰმადიან კონსტანტინეს დარჩა, რომელმაც მამისა და ძმის მოჭრილი თავები შაჰს გაუგზავნა. შაჰი ზეიმობდა, მაგრამ მას სიხარული კახეთის დედოფალმა ქეთევანმა ჩაუშხამა. ის აჯანყდა და სრულიად კახეთი მოიმხრო. აჯანყებულებმა კონსტანტინე მოკლეს. კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ კახეთის სამეფოს დედოფალი ქეთევანი ჩაუდგა სათავეში. მისი თხოვნით, შაჰი იძულებული

სექტემბერი 1999

ოთხშაბათი

22

ძვ. სტილი 9 სექტემბერი
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
შობის შემდგომი დღესასწაული.
წმ. და მართლ. მშობელთა
ღვთისმშობელისათა იოაკიმ და
ანნასი.

ხუთშაბათი

სექტემბერი 1999

23

პარასკევი

ძვ. სტილი 10 სექტემბერი
მოწ. მინადორასი,
მიტრადორასი და ნიმფადორასი.

გახდა, ქეთევანის ძე, უფლისწული თეიმურაზი სამშობლოში დაებრუნებინა. შაჰმა თეიმურაზისგან მძევლად შვილები ითხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა, ჯერ უმცროსი შვილი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე კი უფროსი შვილი - ლევანი. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც დაიბარა, მაგრამ ის არ წავიდა. ნათელი იყო შაჰის სურვილი: მას სურდა კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად შეემუსრა; დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზი და იმერთა მეფე ლუარსაბი შეიკრნენ და ერთად სცეს მტერს. შემდგომ დაიწყო უსაშინლესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა მძევლები შირაჰს გაგზავნა. შაჰმა ჩამოაშორა ქეთევანს თეიმურაზის ძენი და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი შეიშალა. დედოფალმა შვილიშვილების უბედურება არ იცოდა. ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია მისი სხეული. მიუხედავად ამისა, არ დაუკარგავს მხნეობა. უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისთვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს. შაჰმა იმამ-ყული-

24

პირველი

ძვ. სტილი 11 სექტემბერი
ღირ. თეოდორე
ალექსანდრიელისა.
მოწ. დიმიტრისა.

ცხრილი ლოგ

სექტემბერი 1999

25

შესხვთი

ძვ. სტილი 12 სექტემბერი
ჯვართამაღლების წინა შაბათი.
წარგზავნა ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის შობის
დღესასწაულისა.
მღვდელმოწ. დოსითეოზ
თბილელისა და ავტონიმესი.

ხანს შეუთვალა - ან გათათრებულიყო დედოფალი, ან ეწამებინათ. ნაქართველარი შეევედრა დედოფალს: სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმიდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისთვის გაემზადა. ილოცა, შვილი და მამული შეავედრა უფალს, წმიდა ზიარება მიიღო და უშიშრად დადგა ჯალათების წინაშე. ხალხით გადაჭედილ მოედანზე გამოიყვანეს საქართველოს დედოფალი. ჯალათებმა სპილენძის ქვაბები მოიტანეს, ცეცხლი დაანთეს, შიგ შანთები შეაწყვეს გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენს. უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმიდა დედოფალი. მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული: წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა. წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად. თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაიტირა თავისი დედა და ძენი, შემდეგ კი პატივით და დიდებით დაკრძალა ალავერდის წმიდა გიორგის ტაძარში.

26

კვირა

ძვ. სტილი 13 სექტემბერი
მე-17 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
ჯვართამაღლების წინა კვირა.
წინადღესასწ. ჯვართამაღლებისა.
წმ. დიდმოწ. ქეთევან დედოფლისა.
მღვდელმოწ. კორნელი ასისთავისა.
აღდგომის წმ. ტაძრის განახლება
იერუსალიმში.

სექტემბერი 1999

27

ორშაბათი

ძვ. სტილი 14 სექტემბერი
მსოფლიო ამაღლება
პატიოსნისა
ჯვარისა ჯვართამაღლება.
მიცვალება წმ. იოანე ოქროპირისა.
მძიმე შარხვა.

ჯვართამაღლება

მოციქულთა სწორი კონსტანტინე დიდი (306-337) პირველი იყო რომის იმპერატორთაგან, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. კონსტანტინე დიდმა ერთხელ ცაზე ღვთაებრივი ნიშანი იხილა ჯვარი უფლისა წარწერით: „ამით სძლიე". მან გადაწყვიტა მოეძებნა მაცხოვრის პატიოსანი ჯვარი, რომელიც დაკარგულიყო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ. იმპერატორმა კონსტანტინემ იერუსალიმში გაგზავნა თავისი დედა–მოციქულთა სწორი, წმინდა დედოფალი ელენე. დიდხანს ეძებეს ცხოველსმყოფელი ჯვარი, ბოლოს ერთი იუდეველის მინიშნებით მიაგნეს ჯვარცმის ადგილს. დედოფალმა გააწმენდინა ის ადგილი და სამი ჯვარი იპოვნეს. ერთი ქრისტესი და ორიც იესოსთან ჯვარცმული ავაზაკებისა, მაგრამ არ იცოდნენ სამი ჯვრიდან რომელი იყო იესოსი. შეეკედრენ უფალს, რომ ეჩვენებინა სასწაული. პატრიარქმა მაკარიოსმა რიგრიგობით მიადო ისინი ერთ მიცვალებულს, რომელსაც მოასვენებდნენ და მიცვალებული აღდგა ერთ-ერთის შეხებით. ამით დარწმუნდნენ რომ ეს იყო იესოს ჯვარი. მორწმუნეთა თხოვნით, რათა ყველას შესძლებოდა დანახვა, პატრიარქმა მაკარიოსმა და სამღვდელო პირებმა მაღლა ასწიეს, აამაღლეს უფლის პატიოსანი ჯვარი, ხალხი კი თაყვანს სცემდა და უგალობდა: „ჯვარსა შენსა თაყვანის-ვსცემთ, მეუფეო და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ." ეკლესია ჯვართამაღლებას დღესასწაულობს (14) ახ. სტ. 27 სექტემბერს.

სექტემბერი 1999

ხუთშაბათი

28

ძვ. სტილი 15 სექტემბერი
ჯვაართამაღლების შემდგომი
დღესასწაული.
ღირ. აბბა იოსებ
ალაევერდელისა.
მოწ. ნიკიტასი.

სექტემბერი 1999

29

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 16 სექტემბერი
წმ. მოწ. ისააკ და იოსებისა.
მოწ. ეფემიასი.

ხუთშაბათი ღამე

იოსებ ალავერდელი 28 (15)

სექტემბერი

იოსებ ალავერდელი იონე ზედაზნელის მოწაფე იყო. იგი VI საუკუნეში ჩამოჰყვა ასურელ მამებს საქართველოში ქრისტეს სჯულის განსამტკიცებლად.

წმიდა იოსები იმ ადგილას დამკვიდრდა, სადაც დღეს ალავერდის ტაძარია აშენებული. მას თან ჰქონდა ჯვარი, რომელიც თვით მაცხოვრის ჯვრის ნატეხისაგან იყო გაკეთებული.

იმ პერიოდში ალავერდი უდაბური, უნაყოფო ადგილი იყო. მხეცთა და ნადირთ სამკვიდრებელში განმარტოებულ წმინდანს უფალმა ვიღაც დიდებული მოუვლინა, რომელიც თაყვანისცემით მიეახლა იოსებს. ღირსმა მამამ მას სრული რწმენა და ჭეშმარიტებასთან მიახლების სურვილი შთაუნერგა.

ამ დიდებულმა წმინდა მამის სახელზე ააშენა ალავერდის ტაძარი. მალე იოსებ ალავერდელის ღვაწლით აღმოიფხვრა ამ მხარეში ურწმუნოება, მეუდაბნოეთა რიცხვმა იმატა. იოსებ ალავერდელი დაკრძალეს ალავერდში. დიდებული მეფენი ალავერდის ტაძარს ირჩევდნენ საძვალედ, რადგან წმიდა იოსები ყოფილიყო მუდამ მათი მეოხი (შემწე) ღვთის წინაშე.



სექტემბერი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 17 სექტემბერი
მოწ. პისტისა, ევპიდისა და
აღაპისა
და დედისა მათისა სოფიოსი.

ოქტომბერი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 18 სექტემბერი
მოწ. ბიძინასი, ელიზბარისა და შალვასი.

ცამეტი ლოდ

წაშება ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა 1 (18.09) ოქტომბერი

XVIII საუკუნეში სპარსებმა განიზრახეს, საბოლოოდ დაეპყროთ და გაენადგურებინათ საქართველო. ამიტომ, როცა შაჰ-აბაზ დიდმა ააოხრა კახეთი, შაჰ-აბაზ მცირემ სპარსელებით დაასახლა ეს ადგილები. იდევნებოდა ქრისტიანობა, ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები. ვინც სპარსეთში წასვლას და გათათრებას გადაურჩა, ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: სპარსელების დავალებით ქართველებს იტაცებდნენ და სხვა ქვეყნების ბაზრებზე მონებად ყიდდნენ. სწორედ ასეთ დროს, საქართველოს მხსნელად მოევლინნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები.

1659 წელს, სექტემბერში ბიძინას, შალვასა და ელიზბარის შეკრებილმა ლაშქარმა დაიპყრო ბახტრიონის ციხე, სადაც სპარსელები იყვნენ დაბანაკებულნი, შემდგომ კი ერთიანად ამოხოცა ჩამოსახლებულნი. ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს.

განრისხებულმა შაჰმა „სტუმრად" მიიწვია ქართველთა ჯარის მეთაურები. ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა იცოდნენ, რომ იქ კარგი დღე არ ელოდებოდათ, მაგრამ მაინც წავიდნენ. შაჰმა ისინი



ოქტომბერი 1999

2

შაბათი

ძვ. სტილი 19 სექტემბერი
ჯვართმაღლების შემდგომი შაბათი.
მოწ. ტროფიმე, სავვატისა და
დომიმენდოსი.

ოქტომბერი 1999

3

კვირა

ძვ. სტილი 20 სექტემბერი
მე-18 კვირა
სულიწმიდის გარდამოსვლიდან.
ჯვართამაღლების შემდგომი კვირა.
დიდმოწ. ევსტათი პლაკიდასი.
ეროიაწმინდობა.

კარგად მიიღო, ანადიმა, ანადირა და ბოლოს ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა, თან უამრავი სიმდიდრე და ქონება აღუთქვა. წმინდანებმა ამაზე უარი განაცხადეს. ამის გამო, ისინი ჯერ გააშიშვლეს და პაპანაქება სიცხეში მშიერ-მწყურვალი დაყარეს, შემდგომ კი ბიძინა რომ დაეშინებინათ, მის თვალწინ მოკვეთეს თავები შალვას და ელიზბარს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი მაინც არ შეშინდა. მაშინ გადაწყვიტეს, ქალივით შეემოსათ იგი, ვირზე უკუღმა შეესვათ და ქალაქის ქუჩებში გაეტარებინათ. ხალხი ლანძღავდა და დასცინოდა. ბიძინა კი მადლობას უხდიდა უფალს, რომ იესოს მსგავსად, ისიც ვირზე ამხედრებული შედიოდა ზეციურ იერუსალიმში.

ამის შემდეგ, ჯალათებმა ასო-ასოდ აკუწეს მისი სხეული. ბიძინა გამუდმებულით ლოცულობდა და ვიდრე არ მოკლეს, ერთხელაც არ დაუკვნესია.

ეს ამბავი 1661 წლის 18 სექტემბერს მოხდა. ღია ცის ქვეშ დაყრილ წმინდანთა სხეულებს სასწაულებრივი ნათელი დაადგა.

ბიძინა ჩოლოყაშვილის სხეული ფრანგებმა მოიპარეს, შალვასა და ელიზბარის სხეულები კი ქართლში გადმოასვენს, იმ დროს მრავალი ადამიანი განიკურნა. მათი სხეულები იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაკრძალეს.



ოქტომბერი 1999

4

ორშაბათი

ძვ. სტილი 21 სექტემბერი
წარგზავნა ჯვართამაღლების
დღესასწაულისა.
მოც. კოდრატესი.

ოქტომბერი 1999

5

სამშაბათი

ძვ. სტილი 22 სექტემბერი
წინასწარმეტყვ. იონასი.
მღვდელმოწ. ფოკასი.

ზიარება

ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ პასექის წინ შეკრებილიყვნენ საზეიმო სუფრასთან. ასეთი ტრაპეზის დროს იესომ აიღო პური, აკურთხა და უთხრა მოწაფეებს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მოსატევებელად ცოდვათა." აიღო ღვინო, აკურთხა და თქვა: „სვით ამისაგან, ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მოსატევებელად ცოდვათა" ამ დროს დედამიწაზე პირველად აღსრულდა უდიდესი სასწაული. მოწაფეები უბრალოდ პურსა და ღვინოს კი არ იღებდნენ, რამედ ქრისტეს სისხლსა და ხორცს უერთდებოდნენ საუკუნოდ. ეს უდიდესი სასწაული ყოველ დღეს აღესრულება ტაძარში. ყოველთვის, როცა მოციქულთა მსგავსად ვეზიარებით ქრისტეს სისხლს და ხორცს, ჩვენში შემოდის უფალი. ყოველმა ქრისტიანმა, რომელმაც 7 წელს მიაღწია უნდა თქვას აღსარება და მიიღოს შენდობა მღვდლისაგან.

–როგორ ემზადებით ზიარებისათვის და როდის ეზიარეთ ბოლოს?



ოქტომბერი 1999

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 23 სექტემბერი
მუცლადღება წმ. იოანე ნათლისცემისა.

ცამეტი ლოი

ოქტომბერი 1999

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 24 სექტემბერი
პირველმოწ. თეკლასი.
ღირ. კომპრესი.
მოწ. ვლადისლავ სერბელისა.

წმიდა თეკლე 20 (7) ოქტომბერი

თეკლე ებრაულად სრულყოფილს, არამეულად კი იმედს ნიშნავს. მიციქულ პავლეს მოწაფე და თანამგზავრი, იკონიაში დაბადებული თეკლე მოციქულთა სწორად მოიხსენიება. 18 წლის ასაკში თეკლე მდიდარი ოჯახის შვილზე დანიშნეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც თეკლემ მოციქული პავლეს ქადაგება მოისმინა, ქორწინებას ასკეტური ცხოვრება ამჯობინა. განაწყენებულმა საქმრომ პავლე ციხეში ჩაასმევინა, მასთან შეპარულ თეკლეს კი სხვათა ჭკუის სასწავლებლად კოცონზე დაწვა მიუსაჯა. თეკლე უშიშრად მიემართებოდა მის საწამებლად ანთებული ცეცხლისაკენ და პირჯვარს იწერდა. უეცრად მოვარდნილმა კოკისპირულმა წვიმამ და სეტყვამ კოცონი ჩააქრო. თეკლე პავლეს გაჰყვა ანტიოქიაში, სადაც მისი სილამაზით მოხიბლულმა და უარით გამოსტუმრებულმა ალექსანდრე სირიარხმა თეკლე საწამებლად ველურ ცხოველებს მიუგდო. ერთ-ერთმა ლომმა ჯერ ფეხები დაულოკა და შემდეგ თავგამოდებით დაიცვა თეკლე სხვა ცხოველებისაგან. როდესაც ლომი დაიღუპა, თეკლე თხრილში გადაეშვა და იესოს სახელი ახსენა. იმავე წუთს ცაში იქუხა და ელვამ მტაცებლები განგმირა. განთავისუფლებულმა თეკლემ მოციქულ პავლესგან მიიღო კურთხევა და იკონიაში დაბრუნდა. იქ მოწამე ქრისტიანობას ქადაგებდა და ავადმყოფებს მკურნალობდა. მისი ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა სელევკიაში დასრულდა, სადაც თეკლე 90 წელს გადაცილებული გარდაიცვალა.



ოქტომბერი 1999

პირველი

8

ძვ. სტილი 25 სექტემბერი
წმ. არსენი დიდისა.
ლირ. პაფნუტისა.

ცამეტრიტი ლოე

ოქტომბერი 1999

9

შესანთი

ძვ. სტილი 26 სექტემბერი
წმ. იოანე ღვთისმეტყველის მიცვალება.
დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა.

მოწყალება

ერთ მონასტერს წესად ჰქონდა, დიდ ხუთშაბათ დღეს იმ მიდამოს ყველა ღატაკისა და ქვრივ-ობლისათვის წყალობა დაერიგებინა. ერთ წელიწადს ხორბალი გაძვირდა და მამებმა უთხრეს მონასტრის წინამძღვარს: „ღატაკთ ნურაფერს დავურიგებთ, თორემ მონასტერი გაღარიბდება." მონასტრის წინამძღვარი ცდილობდა, შეეგონებინა, არ მოეშალათ მამა-პაპის აღთქმა, რადგან მისი წყალობა იფარავდა მონასტერს. მონაზვნებმა არ დაუჯერეს წინამძღვარს და როდესაც ხუთშაბათი დღე დადგა, არავის არაფერი მისცეს. პარასკევ დღეს ბეღელი რომ გააღეს, ნახეს - მთელ ხორბალს თავთავები გამოელო და გაფუჭებულიყო. იძულებული გახდნენ, ზღვაში გადაეყარათ. მონასტრის წინამძღვარმა უთხრა მათ: ეს საზღაურია ყველა იმისა, ვინც თავის მამათა დამკვიდრებულ წესს არ მიჰყვება. ჩვენ, ერთი მხრივ, ვეურჩეთ ჩვენი მამის აღთქმას და, მეორე მხრივ, არ ვირწმუნეთ ღვთისა, რომ იგი არის ის, ვინც ასაზრდოებს და განაგებს მთელ ხალხს.



ოქტომბერი 1999

კვირა

10

ძვ. სტილი 27 სექტემბერი
მე-19 კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მოწ. კალისტრატესი.
მოც. მარკოზისა.
ღირ. ევნიატესი.

ოქტომბერი 1999

11

ორშაბათი

ძვ. სტილი 28 სექტემბერი
ღირ. ხარიტონისა.
წინასწარმეტყვ. ბარუქისა.

***

მოწყალების საქმე სისტემატურად უნდა ვაკეთოთ, ეს მართლმადიდებლი ქრისტიანების პირდაპირი და ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. ყოველმა ქრისტიანმა დღის განმავლობაში მოყვასის დასახმარებლად რაიმე სამსახური უნდა გასწიოს. ჩვენ უნდა მივაკითხოთ ხოლმე უძლურ და გაჭირვებულ ადამიანებს. სასურველია, რომ ასეთი მსახურება, თუნდაც, სულ მცირე, ყოველდღე სრულდებოდეს; თუ ყოველდღე ვერ შევძლებთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით ასეთი დღე შეიძლება იყოს შაბათი. ამ დღეს უნდა ვეცადოთ, დავეხმაროთ ერთ გაჭირვებულ ადამიანს მაინც. ხანდახან ხდება, რომ სხვისი დახმარების მატერიალური საშუალება არ არის. ასეთ შემთხვევაში გაჭირვებულთათვის ერთი მცირე ლოცვის წაკითვასაც კი უფალი შეიწირავს.



ოქტომბერი 1999

12

ცამეშვიერთი

ძვ. სტილი 29 სექტემბერი
ღირ. ონოფრე გარეჯელისა.
მოწ. კვირიაკე განდეგილისა.

ოქტომბერი 1999

ოთხშაბათი

13

ძვ. სტილი 30 სექტემბერი
მღვდელმოწ. გრიგოლ სომხეთის
გამანათლებლისა.
წმ. მიქაელისა.
მოწ. რიფსიმე და გაიანესი და
მათთანათა.

*ცამეტრვ

ღოე*

წმიდა ონოფრე გარეჯელი
12 (29.09) ოქტომბერი

ღვთის ნებით, წმინდა მამებს არაერთი სასწაული მოუხდენიათ. ერთ-ერთ ასეთ სასწაულმოქმედად ჩვენი ეკლესია ონოფრე გარეჯელს იხსენიებს.

დავით გარეჯის მონასტერი ლეკებმა ააწიოკეს. ამის გამო, მონასტრის წინამძღვრის დავალებით, ონოფრე მოწყალების სათხოვნელად წავიდა.

ცხინვალს რომ მიუახლოვდა, წმინდანის ყურადღება მშფოთვარე ბრბომ მიიჰყრო. ვიღაც ყმაწვილი ეშმაკეული შექმნილიყო და ურიებთან მიჰყავდათ მიზეზის გასაგებად. მამა ონოფრემ დავით გარეჯელის საფლავის მტვერი წყალში გაურია და ყმაწვილს დაალევინა. ავადმყოფი მყისვე განიკურნა.

ერთხელ გარეჯის მონასტერში მოვიდა არაბი, რომელსაც ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა და ონოფრეს გამოელაპარაკა. ღირსმა ონოფრემ დავით გარეჯელის წყლით მობანა მას სნეული თვალი. ორიოდე დღის შემდეგ მონასტერში მობრუნდა განკურნებული არაბი და მადლობა შესწირა უფალს და წმინდა ონოფრეს.



ოქტომბერი 1999

ხუთშაბათი

14

ძვ. სტილი 1 ოქტომბერი
ღვთისმშ. კეთილისა ხაუფლოისა და
ხვეჩისა მარონმდინარისა.
ყოველადწმიდა ღვთისმშობლის
ხატობა. მცხეთობა
ხვეტიცხოველობა.
მოწ. ხწ. მეფისა მირიანისა და
დედოფლისა ნინოსი.
წმ. ხიდონიისა და აბიათარ
მღვდლისა.
მოწ. ანანიასი (ხამეოცდაათიაკანისა).

ოქტომბერი 1999

პარასკევი

15

ძვ. სტილი 2 ოქტომბერი
წმ. დიდმოწ. არგვეთის-შთაეართა
დავით და კონსტანტინესი.
მღვდელმოწ. კვიპრიანესი და
იუსტინესი.
მოწ. თეოქტისტესი.
ცამეტრიტი დღე

ღვთისმშობლის საფარველი

კონსტანტინოპოლში (დღევანდელ სტამბულში) ვლაქერნის ტაძარში (კონსტანტინოპოლის ჩრდილოეთი მხარე) მეათე საუკუნეში ანდრია სალოსმა ღვთისმშობელი იხილა. ამ ტაძარში 477 წელს დაასვენეს ღვთისმშობლის კვარი, საფარველი (ამფორი) და სარტყლის ნაწილი. ღამის 4 საათზე ანდრია სალოსმა დაინახა ღვთისმშობელი მლოცველი. მან დაინახა, თუ როგორ აეხდა ტაძარს გუმბათი და მარიამთან ერთად გამოჩნდნენ იოანე ნათლისმცემელი, იოანე ღვთისმეტყველი და სხვა წმიდანები. ღვთისმშობელი დიდხანს ლოცულობდა, შემდეგ კი თავიდან საფარველი (ამფორა) მოიხსნა და მლოცველებს გადააფარა. უცნაური ხილვა ანდრიასთან ერთად ნეტარმა ეპიფანიამაც ნახა. ღვთისმშობლის წასვლის შემდეგ საფარველი უჩინარი გახდა, მაგრამ მლოცველებს მადლი დარჩათ. ეს დღესასწაული ქრისტიანებს ახსენებს, ვის უნდა მიმართონ უბედურების დროს და ვის გადაუხადონ მადლობა ამ უბედურებიდან გათავისუფლებისათვის. ღვთისმშობელო ქალწულო, დაგვიფარე ჩვენ ყოველდღე და ნუ მოგვაკლებ შენს ზრუნვას.



ოქტომბერი 1999

16

შაბათი

ძვ. სტილი 3 ოქტომბერი
მღვდელმოწ. დიონისე
არეოპაგელისა.
ღირ. იოანესი.

ოქტომბერი 1999

17

კვირა

ძვ. სტილი 4 ოქტომბერი
მე-20 კვირა სულიწმიდის
ყარდამოხსლიდან.
წმ. ეკდიკეს კათალიკოსისა.
მღვდელმოწ. იეროთეოზისა.

გრიგოლ ხანძთელი 18 (5) ოქტომბერი

ხანძთის უდაბნოში ცხოვრობდა ერთი მარტოდ მყოფი ბერი, რომელსაც ხუედიოსი ერქვა. ერთხელაც ამ ბერმა ჩვენება ნახა: იმ ადგილას, სადაც შემდგომ ხანძთის ეკლესია აშენდა, იხილა ნათლის ღრუბლებით გამოსახული ეკლესია, საიდანაც არაჩვეულებრივი სურნელება იფრქვეოდა და მოესმა ხმა, რომელმაც აუწყა: ამ ადგილზე აშენდება ეკლესია, მის მშენებლობას სათავეში ღვთის კაცი გრიგოლ მღვდელი ჩაუდგებაო. ამ კაცისა და მისი მოწაფეების სურნელება, როგორც საკმეველი, ისე მოაღწევს ღვთის წინაშეო. ლოცვების ჩვენებით გახარებული ხუედიოსი ყოველდღე ელოდა გრიგოლ ხანძთელის მოსვლას.

გრიგოლ ხანძთელი ნერსე ერისთავის ოჯახში გაიზარდა. დედის მუცელშივე შეწირული იყო ღვთისათვის. ბავშვობიდანვე ბერულად ცხოვრობდა. დღე და ღამე მარხულობდა, ხორცი და ღვინო არც კი გაესინჯა, ბევრს ლოცულობდა და სწავლობდა. ამის გამო მეგობრებმა „დაყუდებული" შეარქვეს.

როცა გაიზარდა, აღმზრდელებმა და მშობლებმა გრიგოლი მღვდლად აკურთხეს, ხოლო როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა განიზრახეს, გრიგოლი თავის მეგობრებთან ერთად გაიპარა უდაბნოში.

მოღვაწეობა გრიგოლმა ჯერ ოპიზის მონასტერში დაიწყო, სადაც ორი წელიწადი დაჰყო, ლოცვასა და მარხვას, მღვიძარებას სწავლობდა. შემდგომ ხანძთის



ოქტომბერი 1999

18

ორშაბათი

ძვ. სტილი 5 ოქტომბერი
ღირ. გრიგოლ ხანძთელისა.
მოწ. ხარიტინასი.

ოქტომბერი 1999

19

სამშაბათი

ძვ. სტილი 6 ოქტომბერი
წმ. ყოვლადქებულისა მოც.
თომასი.

უდაბნოში წავიდა, სადაც ბერ სუედიოსს შეხვდა, რომელმაც დიდი სიხარულითა და ლოცვით მიიღო და თავისი ხილვა უამბო.

მშენებლობის დაწყების წინ გრიგოლ ხანძთელმა გადაჰედა უკაცრიელ მიდამოს, სალ კლდეებსა და მთაგორიან უდაბნოს და ცოტა არ იყოს შეშინებულმა, მთელი გულითა და სულით აღავლინა ცრემლიანი ლოცვა უფლის წინაშე: "ჩემი უცხოობისა და მიუსაფრობის დროს ვერ შემაშინებს ბოროტი, რადგან შენ უფალი ჩემთან ხარ და როცა ჩამოკრავს მეორედ მოსვლის საშინელი ზარი, გევედრები შემეწიე მე, რომ დავთრგუნო ჩემი სიზარმაცე და წარვდგე შენს წინაშე მართალთა შორის"

გრიგოლ ხანძთელმა, ღმერთის შეწევნით, მეფეებისა და მთავრების მატერიალური დახმარებით, მრავალი ეკლესია-მონასტერი ააშენა, სადაც საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ-კულტურულ საქმიანობას. ამ მონასტრებში მრავალი ღვთის სასწაულიც აღესრულებოდა. წმინდა გრიგოლს ბევრი განუკურნავს უკურნებელი სენისაგან, მრავალჯერ გადაურჩენია და შეუფარებია თავის სენაკში მონადირეებისაგან დამფრთხალი გარეული ნადირი.

გრიგოლ ხანძთელი 102 წლისა გარდაიცვალა. იგი მოღვაწეობდა VIII-IX საუკუნეებში, არაბების ბატონობის დროს. სწორედ მისმა განუსაზღვრელმა ღვაწლმა ჩაუყარა საფუძველი ეროიანი საქართველოს იდეის განხორციელებას.



ოქტომბერი 1999

20

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 7 ოქტომბერი
ღირ. იოსებ ხუცისა.
მოწ. სერგისა და ბაქოსი.

ცამეტნაირი ლოდ

ოქტომბერი 1999

21

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 8 ოქტომბერი
ღირ. პელაგიასი.
ღირ. თაისიასი.

იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვირველმოქმედი (1763)

20 (7) ოქტომბერი

წმიდა იოსების შესახებ მწირი ცნობები არსებობს. ცნობილია, რომ იგი მოხევე იყო და იქვე მსახურობდა მღვდლად. მოხევეები, „კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი ახოვანნი, ჰაეროვანნი" ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით. იქაური ეკლესია-მონასტრები გვანცვიფრებენ თავიანთი სილამაზით. იქ თითქოს ეკლესიებსაც ისეთ ადგილებში აგებდნენ, სადაც მისვლაც კი აღმსარებლობას უტოლდებოდა. ხევის სიბმოლოა მყინვარი, რომლის კალთებზე არის აშენებული სამების მონასტერი, სადაც ერთ დროს ნინოს ჯვარი ესვენა (ახლა ის სიონის საპატრიარქო ტაძარში ასვენია კანკელის მარცხნივ). მყინვარზე ყინულებში გამოკვეთილია გამოქვაბული, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ იქიდან ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით შეიძლებოდა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, იქ მრავალი საკვირველება ინახებოდა. ამბობდნენ, რომ იქ იყო უფლის აკვანი და აბრაამის კარავი, მდგომი უსვეტოდ. დავით ბატონიშვილის ცნობით, იოსებ მოხევე ღვთის ნებით ავიდა მყინვარზე და კაცთაგან შეუვალ ადგილას იხილა კარავი და აკვანი



ოქტომბერი 1999

ხუთშაბათი

22

ძვ. სტილი 9 ოქტომბერი
წმ. მოც. იაკობ ალფეესისა.
ღირ. ანდროსიკესი.
მართლ. აბრაამ მამამთავრისა
და ძმისწულისა მისისა ლოთისა.

პარასკევი

ოქტომბერი 1999

23

შაბათი

ძვ. სტილი 10 ოქტომბერი
მოწ. ევლამპისა და ევლამპიასი.

აბრაამ მამამთავრისა და მიართვა მეფე ერეკლეს ნაჭერი კარვისა. „ანგელოზებრივი ცხოვრება მოიგე. ღმერთშემოსილო მამაო იოსებ და ანგელოზთა თანა უგალობ მეუფესა ყოველთასა, რომელსაცა ევედრე შეწყალებად ჩუენდა.” ამინ!

ლოცვა სადილის წინ

ერთ მდიდარ ოჯახში სადილად მღვდელი მიიწვიეს. მან შენიშნა, რომ მასპინძელი სადილის წინ არ ლოცულობდა და მხოლოდ მღვდლის გასაგონად წაიკითხა ლოცვა. მღვდელმა მასპინძელს სთხოვა, რომ მათ სადილ-ვახშმის წინ მომავალშიც ელოცათ. ორი წამის უხერხული სიჩუმის შემდგომ მასპინძელმა მღვდელს უთხრა: „სიტყვები, რომლებიც ყოველდღე უნდა გაიმეორო, კარგავენ ყოველგვარ აზრს” სანამ ამაზე მღვდელი პასუხს გასცემდა, მასპინძელს მისმა შვიდი წლის შვილიშვილმა უთხრა: „საყვარელო ბაბუა! მაშ არც მე უნდა გითხრა შენ ყოველ დილას ერთი და იგივე სიტყვები: დილა მშვიდობისა, ბაბუა” და ყოველ საღამოს: „საღამო მშვიდობისა, ბაბუა” კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა: მაშინ მღვდელმა ალერსით გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი და თქვა: „პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაითა დაამტკიცე ქებაი” (ფს. 13,2)

ნესტორ ყუბანეიშვილი



ოქტომბერი 1999

24

კვირა

ძვ. სტილი 11 ოქტომბერი
21-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მოც. ფილიპე დიაკონისა.
ღირ. თეოფანესი.

ოქტომბერი 1999

25

ორშაბათი

ძვ. სტილი 12 ოქტომბერი
მოწ. პროვისა.
დღესასწაული იერუსალიმის
ღვთისმშობლის ხატისა.

არგყეთის მთავარნი დავით და კონსტანტინე მხეიძეები (740)

15 (2) ოქტომბერი

მე-8 საუკუნეში, საქართველოში, მურვან-ყრუს შემოსევების დროს, არგვეთში მთავრობდნენ ძმები დავითი და კონსტანტინე მხეიძეები. ისინი ღვთის მოშიშნი და მოყვარულნი იყვნენ. როცა უსჯულოთ მოსვლა შეიტყვეს, შემწეობა სთხოვეს უფალს და შეკრიბეს ლაშქარი. ერს კი გაძლიერებული ლოცვები და ღამისთევები დაუდგინეს. პირველ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, გაბრაზებული მურვან-ყრუ კვლავ გამოემართა არგვეთისკენ და უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო ძმები - დავითი და კონსტანტინე. ტყვეები მურვან-ყრუს წარუდგინეს, რომელიც ცდილობდა, მაჰმადიანობისკენ გადაებირებინა ძმები. სასყიდლად პატივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდა. მაგრამ ძმები მხნედ იდგნენ თავიანთ სჯულზე. გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა, შიმშილითა და წყურვილით ეიძულებინათ ძმები. როცა არც ამ ათი დღის ტანჯვამ არ უშველა, ურჩი ქრისტიანები სიკვდილით დასაჯეს: ძმები წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელ-ფეხი



ოქტომბერი 1999

26

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 13 ოქტომბერი
დღესასწ. ივერიის ღვთისმშობლის
ხატისა (ფოთში).
მოწ. კარპესი.

ოქტომბერი 1999

27

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 14 ოქტომბერი
მოწ. ნაზარისა, გერვასისა,
პროტასისა და კელასისა.
სამარხო დღე

შეუკრეს. ყელზე ლოდები გამოაბეს და მდინარეში გადააგდეს. სიკვდილის წინ ძმებმა ილოცეს, რომ უფალს შეესმინა მათი სახელით აღვლენილი ლოცვები და მათი ნეშტისათვის სენთა განკურნება მიენიჭებინა. როცა წმიდანები წყალში გადაყარეს, ზეცით ხმა გაისმა, რომელიც მათი თხოვნის შესმენას ადასტურებდა. ზეციური ხმით შეშინებული მტარვალები გაიქცნენ. ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათელი სვეტი გარდამოვიდა და ტბას დაადგა. შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით, მოწამეებს საკვრელები შეეხსნათ და წმიდა ნაწილები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე ამოასვენეს. უცებ მათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა მოესმათ, რომ წაეყვანათ და დაეკრძალათ წმიდანნი. მოწამეთა წმიდა ნაწილები წყალწითელას ნაპირზე მდებარე მურვან-ყურს მიერ დარღვეულ ეკლესიაში დაკრძალეს. ეს ადგილი ბაგრატის (1072-1117) მეფობამდე დაფარული იყო. მისი ბრძანებით კი აქ მონასტერი აშენდა, სადაც დაასვენეს წმიდანთა უხრწნელი ნაწილები. მათ ღვთისგან კურნების მადლი მიიღეს და სულიერ და ხორციელ ტკივილებს უმსუბუქებდნენ მორწმუნეებს.



ოქტომბერი 1999

28

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 15 ოქტომბერი
ღირ. ექვთიმესი.
მოწ. ლუკიანე სუცისა.

ოქტომბერი 1999

29

პარასკევი

ძვ. სტილი 16 ოქტომბერი
ღირ. ლონგინოზ ასისთავისა.

ცამპრიზო ლოე

იგავი მოწყალე მეფეზე და ბოროტ მონაზე

მათე 18.27

ერთხელ უფალმა თქვა იგავი: ერთ მეფეს ჰყავდა მონა, რომელსაც ბევრი ფული ემართა მისი. მონას ფული არ ჰქონდა, ვალს ვერ იხდიდა და სთხოვა მეფეს, ეცლია მისთვის. მეფემ მოწყალება გამოიჩინა და მონას ვალი აპატია. მეფისაგან წამოსული მონა შეხვდა თავის ამხანაგს, რომელსაც მისი ცოტა ფული ემართა. მონამ დაიჭირა იგი და დახრჩობა დაუპირა, თუ ვალს არ გადაუხდიდა. აღარ ისმინა თავის ამხანაგის თხოვნა-ვედრება, ცემა და საპყრობილეში ჩააგდო. როცა მეფემ ეს შეიტყო, განრისხდა, ბრძანა შეეპყროთ ბოროტი მონა და საპატიმროში ჰყოლოდათ მანამ, სანამ ვალს არ გადაიხდიდა.

როცა ვცოდავთ, ჩვენ ღვთის წინაშე ვართ დამნაშავენი, როცა ვინანიებთ, უფალი გვპატიობს ცოდვებს, როგორც მოწყალე მეფემ აპატია მონას ვალი. მაგრამ ხშირად არ გვინდა შევუნდოთ იმას, ვინც ჩვენ გვაწყენინა. შეეცადეთ, გაიხსენოთ და ჩამოწეროთ, ვის აპატიეთ და ვის არა შეცოდებანი მისი.

ვაპატიე	ვერ ვაპატიე
_____	_____
_____	_____



ოქტომბერი 1999

30

შაბათი

ძვ. სტილი 17 ოქტომბერი
წმ. იოსებ კათალიკოსისა. ღირ.
ანდრია კრიტელისა.
წინასწარმეტყვ. ოსესი.

ოქტომბერი 1999

31

კვირა

ძვ. სტილი 18 ოქტომბერი
22-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. მოციქულისა და მახარებლისა
ლუკასი.
მოწ. მარინესი.

წმინდა იოსებ კათოლიკოსი
სასწაულმოქმედი 30 (17) ოქტომბერი

წმინდა იოსები (ჯანდიერაშვილი) მოღვაწეობდა დოდო გარეჯელის მონასტერში. იგი მღვდელმთავრად დაადგინეს რუსთავის კათედრაზე. ერთხელ მისი დიაკონი მუცლის სიმსივნით დაავადდა. როცა მღვდელმთავარმა ინახულა, უკვე სასიკვდილოდ იყო გადადებული. წმინდა იოსებს შეებრალა ავადმყოფი, მიატოვა და სამლოცველოში განმარტოვდა სალოცავად. მხურვალე ლოცვის შემდეგ, ავადმყოფთან დაბრუნდა. განაცხადა, რომ ამ სენის წამალი თხილის ჯოხის ნახშირიაო. შეაგდო ცეცხლში თავისი გამოთლილი კვერთხი, გამოწვა, გამოაცალა ნახშირი, პირჯვარი გადასწერა და სნეულს მიართვა. სიმსივნე იმწუთსავე დაცხრა, მესამე დღეს კი ავადმყოფი საერთოდ განიკურნა. ეს ყველაფერი წმინდა იოსებმა იმიტომ გააკეთა, რომ კაცთაგან დიდებას ერიდებოდა.

1755 წელს იოსები კათალიკოსად აირჩიეს ანტონ I-ის მაგივრად. მიუხედავად კათალიკოსობისა ყოველ ღამე დგებოდა, განმარტოვდებოდა და ლოცულობდა. 1764 წელს წმინდა იოსებმა გრიგოლ ღვთისმეტყველის მსგავსად, სიმდაბლით დატოვა კათალიკოსის ტახტი და ახმეტაში წავიდა. მონაზვნური ცხოვრებით ცხოვრობდა, ლოცვით კურნავდა ავადმყოფებს, ბრმებს.

იოსები 1770 წელს გარდაიცვალა.



ნოემბერი 1999



1

ორშაბათი

ძვ. სტილი 19 ოქტომბერი
წინასწარმეტყვ. იოელისა.
ნეტ. კლეოპატრასი.

ნოემბერი 1999

2

სამშაბათი

ძვ. სტილი 20 ოქტომბერი
დიდმოწ. არტემისა.



გმადლობთ შენ ღმერთო!

თავისი ნათლობის შემდეგ იესო ქრისტე გავიდა უდაბნოში, სადაც ორმოცი დღე მარხულობდა. შემდეგ უფალმა დაიწყო მიმოსვლა ქალაქებსა და სოფლებში, უცხადებდა ღვთის სასუფევლის შესახებ და მოუწოდებდა სინანულისაკენ. მან მრავალი სასწაული მოახდინა, ანუგეშებდა, ეხმარებოდა, კურნავდა სნეულთ, უმსუბუქებდა მათ ტანჯვას. ამ სასწაულებში ვლინდებოდა მისი ღვთაებრივი ძალა და სიყვარული ადამიანებისადმი. ერთხელ, უფალმა მძიმე სენისაგან განკურნა ათი კეთროვანი. ისინი განიწმინდნენ, მაგრამ მადლობის სათქმელად უფალთან მხოლოდ ერთი მათგანი დაბრუნდა. უფალმა დაინახა რა იგი, თქვა: განა ათი ადამიანი არ განიკურნა, სად არის ცხრა დანარჩენი, რატომ არ დაბრუნდნენ, რომ ღმერთს მადლობა შესწირონ?

ჩვენ ხშირად ვთხოვთ ღმერთს დახმარებას და მივიღებთ რა შეწევნას მისგან, გვავიწყდება, რომ ყველაფერი კეთილი ღმერთისგანაა. აი, მაგალითად, საკვები—მისთვისაც მადლიერი უნდა ვიყოთ ღვთისა. მოდით, ვისწავლოთ მოკლე ლოცვა და საკვების მიღების შემდეგ წარმოვთქვათ იგი, პირჯვრის გადაწერით: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!"



ნოემბერი 1999



ოთხშაბათი

ძვ. სტილი 21 ოქტომბერი
ღირ. ილარიონ დიდისა.

ცამეტრიტი ლოდ

ნოემბერი 1999

ხუთშაბათი.

ძვ. სტილი 22 ოქტომბერი
მოც. სწორისა ამბერკისა.
წმ. შვიდთა ყრმათა ეფესელთა.

წმიდა სამების ლოცვა

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ! უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი. წმიდაო, მოიხილენ და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.”

ღმერთი ყოვლად კეთილი და უცოდველი არსებაა და ამიტომ წმიდა („წმიდაო ღმერთო”). ყველაფერი შეუძლია და ამიტომ ძლიერია („წმიდაო ძლიერო”), უსხეულო სულია და ამიტომ უკვდავი („წმიდაო უკვდავო”), ამიტომ ვადიდებთ მას, როგორც სამსახოვანს („დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა”), და ვითხოვთ სამების მოწყალებას („შეგვიწყალენ ჩვენ”). ცოდვების მიტევებას („მეუფეო შეგვინდევ უსჯულოებანი .ჩვენნი”), ცოდვების შემსუბუქებას და ლხენას („უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან”), ყოველივე სნეულებასა და სისუსტისაგან განკურნებას („განკურნენ უძლურებანი ჩვენნი”) მისი სიკეთისა და მოწყალების გამო და არა ჩვენი ღვაწლისათვის („სახელისა შენისათვის”).



ნოემბერი 1999



5

პარასკევი

ძვ. სტილი 23 ოქტომბერი
წმ. მოც. იაკობისა ხორციელად ძმისა
უფლისა.

ცამეტრიტი დღე

ნოემბერი 1999

6

შაბათი

ძვ. სტილი 24 ოქტომბერი
დიმიტრის შაბათი.
მიცვალებულთა ხსენება. მოწ.
არეთასი
და მისთანა 4299 მოწამეთა.



წმინდა მღვდელმოწამე ნეოფიტე
ურბნელი 10 (28.10) ნოემბერი

VII საუკუნეში არაბი ამირა მუმნის ბრძანებით, ქართლს სარდალი აჰმადი შემოესია და მთელი საქართველო დალაშქრა. სპარსი მეომრები შიო მღვიმის მონასტერს მოადგნენ, სურდათ მისი აოხრებაც, მაგრამ მტკვარზე საღმრთო ძალამ არ გადმოუშვა. ეს სასწაული აჰმადს მოახსენეს, რომელმაც მონასტერში თავისი მხედართმთავარი ომარი გაგზავნა და თან დიდძალი შესაწირი გაატანა ბერებთან.

მონასტრის ბჭესთან მისულმა ომარმა იხილა „სიმრავლეი უხორცოთა (ანგელოზი) მხედართა" და მათ შორის მომავალი მოხუცებული ბერი სასწაულებრივი ნათლით გაბრწყინებული. ომარი მიხვდა, რომ უცხო მხედარნი ანგელოზები იყვნენ, მოხუცი მონაზონი კი მონასტრის წინამძღვარი შიო მღვიმელი.

ამ სასწაულის მნახველმა ომარმა დატოვა მამული, სამსახური, სიმდიდრე და შიო მღვიმის



ნოემბერი 1999



კვირა

ძვ. სტილი 25 ოქტომბერი
23-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მოწ. მარკიანესი და მარტვირისა.
მართლ. ტაბითასი.

ნოემბერი 1999



ორშაბათი

ძვ. სტილი 26 ოქტომბერი
დიდმოწ. დიმიტრი
თესალონიკელისა.
მღვდელმოწ. ალექსანდრესი,
გურიისა
და სამეგრელოს ეპისკოპოსისა.
ღირ. ათანათესი.



მონასტერში ბერად აღიკვეცა. მასთან ერთად მოინათლა მისი ორი მონა. ნათლისღების შემდეგ ომარს ნეოფიტე (ახალი ნერგი) უწოდეს, ხოლო მის მონებს კი-ქრისტოლოსი (ქრისტეს მონა) და ქრისიფოროსი (ქრისტეშემოსილი).

ღვთის განგებით წმინდა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსი გახდა. ყველას აკვირვებდა მღვდელმთავრის სიბრძნე და ერთგულება. გამუდმებულ ღვაწლში ატარებდა ცხოვრებას: სნეულთ კურნავდა, შეცდომილს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცევდა.

არაბები ვერ შეეგუენ ნეოფიტეს საქმიანობას. ერთხელაც ლოცვის დროს კელიიდან გამოათრიეს და ქვებით ჩაქოლეს, როგორც სტეფანე პირველმოწამე.



ნოემბერი 1999



ცამეშვიდეთი

ძვ. სტილი 27 ოქტომბერი
მოწ. ნესტორისა.
მოწ. კაპიტოლინასი.

ნოემბერი 1999

ოთხეშვიდეთი

ძვ. სტილი 28 ოქტომბერი
მღვდელმოწ. ნეოფიტე
ურბნელისა.
მოწ. ტერენტისა.



ცამეტრეტი დღე

სერაპიონ ზარზმელი

11 (29.10) ნოემბერი

ერთხელ, როცა კლარჯეთის უდაბნოს ბერი დიდი მიქაელ პარეხელი სალოცავად იდგა, იხილა მღვდლის სამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც უბრძანა, რომ მიქაელს მისი მოწაფეები სერაპიონი და იოანე სამცხეში გაეშვა, სადაც მათ ღვთის მიერ შერჩეულ ადგილზე მონასტერი უნდა აეგოთ. ამ ხილვის შემდეგ მიქაელ პარეხელმა დაიბარა თავისი მოწაფეები, ამცნო ღვთის ნება და შორეული მგზავრობისთვის მოამზადა. სერაპიონს არ სურდა მოძღვრის დატოვება, ამიტომ ჩაუვარდა მას ფეხებში და უხმოდ ეგდო მანამდე, სანამ მიქაელმა არ ააყენა და უთხრა: „უნდა წახვიდე, რადგან შეუძლებელია, საღმრთო ბრძანებას არ დაემორჩილო, რომ არ მოაკლდე მორჩილების სათნოების გვირგვინს, გაემზადე სამოგზაუროდ, თან წაიყვანე შენი ძმა იოანე და ოთხი სხვა ბერი." ასეთი სიტყვების შემდეგ სერაპიონმა და მისმა ძმებმა აღარ იკადრეს მოძღვრის ურჩობა და გაუდგნენ გზას. წინ წაიძღვარეს ფერისცვალების ხატი, საგზლად კი მოძღვრის ლოცვა-კურთხევა.

დიდხანს ეძიებდნენ ღვთისგან მონიშნულ ადგილს. სიარულისგან ბერებს ფეხის გულები დაუსკდათ, ტანისამოსი შემოეფლითათ. სერაპიონმა და მისმა ძმებმა ბოლოს მიაგნეს კიდეც ამ ნიშანს, ადგილობრივმა მოსახლეობამ იფიქრა, ბერები მიწებს წაგვართმევენო და გამოყარა ისინი. სერაპიონმა იწინასწარმეტყველა ამ



ნოემბერი 1999



11

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 29 ოქტომბერი
ღირ. სერაპიონ ზარზმელისა.
მოწ. ანასტასიასი.

ნოემბერი 1999

12

პარასკევი

ძვ. სტილი 30 ოქტომბერი
წმ. იოათამ ზედგენიძისა.
მღვდელმოწ. ზინობისა.

ცამტრიხო ლოე



ადგილს კარგი დღე არ მოელისო. მართლაც შუა ღამეს ძიწა იძრა, კლდე გაიპო, სათახვის მღვრიე ტბა გადმოდინდა და მთლიანად წალეკა სოფელი. ცოცხალი მხოლოდ ორი ძმა გადარჩა. შიშით თავზარდაცემულმა ხალხმა ამ ადგილს ზარზმა უწოდა.

– სერაპიონმა და მისმა ძმებმა ლოცვით შეარჩიეს ადგილი და ააშენეს მონასტერი. ძალიან დიდი დახმარება გაუწია ძმებს ამ ქვეყნის მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, კაცმა მორწმუნემ და კეთილმა.

ზარზმის მონასტერს სერაპიონის მადლი მისი გარდაცვალების შემდგომაც ეწეოდა. იყო ერთი კაცი, რომელიც გამუდმებით ეხვეწებოდა წმინდანს, მიეღო მისგან შემოსაწირი და აღეკვეცა ბერად. სერაპიონი კი ყოველთვის უკან აბრუნებდა, ჯერ არ არის ამის დროო. ერთხელაც მოვიდა და წმინდანი მკვდარი დახვდა. საფლავიდან ფეხი არ მოიცვალა, სანამ ბერად არ აღკვეცეს. კაცი სოფელში რომ დაბრუნდა, აიღო თავისი შესაწირი და მონასტერში წავიდა. გზაში მდევარი გამოუდგა, ბატონს არ სურდა მისი დაკარგვა. კაცმა მდევარს მონასტერში შეასწრო, შესაწირი კი სერაპიონის საფლავზე დააგდო. მდევარმა ვერც კაცი იპოვა და ვერც ევლოგია (შესაწირი). შემოწირული განძი წმინდა სერაპიონის საფლავში, მის თავქვეშ ინახებოდა მანამდე, სანამ ტაძრის განახლება არ დაიწყეს.

ასეთი სასწაულით აღუსრულა წმინდა სერაპიონმა კაცს სურვილი და ევლოგიაც შეიწირა, მონასტერი მისი მეოხებით ძლიერდებოდა.



ნოემბერი 1999



შაბათი

13

ძე. სტილი 31 ოქტომბერი
ხს. წმინდა 100 000 მოწ.
თბილისს
ხვარაზმელთაგან წამებულთა.
მოც. სტაქოს და აპოლოსი
(სამეოცდათთაგანთა).
მოწ. ეპიმაქოსი და ღირ.
მავრასი.

ნოემბერი 1999

14

კვირა

ძე. სტილი 1 ნოემბერი
24-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. უფერცხლოთა
მკურნალთა კოზმა და
დამიანესი.



ასი ათასი (100 000) წმიდა მოწამე თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულნი (1227) 13 (31.10) ნოემბერი

წმიდა თამარის (ხს. 14 მაისს და მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს) გარდაცვალების შემდეგ საქართველოში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული რუსუდანი განაგებდა. გარნისთან გამართულ ომში მტერმა სძლია ქართველთა რაზმს. ნახჭევანში დამკვიდრებულმა ჯალალედინმა რუსუდანის ცოლობა ითხოვა და უარი რომ მიიღო, თბილისისკენ დაიძრა. თბილისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს და ქალაქის მტერს კარი გაუღეს. მტერმა საშინლად ააოხრა ქალაქი, მრავალი ადამიანი დახოცეს. სულთანმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა. ჯალალედინის ბრძანებით, სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს ხატები დაეთრგუნათ და რჯული დაეტოვებინათ. ვინც ამას არ აღასრულებდა, თავის მოკვეთა ელოდა. ასი ათასი ქართველი შეეწირა იმ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას.



ნოემბერი 1999



15

ორშაბათი

ძვ. სტილი 2 ნოემბერი
მოწ. აკვინტინესი, პილასი.
აფთონისა და სხვათა.

ნოემბერი 1999

16

სამშაბათი

ძვ. სტილი 3 ნოემბერი
ღირ. ნიკოლოზ
ქართველთა მნათობისა.
მოწ. აკეფსიმესი.



წყალზე სიარული

სახარებიდან ვიგებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ახდენდა სასწაულებს, რომლებიც გვიჩვენებს მის ძალაუფლებას ბუნებაზე და განამტკიცებს ადამიანების რწმენას. ერთხელ, მისი მოწაფეები ზღვაზე ნავით მიცურავდნენ. ამოვარდა ქარი და ნავი ტალღებში აღმოჩნდა. მაცხოვარი წყლით მივიდა ნავთან, როგორც მიწაზე. მოწაფეებს შეეშინდათ, მოჩვენება ეგონათ, მაგრამ იესომ მიმართა მათ: გამხნევდით, ეს მე ვარ! პეტრემ, ერთ-ერთმა მოწაფემ უთხრა: უფალო, თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე მივიდე შენთან წყალზე. მან უპასუხა: მოდი! პეტრე წავიდა, მაგრამ შეეშინდა ძლიერი ქარის და ჩაძირვა დაიწყო. უფალმა ხელი გაუწოდა და უთხრა: მცირედმორწმუნეო, რატომ დაეჭვდი?

ჩვენც ხშირად გვემართება ასე: თუ მთელი გულით გვწამს ღმერთისა, უფალი გვიფარავს და წინ წაგვიძღვება. მაგრამ, თუ შევეჭვდებით რწმენაში, ცხოვრებაში დაბრკოლებები გვსვდება, ჩნდება ჩხუბი, გაბრაზება... აი, სწორედ მაშინ გვინდა ღმერთის დახმარება.



ნოემბერი 1999



17

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 4 ნოემბერი
წმ. და მართლ. იოანე, სტეფანე
და ესაია ქართველთა.

ცამეტობა დღე

ნოემბერი 1999

18

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 5 ნოემბერი
მოწ. ვალაკტიონისა და
ეპისტიმიასი.
წმ. გრიგოლისა.

ისე წილკნელი 15 (2) დეკემბერი

წმინდა ისე წილკანში მოღვაწეობდა. იგი მრავალ სასწაულს ახდენდა: სნეულებს კურნავდა, კეთროვანთ განწმენდდა, დავრდომილს ხელის შეხებით აღადგენდა.

ერთხელ იოანე ზედაზნელმა მოინდომა ენახა სულიერების რა საზომს მიაღწიეს მისმა მოწაფეებმა. ამიტომ თავისთან დაიბარა წილკნის ეპისკოპოსი ისე და შიო მღვიმელი. თვითონ იოანემ წყლით სავსე ჭიქა ჰაერში გააჩერა. შიო მღვიმელმა საკმეველი ხელზე გააღვივა. ისემ კი იოანე ზედაზნელი და შიო მღვიმელი ქსნის ნაპირზე ჩაიყვანა, მოძღვრის კურთხევით გადასახა მდინარეს ჯვარი, კვერთხი შეახო და იესოს სახელით უბრძანა: უკან მომყევიო. მდინარემ კალაპოტი შეიცვალა და ღირსი ისეს კვერთხს წილკნის საყდრამდე გამოჰყვა. ამ სასწაულმა მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.



ნოემბერი 1999



19

პარასკევი

ძვ. სტილი 6 ნოემბერი
წმ. პაულესი. ღირ ლუკასი.

ცამეტრიტი ღოე

ნოემბერი 1999

20

შაბათი

ძვ. სტილი 7 ნოემბერი
33 მელიტინელ მოწამეთა.
ღირ. ლაზარესი.

დიდმოწამე გიორგი 23 (10) ნოემბერი

წმინდა გიორგი წარმოშობით კაბადოკიელი იყო. მდიდარი, წარჩინებული და ქრისტიანი ოჯახის შვილი რომაელი იმპერატორის, დიოკლიტიანეს ჯარის მთავარსარდალი იყო. იმპერატორი დიოკლეტიანე სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს და გარკვეულ პერიოდამდე გიორგი მალავდა თავის სარწმუნოებას.

ერთხელ იმპერატორმა ბრძანება გასცა, ვინც ქრისტეს სჯულს უარყოფდა, მისთვის დიდძალი სიმდიდრე მიეცათ, ხოლო ის ვინც კერპებს უარყოფდა, სიკვდილით დაესაჯათ. მაშინ წმინდა გიორგი მივიდა მეფესთან, აღიარა ქრისტიანობა და დამსწრეთა წინ ამხილა იგი ქრისტიანთა დევნის უსამართლობაში. მეფემ ჯერ გიორგის მოსყიდვა სცადა, როცა ვერაფერს გახდა, ბრძანა, სასტიკად ეწამებინათ იგი.

პირველად გიორგი თავდაყირა დაკიდეს და სურდათ მისთვის მუცელი გაეფატრათ. შეეხო თუ არა მის წმინდა სხეულს ლახვარი, იმწამსვე უკუიქცა.

იმპერატორმა და მისმა მეგობრებმა ახალი სასჯელი მოიფიქრეს: ურმის თვალზე დაამაგრეს



ნოემბერი 1999



კვირა

21

ძვ. სტილი 8 ნოემბერი
25-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
კრება წმინდისა
მთავარანგელოზისა მიქაელისა
და სხვათა უსორცოთა ზეცისა
ძალთა.

ნოემბერი 1999

ორშაბათი

22

ძვ. სტილი 9 ნოემბერი
მოწ. ონისიფორესი და
პორფირესი.
ღირ. მატრონასი.
ღირ. თეოკტისტესი.



ორლესული დანები, წმინდანი ამ უცნაურ ბორბალზე დააკრეს. ურმის თვალი ტრიალებდა და ნაჭერ-ნაჭერ იჭრებოდა წმინდა გიორგის სხეული; მეფე კი ხალხს ეკითხებოდა: „სად არის გიორგის ღმერთი? თუ ის ღმერთია, რატომ არ დაიხსნის მას ჩვენი ხელიდანო?" ამის შემდეგ კი ბრძანა, რომ არ ჩამოეხსნათ წმინდანის სხეული ურმის თვლიდან, რათა ყველას დაენახა, რა მოელოდათ ქრისტიანებს.

როცა გათენდა, ზეციდან სიტყვები მოისმა: „მხნედ იყავი გიორგი და ნუ დაეჭვდები, რადგან მრავალი მოექცევა შენი შემხედვარეო." ზეციურმა ხმამ მცველები ისე შეაშინა, რომ გაიქცნენ. მოვიდა გიორგისთან უფლის ანგელოზი, გაათავისუფლა, განკურნა და გაამხნევა. მეორე დღეს უვნებელი წარსდგა გიორგი დიოკლიტიანეს წინაშე. ამ სასწაულით მრავალმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი, მათ შორის იყო დედოფალი ალექსანდრაც (იმპერატორ დიოკლიტიანეს მეუღლე).

ეს სასწაული ერთ-ერთი ეპიზოდია წმინდა გიორგის მოწამეობრივი აღსასრულისა, რომელიც 303 წლის 23 (10) ნოემბერს მოხდა.

წმიდა დიდმოწამე გიორგი ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული წმიდანია მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის. იგი მიჩნეულია მეომართა



ნოემბერი 1999



ხუთშაბათი

23

ძვ. სტილი 10 ნოემბერი
წმ. დიდმოწ. და
ძლევაშემოსილისა
გიორგისა,
კონსტანტინე ქართველთა
მთავარისა.
მოც. ერასტოსა და სხვათა
(სამეოცდათთაგანთა).

ნოემბერი 1999

24

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 11 ნოემბერი
დიდმოწ. მინასი.
ღირ. თეოდორე
სტუდიელისა.



ხამარხო დღე

მფარველად, მიწათმოქმედების სამუშაოებში დამხმარედ. არსებობს მრავალი გადმოცემა იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც წმიდა გიორგიმ სიკვდილის შემდეგ აღასრულა.

ერთ-ერთი მათგანი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქალაქ ბეირუთში მოხდა. ამ ქალაქის ტბას საშინელი ურჩხული შემოჩვეოდა და ხალხს კლავდა. ვერავინ სძლია გველეშაპს. ბეირუთის მმართველმა გადაწყვიტა, წარმართი ღმერთებისთვის მსხვერპლად შეეწირა ქალაქის მცხოვრებთა ბავშვები და ყოველდღე ქალ-ვაჟი მიჰყავდათ ურჩხულისთვის. ბოლოს მეფის ასულის რიგიც დადგა. როცა იგი ტბასთან მიიყვანეს, უეცრად თეთრ ცხენზე ამხედრებული მშვენიერი ჭაბუკი გამოჩნდა. მან დაამარცხა ურჩხული ისრით და გადაარჩინა მეფის ასული. ბეირუთის მცხოვრებლებს კი უთხრა, ერწმუნათ ქრისტე ღმერთი, რადგან მისგან იყო გამოგზავნილი. ქალაქ ბეირუთის მცხოვრებლებმა მიიღეს ქრისტიანობა და უზარმაზარი ეკლესია ააგეს მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის სახელზე. სწორეს ეს ხატი გამოისახება ხოლმე ხშირად ქრისტიანულ ტაძრებში.

წმიდა გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმ. გიორგი ხილულადაც იბრძოდა



ნოემბერი 1999



25

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 12 ნოემბერი
წმ. იოანე მოწყალისა.
წინასწარმეტყვ. აქაიასი.

ნოემბერი 1999

26

პარასკევი

ძვ. სტილი 13 ნოემბერი
წმ. იოანე ოქროპირისა.
მოწ. ანტონინესი,
ნიკიფორესი და გერმანესი.



ცამეტრიტი დღე

ქართველთა ლაშქარში. წმიდა გიორგის პატივისცემის გამო, საქართველოს ევროპულ ქვეყნებში „გეორგიას" ეძახიან, ჩვენთან უამრავი ეკლესიაა მის სახელზე აშენებული.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს ზეიმობდნენ გიორგობას, ეს წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან და საქართველოში არსებული წმიდა გიორგის 365 ტაძრის არსებობასთან არის დაკავშირებული.

23 (10) ნოემბერს აღინიშნება წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა და განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას.



ნოემბერი 1999



შაბათი

27

ძვ. სტილი 14 ნოემბერი
მოც. ფილიპესი.
წმ. გრიგოლ პალამასი.
მართლმორწმუნე მეფისა
იუსტინიანესი
და დედოფლის თეოდორასი.
აღება შობის მარხვისა.

ნოემბერი 1999

კვირა

28

ძვ. სტილი 15 ნოემბერი
26-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
მოწ. გურიასა, სამონასი და აბიბოსი.
მოწ. დიმიტრისა.
ლირ. პაისისა.
დასაწყისი
ქრისტეშობის
მარხვისა.



ილარიონ ქართველი,
სასწაულთმოქმედი 2 (19.11) დეკემბერი

მრავალი სასწაულია დაკავშირებული ილარიონ ქართველის სახელთან. იგი დედის მუცლიდან ღვთისათვის იყო შეწირული. 6 წლიდან მონასტერში იზრდებოდა. ილარიონი მხიარული ბუნების გამო დაარქვეს.

15 წლის ასაკში ილარიონი მარტო დაეყუდა დავით გარეჯის მონასტრის ერთ-ერთ გამოქვაბულში. რუსთაველმა ეპისკოპოსმა მისი სულიერება რომ იხილა, იძულებით აკურთხა მღვდლად.

ილარიონ ქართველი ყოველთვის მარტოობას ეძებდა, გაურბოდა ბევრ ხალხსა და ცუდდიდებას. როცა ქართლში ძალიან გაითქვა მისი სახელი, იგი თავისი ორი მოწაფით საბერძნეთში წავიდა, ულუმბოს მთაზე ღვთისმშობლის პატარა, მიტოვებულ ეკლესიაში დასახლდა. ერთ დღესაც მახლობელი მონასტრიდან მონაზონი მოვიდა კანდელის ასანთებად. უცხო ძმები რომ დაინახა, საჭმელი მოურბენინა. წმინდა ილარიონმა მას ზედაშე (ღვინო, რომელსაც საიდუმლოს აღსრულებისათვის ხმარობენ ეკლესიაში) და სეფისკვერი სთხოვა, რადგან ჟამის-წირვის აღსრულება სურდა. კეთილმა მონაზონმა სიხარულით შეასრულა წმინდანის



ნოემბერი 1999



29

ორშაბათი

ძვ. სტილი 16 ნოემბერი
წმ. მოციქულისა და მახარებლისა
მათესი.

ცაშობათ მარხვა

ნოემბერი 1999

30

ცამშაბათი

ძვ. სტილი 17 ნოემბერი
დიდმოწ. მიქაელისა.
წმ. გრიგოლისა.

ცაშობათ მარხვა



თხოვნა. შემდგომ კი წავიდა და თავისი მონასტრის მამასახლისს მოუყვა უცხოელი ძმების ჩამოსვლის ამბავი. მამასახლისმა ახალმოსულ ძმებს მონასტრიდან გაგდება დაუპირა. ილარიონმა მხოლოდ ერთი ღამე ითხოვა დასარჩენად. ღამე მამასახლისს თვით ღვთისმშობელი გამოეცხადა და გაუბრაზდა იმის გამო, რომ ცუდად მოექცა ძმებს. მთელი ღამე ტირილში გაატარა მონასტრის წინამძღვარმა, გამთენიის ხანს კი ბერებთან გაიქცა, ფეხებში ჩაუვარდა მათ, შენდობას ითხოვდა და ევედრებოდა, არასოდეს დაეტოვებინათ ეს ადგილები. ამიერიდან ილარიონს და მის ძმებს მამასახლისის ნათესავი ემსახურებოდა, რომელიც კოჭლი იყო. მას მოჰქონდა ბერებისათვის საჭმელი, სეფისკვერი და ზედაშე. ერთხელაც, მსახურს ფეხი გადაუტრიალდა და ტირილით მივიდა ილარიონთან, რომელსაც ძალიან შეებრალა საწყალი, საუფლო კანდელიდან ზეთი სცხო და განკურნა.

წმინდა ილარიონ ქართველი განსაკუთრებით კურნების მადლით გამოირჩეოდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი, ვინც რწმენით მივიდოდა წმინდანის საფლავთან, უკან ჯანმრთელი ბრუნდებოდა.

წმინდა ილარიონი ჯერ თესალონიკში იყო დაკრძალული. საბერძნეთის იმპერატორმა ბასილმა გადაწყვიტა, ილარიონ ქართველის სახელზე



დეკემბერი 1999

1

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 18 ნოემბერი
მოწ. პლატონისა.
მოწ. რომანოზისა.

ცაშობათ მარხვა

დეკემბერი 1999

2

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 19 ნოემბერი
ღირ. ილარიონ ქართველისა.
წინასწარმეტყვ. აბდიასი.

ცაშობათ მარხვა

მონასტერი აეშენებინა, სადაც მის წმინდა ნაწილებს შეინახავდნენ. მანამდე კი სიწმინდე თესალონიკიდან წამოიღეს და სასახლეში დაასვენეს. მესამე ღამეს მეფე სასწაულმა სურნელებამ გააღვიძა, რომელიც ვერ დაადგინა საიდან მოდიოდა. როცა მიერულა (ჩაიძინა), წმინდანი გამოეცხადა და უთხრა: ეს სურნელება უდაბნოში გამუდმებული ღვაწლის შედეგად მოვიპოვეო, ამიტომ გთხოვ, უდაბნოში ამიგო ტაძარიო.

ილარიონ ქართველის საპატივცემულოდ მეფემ ქართველებისათვის რომანას მონასტერი ააგო, სადაც წმინდანის ნაწილები დაასვენეს.

დეკემბერი 1999

პარასკევი

3

ძვ. სტილი 20 ნოემბერი
წინადღესასწაული ღვთისმშობლის
ტაძრად მიყვანებისა.
ღირ. გრიგოლ დეკაპოლელისა.
წმ. პროკლე კონსტანტ. პატრ.

ცისმობელი მსრბენელ

დეკემბერი 1999

შაბათი

4

ძვ. სტილი 21 ნოემბერი
ტაძრად შიყვანება
ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.

ცისმობელი მსრბენელ

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

როცა მარიამს სამი წელი შეუსრულდა, მისმა მშობლებმა იოაკიმემ და ანნამ გადაწყვიტეს შეესრულებინათ ღმერთისათვის მიცემული აღთქმა და პატარა მარიამი ანთებული სანთლებით ხელში იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. აქ მას მღვდელთმთავარი ზაქარია გამოეგება და უფლის შეგონებით მარიამი წმიდათა წმიდა საკურთხეველში შეიყვანა, სადაც მხოლოდ თვითონ მღვდლემთავარს შეეეძლო შესვლა წელიწადში ერთხელ. ტაძარში მყოფნი გაოცებას ვერ ფარავდნენ ამ მოვლენის გამო. ყოვლადწმიდა მარიამი ტაძარში დატოვეს მშობლებმა, თავად კი სახლში დაბრუნდნენ. ტაძრის გარშემო მრავალი სამყოფელი იყო, სადაც ღვთისმსახურნი ცხოვრობდნენ. ყოვლადკურთხეული მარიამი ქალწულთა სამყოფელში დარჩა, რომელიც ტაძარშივე მდებარეობდა. აქ იგი ლოცულობდა მხურვალედ და კითხულობდა საღმრთო წერილის წიგნებს. იგი ისე შეეჩვია ამ წმიდა ცხოვრებას, რომ ღმერთს აღუთქვა, მუდამ ქალწულად დარჩენილიყო. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას ეკლესია დღესასწაულობს (4) ახალი სტილით 21 ნოემბერს.



დეკემბერი 1999

ხუთშაბათი

5

ძვ. სტილი 22 ნოემბერი
27-ე კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან
ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად
მიყვანების
შემდგომი დღესასწაული.
მოც. ფილიმონისა და არქიპოსი.
კეთილმორწ. მიხეილ ტვერელისა.
ცისფერი მარხვა

დეკემბერი 1999

ორშაბათი

6

ძვ. სტილი 23 ნოემბერი
წმ. მოწ. არქიმადრიტ გრიგოლისა,
ოსვენციმის ბანაკში აღსრულებულისა.
წმ. ამფილოქესი.
წმ. გრიგოლისა.
კეთილმორწმუნე ალექსანდრე ნეველისა.

ცისფერი მარხვა

არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე) ოსკვენციმის ბანაკში აღსრულებული (1942) 6 (23..11) დეკემბერი

გრიგოლ ფერაძის მამა, რომანოზი მღვდელი ყოფილა. გრიგოლმა სასულიერო განათლება თბილისში მიიღო. სწავლა განაგრძო გერმანიაში, სადაც თეოლოგიასა და აღმოსავლურ ენებს ეუფლებოდა. 1927 წელს სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში. იმავე წელს დაინიშნა ბონის უნივერსიტეტის პრივატდოცენტად, სადაც კითხულობდა ლექციებს ქართულ და სომხურ ლიტერატურაზე. 1932 წელს იგი მიიწვიეს ოქსფორდში ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. 1931 წელს გრიგოლი ბერად აღიკვეცა, მღვდელ-მონაზონის ხარისხიც მიიღო და პარიზის ქართულ ეკლესიაში დაინიშნა მოძღვრად. 1932 წლიდან იგი აირჩიეს მართლმადიდებელი სასულიერო სკოლის პროფესორად ვარშავაში. ფერაძე ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. მთელ თავის სახსრებს ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში,



დეკემბერი 1999

7

ცისფერი

ძვ. სტილი 24 ნოემბერი
დიდმოწ. მერკვერისა. დიდმოწ.
ეკატერინესი.

ცისფერი მარხვა

დეკემბერი 1999

8

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 25 ნოემბერი
წარგზავნა ღვთისმშობლის ტაძრად
მიყვანების დღესასწაულისა.
მღვდელმოწ. კლიმენტისა და პეტრე
ალექსანდრიელისა.

ცისფერი მარხვა

ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისთვის ცნობების მოძიებას. მისი შრომით ბევრი ქართული ხელნაწერი იქნა აღმოჩენილი, ორი თვისება: შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა ახასიათებდა მამა გრიგოლ ფერაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე. ქართულმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის შესახებ, არ იცოდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გატანილი საქართველოს ეკლესიის განძეულობა, როდესაც მას შენახვის ვადა გაუვიდა, ფაშისტების კონფისკაციას გრიგოლ ფერაძის წყალობით გადაურჩა. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა, რომ იგი არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა; ქართულმა საზოგადოებამ არ იცოდა ისიც, რომ მისი დაარსებულია წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში და სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". 1942 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. მის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძვირფასი ძველი ხელნაწერი, რომელზეც იგი მუშაობდა, ასევე, ძვირფასი საეკლესიო ნივთები, რომელთაც იგი



დეკემბერი 1999

9

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 26 ნოემბერი
ღირ. ალვიპისა.
ღირ. იაკობისა.

ანმოხსენებანი

დეკემბერი 1999

10

პარასკევი

ძვ. სტილი 27 ნოემბერი
დიდმოწ. იაკობისა. ღირ.
პალადისა.

ანმოხსენებანი

თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად იძენდა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარავდა ფაშისტებისგან დევნილ ებრაელებს თუ სხვა ეროვნების პირებს. გრიგოლ ფერაძე პავიაკის ციხეში ჩასვეს და იქიდან ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. ბანაკის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი." როგორც სხვა პატიმრების ცნობებიდან ირკვევა, არქიმანდრიტმა თავს იდო სხვისი დანაშაული, რის გამოც, გაზის კამერაში მოაკვდინეს.



დეკემბერი 1999

11

შაბათი

ძვ. სტილი 28 ნოემბერი
ღირ. სტეფანე ახლისა.
მოწ. ირინარქისა და სხვათა.

ცაშობათ მარხვა

დეკემბერი 1999

12

კვირა

ძვ. სტილი 29 ნოემბერი
28-ე კვირა სულიწმიდისა
გარდამოსვლიდან.
მღვდელმოწ. აბიბოს ნეკრესელისა.
მოწ. პარამონისა.

ცაშობათ მარხვა

აბიბოს ნეკრესელი 12 (29.11) დეკემბერი

აბიბოს ნეკრესელი იოანე ზედაზნელის მოწაფე იყო. იმ დროს საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი სარწმუნოების, ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას.

ერთხელაც წმინდა მღვდელმთავარმა ვეღარ მოითმინა სპარსთა ბოროტება, წყალი დაასხა მათ სათაყვანებელ ცეცხლს და ჩააქრო. როცა ცეცხლთაყვანისმცემლებმა ჰკითხეს, რატომ მოკლა აბიბოს ნეკრესელმა მათი ღმერთი, წმინდა მამამ უპასუხა, მე ღმერთი არ მომიკლავს, ცეცხლი ჩავაქრეო. ცეცხლი კი ღმერთი არ არის, ბუნების სტიქიააო.

ეპისკოპოსის გამბედაობით განრისხებულმა სპარსელებმა იგი შეიპყრეს და სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ქვებით ჩაქოლეს, მარზპანის ბრძანებით, წმინდანის გვამი ღია ცის ქვეშ დააგდეს მხეცთა საჯიჯგნად, მაგრამ წმინდა მოწამის გვამს არც მხეცი და არც ფრინველი არ შეხებია.

ღამით რეხში მცხოვრები მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმინდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. მისი საფლავიდან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა. მოგვიანებით წმინდა მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადმოასვენეს.

დეკემბერი 1999

ორშაბათი

13

ძვ. სტილი 30 ნოემბერი
წმ. და ყოვლადქებულისა მოც.
ანდრია პირველწოდებულისა.
დიდისა მეფისა ვახტან
გორგასალისა.
წმ. ფრუმენტი მთავარეპ.

ცაბაოთი მარხვა

დეკემბერი 1999

ცამეშაბათი

14

ძვ. სტილი 1 დეკემბერი
წინასწარმეტყვ. ნაუმისა.
მართლ. ფილარეტ
მოწყალისა.

ცაბაოთი მარხვა

ვახტანგ გორგასალი
13 (30.11) დეკემბერი

15 წლისა იყო ვახტანგი, როცა საქართველოს მეფედ აკურთხეს. იმ დროს ქართლი სპარსების, ოსების, ყივჩაღების შემოსევებმა ააოხრა.

ვახტანგმა ტახტზე ასვლისთანავე შეკრიბა წარჩინებულნი და ქვეყანას ოსეთზე შურისძიებისაკენ მოუწოდა. ჯარს თვითონვე წარუძღვა. ქრისტეს ჯვარცმას არასოდეს იშორებდა.

როცა ვახტანგი 22 წლისა იყო, საბერძნეთში გაილაშქრა. გამარჯვებულმა ბრძანა, ღვთის მსახურებისთვის ხელი არ ეხლოთ. სამალავიდან გამოვიდნენ მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები.

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ვახტანგ მეფემ ბევრი ომი მოიგო, უამრავი ციხე-ქალაქი და მონასტერი ააშენა, დააარსა თბილისი, ააგო ახალი სამეფო სამყოფელი უჯარმა.

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა, მან განდევნა საქართველოდან ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები. მის დროს აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა 12 ეპისკოპოსი და კათალიკოსი საქართველოში.

ვახტანგმა აღასრულა წმიდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი.

ვახტანგ მეფემ მცხეთაში წმიდა ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის ტაძარი ააგო. მის დროს



დეკემბერი 1999

15

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 2 დეკემბერი
ღირ. ისე წილკნელისა.
წინასწარმეტყვ. ამბაკოსი.

ცაშობათ მარხვა

დეკემბერი 1999

16

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 3 დეკემბერი
წინასწარმეტყვ. სოფონიასი.
ღირ. თეოდულესი.

ცაშობათ მარხვა

დაარსდა საეპისკოპოსო კათედრები. მეფემ ნიქოზის ეკლესია ააშენა და იქაც დასვა ეპისკოპოსი. აქ გადმოასვენებინა წმიდა რაჟდენ პირველმოწამის ნაწილები და ყოველნაირად ეხმარებოდა ახალშექმნილ კათედრას.

ვახტანგ მეფის დროს აშენდა თუხარისის, არტანუჯის და ახიზის ციხეები, დაარსდა არტანუჯის, მერეს, შინდობის, ახიზის მონასტრები, აშენდა და დაარსდა სხვა უამრავი ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი.

უკანასკნელი ბრძოლა ვახტანგ მეფემ სპარსელებს სამგორის ველზე გაუმართა. მას მუზარადზე წინ მგელი ჰქონდა გამოსახული, უკან ლომი. სადაც გამოჩნდებოდა, სპარსელები ყვიროდნენ: „დურ აზ გორგასარ" (მოერიდეთ მგლის თავსო) და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. ვახტანგის ყოფილმა მონამ იცოდა, რომ მეფეს ჯაჭვის პერანგი იღლიის ქვეშ გარღვეული ჰქონდა და ისარი სწორედ იქ მოარტყა. სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე უჯარმაში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა, თავისთან იხმო კათალიკოსი, მეუღლე, შვილები, წარჩინებულნი და უთხრა: „ყოველთვის მტკიცედ დაიცავით სარწმუნოება და ეძიეთ ქრისტესათვის სიკვდილი, რათა წარუვალი დიდება მოიპოვოთ."

ვახტანგ მეფე აღესრულა 502 წლის 30 ნოემბერს. მთელი საქართველო გლოვობდა ქრისტესათვის თავდადებულ მეფეს. იგი უჯარმიდან მცხეთაში გადაასვენეს მის მიერ აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში, დაკრძალეს დიდი პატივით და გულზე თავისი ზომის ლოდი დაადეს.



დეკემბერი 1999

17

პარასკევი

ძვ. სტილი 4 დეკემბერი
დიდმოწ. ბარბარეანი.
ღირ. იოანე დამასკელისა.

ნაშუადღევი მეოთხე

დეკემბერი 1999

18

შაბათი

ძვ. სტილი 5 დეკემბერი
ღირ. საბა განწმენდილისა.
მოწ. ანასტასიისა.

ნაშუადღევი მეოთხე

წმიდა ბარბარე (დაახლ. 306)

17 (4) დეკემბერი

ბარბარეს მამა, დიოსკორი, მდიდარი და წარჩინებული ადამიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და მთელი სიყვარული ქალიშვილზე გადაიტანა. მაგრამ ასევე ძლიერი იყო მისი სიძულვილი, როცა გაიგო, რომ ბარბარე გაქრისტიანდა, რადგან თვითონ კერპთაყვანისმცემელი გახლდათ. მიუხედავად წამებისა, ბარბარემ არ უარყო თავისი რწმენა. მამამ იგი ქალაქის მმართველს გადასცა, რომელმაც უფრო მეტად აწამა და ბოლოს თავი მოჰკვეთა. მასთან ერთად ეწამა აგრეთვე წმიდა იულიანა, რომელმაც, იხილა რა წმიდა ბარბარე, გაჰყვა მას. ბარბარეს მამამ თვითონ აწამა თავისი ქალიშვილი. მტარვალებს, დიოსკორსა და ქალაქის მმართველს, ამ წამებისათვის საშინელი სასჯელი მოუვლინა ღმერთმა: ისინი ელვამ დასწვა. VI საუკუნეში წმიდანის ნეშტი კონსტანტინოპოლში გადაიტანეს, ხოლო XII საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილმა ბარბარემ, რუსეთის თავადთან ქორწინების წინ, ნეშტი კიევში გადაასვენა. ახლა იგი დასვენებულია კიევის ვლადიმირის ტაძარში.



დეკემბერი 1999

კვირა

19

ძვ. სტილი 6 დეკემბერი
29-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. ნიკოლოზ
საკვირველმოქმედისა.

ცხრობილი მარხვა

დეკემბერი 1999

20

ორშაბათი

ძვ. სტილი 7 დეკემბერი
წმ. ამბროსი. მედიოლანელისა.
მოწ. ათინოდორესი.

ცხრობილი მარხვა

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი
(345-351) 19 (6) დეკემბერი

წმიდა ნიკოლოზი ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები მრავალ მოწყალებას იქმოდნენ და კეთილმსახურებით გამოირჩეოდნენ. წმიდა ნიკოლოზი ბავშვობაშივე სასწაულებს ახდენდა. ნათლობისას იგი სამი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა ისე, რომ არავინ იჭერდა და თაყვანს სცემდა წმიდა სამებას. დედის ძუძუს ოთხშაბათს და პარასკევს მხოლოდ ერთხელ იღებდა და, ისიც, საღამოობით, მშობლების მიერ ლოცვების წაკითხვის შემდეგ. სიკვდილის ბოლომდე წმიდა ნიკოლოზმა ოთხშაბათი-პარასკევი მძიმე მარხვაში გაატარა. იგი ბევრს დადიოდა ეკლესიაში და მისდევდა წმიდა წერილს. როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ, მას ადგილ-მამული უანდერძეს. წმიდა ნიკოლოზმა კი ყველაფერი გაჭირვებულებს დაურიგა. იგი ყოველთვის მზად იყო გაჭირვებულთა დასახმარებლად. აი, მისი მოწყალების ერთ-ერთი საქმე: ერთი მდიდარი კაცი მოულოდნელად გაღარიბდა და საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამ კაცს სამი ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც ძალიან ლამაზები იყვნენ. მან გადაწყვიტა, სახლი საროსკიპოდ ექცია და თავისი ქალიშვილების სხეულით ევაჭრა. ასეთი ულირსი ფიქრები შეიძლება გააჩინოს სილარიბემ, მაგრამ მოწყალე უფალმა, რომელსაც არ სურს ადამიანთა დაღუპვა, მიუგზავნა გაღარიბებულ მდიდარს წმიდა ნიკოლოზი, რათა ენუგეშებინა და დაეცვა იგი ცოდვისაგან. წმიდა ნიკოლოზმა გადაწყვიტა, ჩუმად დახმარებოდა. მან აიღო



დეკემბერი 1999

ცხრაშაბათი

21

ძვ. სტილი 8 დეკემბერი
ღირ. პატაპისა. მოც.
სოსოენისა.

ცხრობილი მარხვა

დეკემბერი 1999

ოთხშაბათი

22

ძვ. სტილი 9 დეკემბერი
მუცლადღება მართლ. ანნას
მიერ
ყოველადწმიდისა
ღვთისმშობელისა.
წინასწარმეტყველი ანნასი.

ცხრობილი მარხვა

ოქროთა სავსე დიდი ტომარა. მივიდა ღამე ამ კაცის სახლთან და ეს ტომარა სახლის ფანჯარაში შეაგდო, თვითონ კი სახლში გაბრუნდა. ოქროს დანახვაზე ამ კაცს შეეშინდა და არ ჯეროდა საკუთარი თვალების. ვერაფერს რომ ვერ მისვდა, ისევ ღვთის განგებას მიაწერა ყოველივე და მადლობა გადაუხადა უფალს. ამის შემდგომ, გაათხოვა უფროსი ქალიშვილი და ანუქა მას მისთვის საიცრებით ბოძებული ტომარა. წმიდა ნიკოლოზმა, როცა შეიტყო, რომ ეს კაცი მისი სურვილისამებრ მოიქცა, შეიყვარა იგი და გადაწყვიტა, იგივე სიკეთე მეორე ქალიშვილისთვისაც ებოძებინა. მოამზადა მეორე ტომარა და ისიც ფანჯარაში შეუგდო ამ კაცს. დილას რომ ადგა, ღარიბმა ისევ ოქრო იპოვა, სიხარულისგან იტირა და ღმერთს მადლობა შესწირა. შემდეგ კი გადაიხადა მეორე ქალიშვილის ქორწილიც. ღმერთის იმედი ჰქოდა და სჯეროდა, რომ მესამე ქალიშვილსაც გაათხოვებდა, თუ ამისთვის საჭირო ოქროს ტომარას მიიღებდა. რომ გაეგო, ვის მოჰქონდა ეს ოქრო, ღამ-ღამობით არ ეძინა და დარაჯობდა თავის კეთილისმსურველს. რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მივიდა წმიდა ნიკოლოზი, იმავე ადგილას გაჩერდა და შეაგდო ტომარა ფანჯარაში, კაცმა დაგდებული ფულის ხმა რომ გაიგო, სწრაფად გაეკიდა წმიდა ნიკოლოზს. რომ დაეწია და იცნო, დაეცა მის წინ და მადლობას უხდიდა მისი და მისი ქალიშვილების სულისა და ხორცის გადარჩენისათვის. ნიკოლოზმა წამოაყენა და პირობა ჩამოართვა, რომ მთელი ცხოვრება არავის ეტყოდა იმის შესახებ, რაც დაემართა. ბევრი შემთხვევიდან ჩვენ მხოლოდ ერთი გიამბეთ, რათა იცოდეთ, რამდენად მოწყალე იყო იგი გაჭირვებულების მიმართ.



ხუთშაბათი

ძვ. სტილი 10 დეკემბერი
ღირ. თომასი. მოწ. მინასი.

ცაშობათ მარხვა

დეკემბერი 1999

პარასკევი

ძვ. სტილი 11 დეკემბერი
სს. ყოველთა წმიდათა
საქართველოში
წამებულთა ღირსთა მამათა და
დედათა.
ღირ. დანიელ მესვეტისა.

ცაშობათ მარხვა

ყველა წმიდა საქართველოში წამებულნი ღირსნი მამანი და დედანი 24 (11) დეკემბერი

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეიქოს ღირსეულად ქართველ გმირთა მსარ-ძლავები
აკაკი წერეთელი

არავინ იცის, თუ რამდენ ქართველს მიულია მოწამეობრივი სიკვდილი და რამდენს განუწმენდია სული მონასტრის ცივ კელიებში ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით. მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე ერისკაცთა და დედათა შესახებ. ამიტომაც დღევანდელი დღის მოსასსენიებელში წერია, რომ „საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ..” და ყველასათვის ცნობილ წმინდანთა სახელების გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი. ქართველ ქრისტიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამ დღეს მოხსენიებულ წმინდანთა სახელებს ატარებს და მათგან ითხოვს მეოხებას.



დეკემბერი 1999

შაბათი

25

ძვ. სტილი 12 დეკემბერი
ღირ. იოანე ზედაზენის
წინამძღვრისა.
წმ. სპირიდონისა.
აღსაყდრების დღე სრულიად
საქართველოს
კათალიკოს პატრიარქის ილია II-
ისა.

ცაშობათ მარხვა

დეკემბერი 1999

კვირა

26

ძვ. სტილი 13 დეკემბერი
30-ე კვირა სულიწმიდის
გარდამოსვლიდან.
წმ. მღვდელმთავრისა გაბრიელისა,
იმერეთის ეპისკოპოსისა.
მოწ. ევსტრატისა, ავქსენტისა და
სხვათა.

ცაშობათ მარხვა

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) იმერეთის ეპისკოპოსი (1891) 26 (13) დეკემბერი

ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერონტი ქიქოძე, სოფელ ბახვში მღვდლის, მაქსიმე ქიქოძის - გურიის მთავრის, მამია გურიელის კარის მოძღვრის ოჯახში დაიბადა 1825 წელს. მან მრავალმხრივი განათლება მიიღო საქართველოსა და რუსეთის სასწავლებლებში. 24 წლის ასაკში იგი დაოჯახდა, ხოლო 32 წლის ასაკში მღვდლად ეკურთხა. ამავე წელს მას საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს. გარდაეცვალა ცოლი და 4 შვილი. ერთი შვილიღა დარჩა, მაგრამ მალე ისიც გარდაიცვალა. საოცარი სულიერებით გადაიტანა მომავალმა მღვდელმთავარმა ეს თავზარდამცემი ტრაგედია. მან ყველაფერი ღმრთის ნებად მიიღო, უარი თქვა ყოველივე პირადულზე, აღიკვეცა ბერად და მთელი თავისი ძალა და უნარი ღმერთის, ეკლესიისა და მშობელი ხალხის სამსახურს შეალია.

ერთი მოგზაურობის დროს გაბრიელ ეპისკოპოსს ავაზაკი დაეცა თავს და გაძარცვა მოუნდომა. გაბრიელი არ დაიბნა, ჯვარი გადასახა და უთხრა: „შვილო, მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სადა მაქვს!" ეს სახელი ავაზაკსაც გაეგონა და შეკრთა. მეუფე არ მოეშვა, სანამ თან არ წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განამწესა. ეპისკოპოსი გაბრიელი იყო საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი. ერთ დიდსა და



დეკემბერი 1999

ორშაბათი

27

ძვ. სტილი 14 დეკემბერი
ღირ. თეირსოსი, ლევკისა და
კალინიკესი.

აღმოსავლეთ მართვა

დეკემბერი 1999

სამშაბათი

28

ძვ. სტილი 15 დეკემბერი
მოწ. ელევთერისა. ღირ
პავლესი.

აღმოსავლეთ მართვა

სასტიკ ზამთარში, როცა ქუთაისის ღარიბები დიდ გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდნენ, მღვდლემთავარმა თავისი ფეხით დაიარა გაჭირვებულთა ქოხმახები და აღმოუჩინა მათ შემწეობა. რამდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია, რამდენი შიშველი შეუმოსავს, რამდენი გზის ქირა გადაუხდია, რამდენი შეგირდისთვის სასწავლო ნივთები უყიდია, რამდენი სნეულისთვის უექიმია. დიდ ზამთრებში ხშირად ქვრივ-ობლებს შეშასა და ფულს უგზავნიდა ღამ-ღამობით ჩუმად. ცნობილია ასეთი ამბავი: ერთხელ ეპისკოპოსმა გაიგო ქუთაისის ციხეში ტუსაღთა რიცხვი, შეაკერინა საცვლები და ორ საპალნე თეთრ პურთან ერთად დაუგზავნა პატიმრებს, თან დაავალა, არავითარ შემთხვევაში არ ეხსენებინათ მისი სახელი. გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1926 წელს. გარდაცვლილის პირადი ქონება, მისივე სურვილით, მთლიანად ქვრივ-ობლებს და ღარიბებს დაურიგდა. ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავისი ცხოვრებით უდიდეს სიწმიდეს მიაღწია და ეს მისი გარდაცვალების დროსაც გამოჩნდა: სოფელში, სადაც ის გარდაიცვალა, მეტად დიდი თოვლი მოვიდა და ყოველგვარი მიმოსვლა შეწყდა. არც ნეშტის გადასვენება ხერხდებოდა ქუთაისში, მაშინდელი საქართველოს კულტურის ცენტრში და არც საზოგადოების ჩამოსვლა ეპისკოპოსის სოფელში. მაშინ გამოითქვა საოცარი აზრი, რომ ის თვითონ შეინახავდა თავის თავს, მანამ, სანამ გზა გაიხსნებოდა. ორმოცი დღე ინახებოდა გაუხრწნელად ეპისკოპოსი გაბრიელის წმიდა სხეული. ბოლოს თოვლი დადნა და იგი დიდი პატივით მიაბარეს გელათის წმინდა მიწას.



29

ოთხშაბათი

ძვ. სტილი 16 დეკემბერი
წინასწარმეტყვ. ანგეასი.

აღმოსავლეთ მართველ

დეკემბერი 1999

30

ხუთშაბათი

ძვ. სტილი 17 დეკემბერი
წინასწარმეტყვ. დანიელისა და
სამთა ყრმათა: ანნანია, აზარია
და მიქაელისა.

აღმოსავლეთ მართველ

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1980 წელი. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.

2. თბილისი 1980 საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1994 წელი. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი 1994

3. თვენი. ქართველ წმიდანთა ცხოვრება

4. წმ. შიო მღვიმელის ცხოვრება. წილკნის ეპარქიის გამოცემა. თბილისი 1996 წელი

5. ნესტორ ყუბანეიშვილი. საღვთო სჯულის სწავლებაზე. პირველ-დაწყებითი დარიგება. შედგენილი საქართველოს საექსარხოსოს სახალხო შკოლებისათვის. ქუთაისი 1915

6. ნესტორ ყუბანეიშვილი. თესლი კეთილი. ხელოვნება. თბილისი. 1990

7. იაკობ გოგებაშვილი. თავდადებულნი ქართველნი. ისტორიულნი მოთხრობანი. თბილისი 1895 წელი.

8. ე.კ. (ეპისკოპოსი კირიონი). ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველ-მომქმედისა მარტმყოფელისა. ტბილისი

9. Слово на покрове святой богородицы. Скиния. Москва 1997

10. О. Янушкевич. Дерево Доброе. Учебное пособие нач. классов. Моск.

11. Святитель Николай. Скиния. Москва 1991

12. Православный календарь 1998. Онега. Москва 1998



პარასკევი

ძვ. სტილი 18 დეკემბერი
მოწ. სებასტიანესი.
წმ. მოდესტისა.

ცაშობათი მარხვა

კალენდრის შემდგენლები გულითად მადლობას უხდიან ავტორებს, რომელთა მასალები გამოყენებული იქნა კალენდარზე მუშაობისას.

საავტორო ჯგუფი:

დეკანოზი მიქაელ წურწუმია
დეკანოზი ბასილ კობახიძე
სოფო საყვარელიძე
ირმა წერეთელი
თამარ მოლოდინაშვილი
ნინო ზარიძე
მხატვარი: დავით მორგოშია

კალენდრის გამოცემაში დახმარება
გაგვიწია
World vision international-ის საქართველოს
წარმომადგენლობამ.